პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

კვირა, 3 ივლისი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 149 (1894)

დღიური

- ესტონეთის მთავრობა თავისი ტერიტორიიდან ასახლებს რუს მონარქისტებს.
- საფრანგეთში მეთევზეებმა გაფიცვა გამოაცხადეს.
- ბულგარეთის პარლამენტში გაიმართა მუშტი-კრივი.
- მინსკში ჩამოეშვა პოლონეთის ორი სამხედრო ჰაეროპლანი.
- საბჭოთა კავშირის მუშები განაგრძობენ დახმარების შეგროვებას უხანის არმიის დაჭრილ ჯარისკაცებისათვის.
- ოდესაში დაიწყო სახელმწიფო მოგებიანი სესხის მეათე ტირაჟი.

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
ივლისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დღე

ოთხი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც საკავშირო ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია. სრულიადაც შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირმა სწორედ ოთხი წლის წინად დაიწყო არსებობა ახალი ძირითადი კანონების საფუძვლებზე.

1923 წლის ზაფხული, ეს ის ხანა იყო, როცა საბოლოოთ ჩაქრა სამოქალაქო ომი ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე, როცა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით დანგრეული მეურნეობა, ხელახლა იკრეფდა ძალებს და ახალ, სოციალისტურ საფუძველზე იწყებდა ზრდა-განვითარებას. ამ მძიმე და რთულ ამოცანას მხოლოდ გაერთიანებული და შეთანხმებული ძალებით თუ დასძლევდენ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასები.

ამასთან ერთად, მართალია ბურჟუაზიამ სასტიკი დამარცხება იგემა სამოქალაქო ომში, მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამით საბოლოოთ გადაწყდა სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემის ერთმანეთთან იარაღის საშუალებით დავა. მსოფლიო ბურჟუაზიამ მხოლოდ დაიხია, რადგან მაშინდელი ევროპა რევოლუციით სუნთქავდა, საბჭოთა კავშირთან ომი კაპიტალიზმს საკუთარ თავის ფასად დაუჯდებოდა. ამიტომ ბრძოლა მომავალი, უფრო მოხერხებული დროისთვის გადადო. საბჭოთა რესპუბლიკები იძულებული არიან ამ მდგომარეობას ანგარიში გაუწიონ და ემზადონ ყოველგვარ მოსალოდნელ საფრთხის ღირსეულად შეხვედრისათვის. იმპერიალისტების შემოტევის უკუგდების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს მტკიცე კავშირი საბჭოთა რესპუბლიკათა შორის. ამიტომ საბჭოთა კავშირის დაარსება ამ ოთხი წლის წინათ მიზნად ისახავდა სოციალისტური მეურნეობის წარმატებით განვითარებას და ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დაცვას იმპერიალისტების შეიარაღებულ თავდასხმისაგან.

გამართლდა თუ არა ეს მიზანი ამ ოთხი წლის განმავლობაში? ამ კითხვაზე ყველაზე უფრო მჭერმეტყველურ პასუხს იძლევა ის მიღწევები, რომელნიც ჩვენ გვაქვს სოციალისტურ მეურნეობის აღმშენებლობის დარგში და ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმია, რომელიც ეხლა აღჭურვილია არა მარტო რევოლუციონურ აღტკინებით, როგორც ეს სამოქალაქო ომის წლებში იყო, არამედ სამხედრო მოწყობილობითაც საომარ ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა მიხედვით.

ეს ოთხი წელი იყო ქვეყნის ცოცხალი ძალების გაერთიანების, სააღმშენებლო გატაცების იშვიათი წლები. საკუთარი საშუალებით, ბურჟუაზიულ გარემოცვის შუისა და მტრობის პირობებში, საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა შეერთებული ძალით გადალახეს მრავალი სიძნელენი. დღეს ჩვენ სიამაყით ვაცხადებთ, რომ უკან მოვიტოვეთ ომამდე არსებული დონე სახალხო მეურნეობაში, დღეს ჩვენ მტკიცე რწმენით და მაგარი ნაბიჯით მივდივართ წინ საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის გზით.

დიდი ზეიმი, რომელიც გადიხადა ამ შვიდი დღის წინად საბჭოთა საქართველომ, ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის გახსნა, შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველო ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებთან ერთად საბჭოთა კავშირის ძლიერი ოჯახის ერთ-ერთ განუყრელ წევრად გადაიქცა.

გარდა ამისა საბჭოთა კავშირის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში მთელს საბჭოთა ტერიტორიაზე არ გავარდნილა თოფი ცალკე ეროვნებათა შორის, არ დაღვრილა მშრომელთა სისხლი ნაციონალურ შუღლის ნიადაგზე.

საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე მტკიცე ეროვნული მშვიდობიანობაა დაცული. ამასთან ერთად ცალკე ეროვნებათა კულტურა სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. საკუთარ კულტურულ განვითარების გზას დაადგნენ ისეთი მცირე ეროვნებები, რომელნიც ძველი რუსეთის გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში ხსენებულიც კი არ ყოფილან.

ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ეროვნული საკითხი შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში.

დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა, იმპერიალიზმის გააფთრებული იერიშები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ინგლისის მთავრობის დაუსრულებელი ხრიკები, რომელნიც მიზნად ისახავს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ომში ჩაბმას, ერთხელ კიდევ გვიმტკიცებენ, რამდენად აუცილებელია საბჭოთა კავშირის სამეურნეო და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცება. დღეს, საბჭოთა კავშირის არსებობის ოთხი წლის თავზე, ეს განმეორებით უნდა მოვაგონოთ ქალაქისა და სოფლის მშრომელ მასებს და გაასკეცებული ენერგიით უნდა განვაგრძოთ სოციალისტური მშენებლობა და ოქტომბრის რევოლიუციის პირმშო შვილის: საბჭოთა კავშირის სამხედრო თავდაცვის საქმე.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი გამარჯვების საწინდარი ჩვენს მთლიანობაშია. 3 ივლისი ამ მთლიანობის ურყევ საძირკვლის ჩაყრის დღეა. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების სოლიდარობას! გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე

კოოპერაციის დღეს ქვეყანას თავს დასტრიალებს ომის დიდი საშიშროება. ოფიციალურად ჯერ ადგილი არა აქვს ომის გამოცხადებას, მახვილი თითქოს ჯერ კიდევ ქარქაშშია. მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ ის მიმართულია, ორი უდიდესი მასიური რევოლიუციის წინააღმდეგ—წინააღმდეგ რუსეთის და ჩინეთის რევოლიუციებისა, რომელთაც ამოძრავებს მშრომელი კაცობრიობის ასეული მილიონები.

კაპიტალისტურ ქვეყნების კოოპერაციაში გაერთიანებულია 40 მილიონზე მეტი კაცი. თუ ამ რიცხვიდან გამოვაკლებთ სოფლის კულაკებს, მღვდლებს, მოხელეებს და ორპირად მოდემოკრატო ლიბერალურ ბურჟუაზიის შედარებით უმნიშვნელო რაოდენობას, — ამ რიცხვის უდიდესი ნაწილი წარმოადგენს მუშათა, გლეხთა და მოსამსახურეთა, და აგრეთვე მშრომელ ქალთა, მასას. მშვიდობიან მშრომელ მოსახლეობის ამ მასის ინტერესები სასტიკად ეწინააღმდეგებიან ომს, მით უმეტეს ომს შრომის პირველ რესპუბლიკის წინააღმდეგ.

აქ, საბჭოთა კავშირში, მაღლა ფრიალებს შრომის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა, აქ ჩაყრილია სოციალისტური მშენებლობის მტკიცე საძირკველი და გაბმულია მთელი ქვეყნის მშრომელთა და ჩაგრულთა ძმური სოლიდარობის ძაფები. აქ, საბჭოთა კავშირში, მიუხედავად სიღარიბისა და კულტურულ ჩამორჩენილობისა, პირველად ხორციელდება გრანდიოზული მასშტაბით მილიონიან მასების კოოპერაციაში ჩაბმა, გეგმაშეწონილად ნაწილდება მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის პროდუქცია, ხდება მიწის მუშის, შინამრეწველის და ხელოსნის მძიმე შრომის რეორგანიზაცია კოლექტივიზმის და განვითარებულ ტექნიკის ნიადაგზე.

კაპიტალისტურ ქვეყნების კოოპერაციაში ჩაბმულ მოსახლეობის არსებითმა და სწორად გაგებულმა ინტერესებმა უნდა გამოიწვიონ მშრომელთა ძირითადი მასის გაერთიანება ქალაქის და სოფლის კოოპერაციაში საბჭოთა რესპუბლიკის დასახმარებლად და თავის თანამემამულე ექსპლოატატორთა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

საზღვარგარეთის კოოპერაციის რეფორმისტული ბელადები რამოდენიმე წლის განმავლობაში ტყუვილად ძვრებოდენ, რომ დაემტკიცებინათ, თითქოს მათ გვირგვინოსან ბატონებს და მფარველებს ომი განზრახული არ ჰქონდეთ. 1914—17 წლის მსოფლიო ომი კოოპერატივების ყველა საკურთხევლებიდან საზეიმოდ იქნა გამოცხადებული უკანასკნელ ომად. მშრომელ მოსახლეობას მიეცა დაპირება, რომ აყვავდებოდა მეურნეობა და განვითარდებოდა კოოპერაცია.

სინამდვილემ ყოვლად უმოწყალოდ გამოააშკარავა ყველა კოოპერატიულ „ბელადების" გამცემლობა და მალინოვშჩინა იმ „ბელადების", რომლებიც გამოსული იყვნენ რეფორმიზმის ბანაკიდან. ხელფასის შემცირებამ, სამუშაო დღის გაგრძელებამ, პროფკავშირთა უფლებების შეკვეცამ, მასიურმა უმუშევრობამ და კაპიტალიზმის ათასმა სხვა მორიელებმა თვალსაჩინო შეფასება მისცეს შემთანხმებელთა დაპირებებს. კაპიტალიზმის იერიშები თავს დაატყდა კოოპერაციას, მუშათა მოძრაობის ამ ყველაზე უფრო „უწყინარ" მხარეს.

ბულგარეთში და იტალიაში გაკადნიერებული ფაშისტური რეაქცია უწინარეს ყოვლისა გაუსწორდა კოოპერატიულ მოძრაობას. ხულიგნები და გამხეცებული მედუქნენი კოოპერაციაზე იყრიდენ ჯავრს, არბევდენ კოოპერატიულ მაღაზიებს. სასოფლო კოოპერატივებში, რომელთაც მცირეოდენი წილი მიუძღოდათ რევოლიუციონურ მოძრაობაში, ან რომელთაც გამბედეს პროტესტი განეცხადებინათ კაპიტალისტურ რეჟიმის წინააღმდეგ— ამტვრევდენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, აფუჭებდენ საქონელს, სპობდენ ავეჯეულობას.

ამჟამად კი ფაშისტური ქვეყნების კოოპერაციის რეფორმისტული „ბელადები" მორჩილად ულოკავენ ფეხებს კაპიტალისტურ ხელისუფლთ და მათთან შეხმატკბილებით სთხზავენ და ცხოვრებაში ატარებენ პროექტებს, რომლებიც მიმართული არიან კოოპერაციის საკუთარი სახის მოსპობისაკენ და მისი კაპიტალისტურ სისტემაში გათქვეფისაკენ, ამგვარად, საზღვარგარეთ, კოოპერაცია შედის იმპერიალისტური ჩაგვრის გაერთიანებულ აპარატში.

კოოპერატიულ მასებს თვალი ეხილება რეფორმისტულ გამცემლობის გაკვეთილებს სარგებლი მოაქვს. მაგრამ ამოძრავება ხდება ძლიერ ნელა, ვინაიდან თითოეული გაბედული ნაბიჯი დაუყონებლივ იწვევს კონტრ-შეტევას მრეწველების და კაპიტალისტური ბანკების მხრივ. მაგრამ რევოლიუციონური აზრი მაინც თანდათან იჭრება წევრთა მასაში და იწვევს მის აქტივიზაციას.

ბრძოლა ომის წინააღმდეგ ამჟამად წარმოადგენს საუკეთესო ნიადაგს კოოპერატიულ მასებში სამუშაოდ. რუსეთის და ჩინეთის რევოლიუციების დაცვის ლოზუნგს შეუძლია შეაკავშიროს საერთაშორისო კოოპერაციის ყველა პატიოსანი ელემენტები.

თავის მხრივ საბჭოთა კოოპერაცია გვიჩვენებს იმპერიალიზმის მოგერიების მაგალითს. საბჭოთა კავშირის კოოპერაციის წევრთა მრავალმილიონიანი მასა დღით-დღე გააუმჯობესებს თავის მეურნეობას, განამტკიცებს კავშირს პროლეტარულ სახელმწიფოსა და სოციალისტურ მრეწველობასთან და ამავე დროს ენერგიულ დახმარებას გაუწევს თავდაცვის მომზადებას.

საბჭოთა კავშირის კოოპერაცია, თავისი განვითარების მცირე ხანაში, გახდა დიდ სამეურნეო ძალად და შექმნა აპარატი, რომელიც მთელ სახელმწიფოშია გავრცელებული. მშვიდობიანი სამეურნეო მუშაობით თანდათანობით შეიქმნა 100.000 კოოპერატივი, ორგანიზაციულად შეკავშირდა 20 მილიონი პაის მეპატრონე თავის ოჯახებითურთ, კიდევ მეტი—მიღწეულია ათმილიონიანი ბრუნვა. თუ მშრომელთა ქვეყნის წინაშე უშუალოდ აღიმართება ომის საფრთხე, კოოპერაცია შესძლებს უზრუნველჰყოს საქონლის წესიერი ბრუნვა ქვეყნის შიგნით და წითელ არმიისათვის დახმარების აღმოჩენა ფრონტზე.

ჩვენი კოოპერაციის წარმატება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავდებია იმისა, რომ ომის შემთხვევაში, ჩვენთვის სრულებითაც არ არის სავალდებულო სამხედრო კომუნიზმის ეპოქის განმანაწილებელი მეურნეობის პრიმიტიულ მეთოდებზე დაბრუნება. ვიბრძოლებთ რა მტრებთან და, თუ საჭირო გახდა, შევიწროვებთ რა ჩვენს ზედმეტ მოთხოვნილებებს, ჩვენ გავაგრძელებთ მეურნეობის სოციალისტური ფორმების თანმიმდევრული გზებით განვითარებას. ამაში კოოპერაცია გაგვიწევს დაუფასებელ სამსახურს.

მით უფრო მეტი გულმოდგინებით და სიმტკიცით უნდა ვიმუშაოთ ამჟამად საქონლის გამტარებელ ქსელისა და ვაჭრობის ტექნიკის გასაუმჯობესებლად ფასების შემდგომი დაკლების მიზნით.

ფასების დაკლების ლოზუნგს, უკანასკნელ მოვლენებთან დაკავშირებით, ეძლევა უაღრესად პოლიტიკური და სადღეისო მნიშვნელობა. ამ ლოზუნგით ჩვენ არა მარტო პაის მეპატრონეთ, არამედ კოოპერაციაში ჯერ კიდევ ჩაუბმელ მოსახლეობასაც, შევაკავშირებთ კოოპერატიული აპარატის გასაუმჯობესებლად და კოოპერატიულ საზოგადოებრიობის გასაძლიერებლად.

ფასების დაკლებისათვის ბრძოლით ჩვენ ლახვარს ჩავსცემთ კულაკს, კერძო მოვაჭრეს, შემსყიდველს და ყოველგვარ კაპიტალისტურ წურბელებს.

საშიშროების წინაშე კოოპერაციამ მაღლა უნდა ასწიოს თავისი კლასიური დროშა და უნდა გააძლიეროს მუშების, სოფლის ღატაკთა და საშუალო გლეხობის კავშირი. სწორი სამეურნეო მუშაობით კოოპერაციამ უნდა განამტკიცოს საბჭოთა კონსტიტუციის კლასიური საფუძვლები და გახდეს სოციალიზმის მძლავრ მამოძრავებლად.

„პრავდა".
მოსკოვი. 2 ივლისი.

სამი სახელმწიფოს კონფერენცია ჟენევაში
ინგლისი ცდილობს თავიდან აიცილოს კონფლიქტი ამერიკასთან
ფინ-იუ-სიანი გადავიდა შეტევაზე მუკდენის არმიის წინააღმდეგ
ინგლისის მატროსები სწერენ: „ჩვენ არასოდეს არ ავიღებთ იარაღს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ"

ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება
ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ

ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ

მოსკოვი, 2 ივლისი. 4 ივლისს ძალაში შედის სავაჭრო და სანაოსნო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის, ხელმოწერილი ანგორაში 1927 წლის 11 მარტს. ხელშეკრულება შეიცავს 32 მუხლს.

ხელშეკრულებით წესდება ექსტერიტორიალობა სავაჭრო წარმომადგენელის, 2 მისი მოადგილის, სავაჭრო წარმომადგენლობის, ბინის ანგორაში და სავაჭრო წარმომადგენლობის სტამბოლის განყოფილების.

გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ სავაჭრო წარმომადგენლობას უფლება აქვს გახსნას განყოფილებები სტამბოლის გარდა სმირნაში, ტრაპიზონში, ერზერუმში და კონიაში. საბჭოთა ყველა საქონელი ოსმალეთში, სარგებლობს განსაკუთრებული უპირატესობით. ოსმალეთის საქონელი საბჭოთა კავშირის ფარგლებში სარგებლობს განსაკუთრებულ უპირატესობით, მხოლოდ განსაზღვრულ სიის ფარგლებში, რომელიც დართული აქვს ხელშეკრულებას.

ამავე დროს გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის საერთო ტარიფიდან პროცენტული შეღავათების მინიჭება. ისეთ საქონელზე, რომელიც ოსმალეთისთვის განსაკუთრებულ ინტერესს შეადგენს (ადს).

ლიტვა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

კოვნო, 1 ივლისი. 30 ივნისს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გაიმართა პრესის წარმომადგენელთა დარბაზობა. სრულუფლებიანი წარმომადგენელი **აროსევი** ესაუბრა პრესის წარმომადგენელთ ლიტვა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ.

საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ ქრისტიანულ დემოკრატების ორგანო „რიტას"-ის რედაქტორი **ტუროვსკი**, ნაციონალისტების ორგანოს „ლეტუვის"-ის რედაქტორი **ნორეიკა**, „ბერლინერ ტეგებლატ"-ის კორესპონდენტი **სიმოხი** და სხვა.

ლიტვის პრესის წარმომადგენლები თავის სიტყვაში აღნიშნავდენ საბჭოთა კავშირის და ლიტვის ხალხებს შორის არსებულ მუდმივ მეგობრობას. დარბაზობა მეგობრულ განწყობილებაში ჩატარდა. (ადს).

საბჭოთა კავშირი და ეგვიპტის ბამბა

ქაირი, 1 ივლისი. ქაირში უდიდესი ინტერესი გამოიწვია ცნობამ, რომ საბჭოთა კავშირს განზრახული აქვს 60.000 ყანთარი ბამბა შეიძინოს ეგვიპტეში. პრესა მოითხოვს, რომ **მთავრობამ მიიღოს ზომები საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის გასაადვილებლად** და ამტკიცებს, რომ **საბ. კავშირის დაკვეთებს სავსებით შეუძლია შეანელოს ბამბის გასაღების ის კრიზისი, რომელსაც ეგვიპტე განიცდის.**

პარლამენტში შეკითხვაა შეტანილი იმის გამო, რომ მთავრობამ ეგვიპტეში შესვლის უფლება არ მისცა საბჭოთა მებამბე ექსპერტს. (ადს).

ჟენევის საიდუმლოებანი

ბერლინი, 1 ივლისი. რეიხსტაგის კომფრაქციამ შეიტანა შეკითხვა, რომელშიაც მთავრობისაგან მოითხოვს ახსნა-განმარტებას ბურჟუაზიული პრესის მიერ გავრცელებულ ცნობის გამო იმის შესახებ, რომ **ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელ სესიაზე სწარმოებდა საიდუმლო მოლაპარაკება გერმანიის შეიარაღების საკითხის გარშემო**. ამ მოლაპარაკების შედეგად, როგორც პრესა ამტკიცებს, მიღწეულ იქნა შემდეგნაირი შეთანხმება: სამსახურის ვადა რეიხსვერში შემცირებულია სამ წლამდე, არსდება მუდმივი სათადარიგო ჯარი 300.000 კაცის შემადგენლობით, ოფიცერთა კადრი გადიდებული იქნება 5000 კაცამდე, სდგება მძიმე არტილერიის ბატალიონები სამ-სამი ბატარეით თვითეულ დივიზიონში.

ამ მოლაპარაკებასთან ერთად, ლოკარნოს ხელშეკრულებაში მონაწილე სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის გაიმართა საიდუმლო თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა გერმანიის მიერ ერთა ლიგის წესდების მე-16 მუხლში შეტანილი შესწორებები, რომელიც შეეხებოდა უცხო სახელმწიფოთა ჯარების გადაყვანას გერმანიის ტერიტორიაზე.

კომუნისტების შეკითხვაში მოყვანილი ცნობები აღებულია მემარცხენე ბურჟუაზიულ-პაციფისტურ ორგანოდან „ცეიტ-ნოტიციედან", რომელმაც ამ ცნობების გამოქვეყნებასთან ერთად აღნიშნა, რომ ისინი მიღებულია ყოველგვარ გავლენისაგან თავისუფალ სარწმუნო პირისაგან. (ადს).

კამათი რეიხსტაგში

ბერლინი, 1 ივლისი. რეიხსტაგის სხდომაზე კენჭი უყარეს საკითხს იმ კანონის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ, რომლითაც აკრძალულია სასამართლო წესით იმ დავების განხილვა, რომლებიც შეეხება ყოფილ მეფის გვარეულობის პრეტენზიების ანაზღაურებას. **კანონის გაგრძელების წინააღმდეგ ხმა მისცეს კომუნისტებმა, სოციალ-დემოკრატებმა, დემოკრატებმა, ცენტრის პარტიამ, სამეურნეო პარტიამ და ბავარიის გლეხთა კავშირმა.** კანონის გაგრძელებას ხმა მისცა 233 დეპუტატმა, წინააღმდეგ—167 დეპუტატმა. (ადს).

რუს მონარქისტების გადასახლება

რეველი, 1 ივლისი. პეტროგრადის სამხედრო ოლქის ყოფილი უფროსი 1917 წ. გენ. **ვასილკოვსკი**, რომელიც ჯერ კიდევ სულ რამდენიმე ხნის წინად ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ოფიციალური წარმომადგენელი იყო ესტონეთში. და სამი ემიგრანტი—მონარქისტი, იმ პირის დაფარვისათვის, რომელიც გადავიდა საბჭოთა საზღვარზე, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დაჯარიმებული არიან. ჯარიმა მათ შეუცვალეს დაპატიმრებით. პატიმრობის ვადის მოხდის შემდეგ ეს პირები გადასახლებული იქნებიან.

გაზეთ „**ვესტი დნია**"-ს თანამშრომელს ვასილკოვსკიმ განუცხადა, რომ პირს, რომელიც გადმოვიდა საზღვარზე, სურდა გატარებულიყო პოლიციის რეგისტრაციაში მაგრამ „ერთი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელმა" ეს ჩათვალა მიზანშეუწონლად და განაცხადა, რომ მთელ პასუხისმგებლობას თავის თავზე კისრულობს. ვასილკოვსკიმ განაცხადა, რომ ყოველივე ეს კარგად იცის სამხედრო მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა.

„იმ დღეს,—ამბობს ვასილკოვსკი,—როცა მე უცხოეთის სახელმწიფოს ორი წარმომადგენელის თხოვნით თავშესაფარი მივეცი აღნიშნულ პირს, ესტონეთის ხელისუფლება უკვე გაფრთხილებული იყო ამის შესახებ".

„ვაბა მაა" იუწყება, რომ ეს საიდუმლო პირი არის ვინმე **ვოლსკი**, რომელიც 19 ივნისს ფარულად გადმოვიდა საზღვარზე. ის ჩამოსულია ლენინგრადიდან, რომ „კავშირი დაემყარებია უცხოეთთან" და რამდენიმე დღის შემდეგ უკან უნდა დაბრუნებულიყო. (ადს).

„ჭორები ინგლისური წყაროებიდან"

ბერლინი, 1 ივლისი. გერმანიის გაზეთები აქვეყნებენ დღევანდელ ცნობებს ლონდონიდან, თითქოს გერმანიის და ავსტრიის ბანკები მრავალჯერ ცდილან გაენაღდებიათ ლონდონში საბჭოთა თამასუქები, მაგრამ ინგლისის ბანკების მხრით შეხვდენ წინააღმდეგობას, რასაც ინგლისის მთავრობის გავლენას მიაწერენ.

შტრეზემანის ორგანო „**ტეგლიხე რუნდშაუ**" ამ ცნობების შესახებ წერს:

„ამ ცნობების ღირებულება, რამდენადაც ისინი გერმანიის ბანკებს შეეხება, ხასიათდება უკვე იმით, რომ **გერმანიის ბანკები საერთოდ არ ცდილობენ საბჭოთა თამასუქების განაღდებას ლონდონში.** მსხვილი გერმანული ბანკები საერთოდ არსად არ გზავნიან თამასუქებს, ხოლო წვრილი ფირმები ანაღდებენ მათ რეიხსბანკში. რაც შეეხება იმ საბჭოთა თამასუქების ჯამს, რომლებიც არიან ბრუნვაში—გერმანიაში, გარდა 300 მილიონიან გარანტიაქმნილ კრედიტისა, არ აღემატება 200 მილ. მარკას. (ადს).

კრიზისი პოლონეთში

კომფრაქციის შეკითხვა სეიმში

ვარშავა, 1 ივლისი. სეიმის კომუნისტურმა ფრაქციამ შეიტანა შეკითხვა, რომელშიაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ უკანასკნელ კვირეებში საგრძნობლად გაიზარდა ნიშნები, რომლებიც ადასტურებენ პოლონეთის სამხედრო სამზადისის გაძლიერებას. შეკითხვაში აღნიშნულია, რომ პოლონეთის ბურჟუაზიული პრესა, განსაკუთრებით-კი ნახევრად ოფიციალური პრესა, აწარმოებს გაძლიერებულ ანტი-საბჭოთა კამპანიას. მთავრობა არა თუ ითმენს, არამედ ხელს უწყობს ამ ანტი-საბჭოთა კამპანიას და ცდილობს შექმნას განწყობილება, რომელიც მას მისცემს საშუალებას გამოაცხადოს ომი, ამ კამპანიასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა შეიარაღების გაძლიერებას. საამუნიციო ფაბრიკებმა ამას წინეთ დაიწყეს ერთის მაგიერ, ორ და სამ წყებაბად მუშაობა. სამხედრო სამზადისს ამოწმებს ის ფაქტიც, რომ თადარიგში მყოფ აფიცრებს დაურიგეს თანხა სრული ტანისამოსის შესაძენათ და უბრძანეს დაუყოვნებლივ მისი შეძენა. მობილიზაციისათვის სამზადისის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს აგრეთვე ის ფაქტი, რომ სამხედრო უწყება რეგისტრაციაში ატარებს სკოლის შენობებს, იკვლევს მათ ტევადობას და იმას, თუ რამდენათ გამოსაყენებელია ისინი ჰოსპიტალებისათვის. ეს ფაქტები და აგრეთვე სამხედრო ვარჯიშობის გაძლიერება ორგანიზაციი „სტრელეცი"-ს მიერ, ამტკიცებენ, რომ მიუხედავათ ოფიციალური საუბრისა მშვიდობიანობის შესახებ, სწარმოებს გაცხოველებული სამზადისი ომისათვის. (ადს).

სამთო წარმოება

ვარშავა, 1 ივლისი. სამთამადნო წარმოების მეპატრონეებმა უარყვეს მუშების მოთხოვნილება ხელფასის მომატების შესახებ. **სამთამადნო წარმოებაში მდგომარეობა ძლიერ გამწვავებულია** (ადს).

რკინისგზელთა შორის

ვარშავა, 1 ივლისი. პოლონეთის რკინისგზელთა შორის ადგილი აქვს დიდ მღელვარებას. თითქმის ყოველ დღე მოდის ცნობები სხვადასხვა ადგილიდან რკინისგზელთა კრებების და დემონსტრაციების შესახებ; მუშები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას (ადს).

ფინანსიური მდგომარეობა

ვარშავა, 1 ივლისი. ეკონომიური გაზეთი „ლებენი" იუწყება: „პოლონეთისთვის სესხის მიცემის შეჩერებასთან დაკავშირებით, **აღსანიშნავია კერძო ანაბარების მასიური გამოტანა ბანკებიდან.** ამ მოვლენამ გავლენა იქონია თამასუქების განაღდებაზე, რაც საგრძნობლად შემცირდა. უკანასკნელ დღეებში, სერიოზულმა ფირმებმაც ვერ მოახერხეს თამასუქების განაღდება ადს).

არჩევნების გარშემო

ვარშავა, 1 ივლისი. კომუნისტურმა ფრაქციამ შეიტანა სეიმში წინადადება ვარშავის კომუნალური არჩევნების გაუქმების შესახებ. **ვინაიდან მუშათა მემარცხენე ჯგუფის სია აკრძალული იქნა და მთავრობამ საარჩევნო უფლება წაართვა ვარშავის ამომრჩეველთა მეხუთედ ნაწილს** (ადს).

მშენებელ მუშაკთა შორის

ვარშავა, 1 ივლისი. მშენებელ მუშაკთა გაფიცვა ვარშავაში გრძელდება, მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, რომ ის ჩაფუშონ. მიღებულია ზომები მუშაობიდან შტრეიკბრეხერების მოხსნისათვის (ადს).

პრესა უკმაყოფილოა

ვარშავა, 1 ივლისი. „ვოლოს პრავდი" აქვეყნებს „იზვესტიის" უკანასკნელ წერილს პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ და მკაცრ კრიტიკას უკეთებს მას. „არ არის არც ერთი საღათ მოაზროვნე ადამიანი, რომელიც ამ დაადასტურებს, რომ პოლონეთი ცდილობდა სრულებით დაეკმაყოფილებია საბჭოთა კავშირი ვოიკოვის მკვლელობასთან დაკავშირებით".

გაზეთი დაპირებას იძლევა, რომ ისევ დაუბრუნდება „იზვესტიის" წერილს (ადს).

მარშალის წინააღმდეგ

ვარშავა, 1 ივლისი. პოლონეთის სამხედრო წრეების ნაწილი, რომელიც პილსუდსკის წინააღმდეგ არის განწყობილი, შეუდგა საკუთარი ორგანოს გამოცემას (ადს).

გაფიცვა ბელოსტოკში

ვარშავა, 1 ივლისი. ბელოსტოკში გაიფიცენ დგამისა და ლითონის წარმოების რამოდენიმე ქარხნების მუშები (ადს).

შეტევა პეკინის წინააღმდეგ

ანტიიაპონური მოძრაობა

შანხაი, 1 ივლისი. ანტი-იაპონური მოძრაობის კანტონის კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება, რომლის ძალით იაპონიის ბანკებიდან ყველა ჩინელმა უნდა გამოიტანოს თავიანთი ანაბარი.

იაპონიის სააგენტო ტოხო იუწყება: „ასეთი მდგომარეობის გამო, იაპონიის გემებს ძალიან გაუძნელდებათ საქონლის დატვირთვა და გადატვირთვა კანტონისა და სვატოუს ნავთსადგურებში". (ადს).

ფინ-იუი-სიანის შეტევა

შანხაი, 1 ივლისი. მიღებულ ცნობების მიხედვით, **ფინ-იუი-სიანის ჯარის მოწინავე ნაწილებმა დაიწყეს შეტევა ჩჟან-ცზუნ-ჩანის წინააღმდეგ და აიღეს ცზარ-ჩსუფუ** (შანდუნის პროვინცია).

გადასახადების წინააღმდეგ

შანხაი, 1 ივლისი. შანხაის მუნიციპალიტეტის მიერ შემოღებული **ახალი გადასახადების საწინააღმდეგო კამპანია თანდათან ფართოვდება და ატარებს გარკვეულ პოლიტიკურ ხასიათს.**

მთელ ქალაქში გამოკრულია საგიტაციო ფურცლები, არიგებენ პროკლამაციებს, იწვევენ მიტინგებს და კრებებს თითქმის ყველა ორგანიზაციებში. (ადს)

ნანკინის ფრონტზე

შანხაი, 1 ივლისი. **ნანკინში კანტონიდან იგზავნება დამხმარე ჯარი და ამუნიცია.** შანხაიში ჩავიდა ვამპუს აკადემიის 800 მსმენელი; სეტლმენტის ტერიტორიაზე ჩამოსვლის ნება მათ არ მისცეს. იტყობინებიან, რომ ნანკინში გადასაგზავნათ კანტონში იტვირთება ჰაეროპლანები, იარაღი და ამუნიცია.

იან-სენის დამარცხება

შანხაი, 1 ივლისი. იან-სენის მოწინააღმდეგე გენერალმა დუ-ცზუნ-ხუიმ თავისი ჯარები დასძრა კაიცზიანისაკენ, რომელიც იან-სენის მთავარი ბაზაა.

ადგილობრივ პოლიტიკურ სამხედრო წრეების აზრით იან-სენი, როგორც სამხედრო ძალა, უახლოეს ხანში ყოველგვარ გავლენას დაჰკარგავს. (ადს).

უხანის პასუხი

პეკინი, 1 ივლისი. სააგენტო „ნიპპონ დემპო" აქვეყნებს შემდეგ ცნობას ხანკოუდან: „ჩან-კაი-შის და ფინ-იუ-სიანის მოთხოვნილების გამო ბოროდინის და საბჭოთა სხვა მრჩეველების გაძევების შესახებ, **უხანის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ეს მრჩევლები მოწვეული იყვნენ გომინდანის მე2- ყრილობის დადგენილებათა თანახმად და ამიტომ არ შეიძლება დათხოვნილი იქნენ პარტიის ახალი ყრილობის სათანადო დადგენილების გარეშე**". (ადს).

მდგომარეობა უხანში

შანხაი, 1 ივლისი. ხანკოუდან მიღებულ დეპეშებით ირკვევა, რომ 28 ივნისს პროფკავშირებისა და სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელთა მოლაპარაკების შედეგათ— სრულიად ჩინეთის შრომის ფედერაციისა და პროფკავშირთა წევრებისაგან შემდგარმა მუშათა პიკეტებმა ნებაყოფლობით ჩააბარეს იარაღი მთავრობას. მეორე დღეს მუშათა პიკეტები შრომის ფედერაციის და პროფკავშირების შენობებთან შესცვალა გარნიზონის ჯარის ნაწილებმა, რამოდენიმე ხნის შემდეგ ჯარის რაზმებიც მოხსნეს.

შრომის მინისტრმა და სრ. ჩინეთის შრომის ფედერაციის თავმჯდომარემ სიუ-ჩაო-ჟენმა ამის გამო პრესის წარმომადგენლებს გადასცა შემდეგი:

„პირველად მუშათა ორგანიზაციების შენობებში ჯარის ნაწილების გაგზავნა იყო ერთგვარი გაუგებრობა, რომლის ლიკვიდაციაც დაუყოვნებლივ მოხდა. ამჟამად, ინცინდენტი შეიძლება მოგვარებულად ჩაითვალოს".

29 ივნისს, სრ. ჩინეთის პროფკავშირთა ყრილობის დასრულების შემდეგ, ყრილობის დელეგატების საპატივცემოთ, კლუბში გაიმართა მუშათა და ჯარისკაცთა წარმომადგენლების მრავალრიცხოვანი მიტინგი.

მიტინგზე გამოვიდენ ყრილობის დელეგატები და სამხედრო სარდლობის წარმომადგენლები. **სიტყვების დასრულების შემდეგ მოხდა მუშებისა და ჯარისკაცების დაძმობილება. იმავე საღამოს შენობიდან გაიყვანეს ყველა ჯარისკაცები, შესავალ კარებში ჩააყენეს შეიარაღებული მუშათა პიკეტები.**

უცხოეთის პრესამ ინციდენტის გარშემო დიდი განგაში ასტეხა. იგი ავრცელებდა ხმებს „ხანკოუში კრიტიკული მდგომარეობის, ფინ-იუი-სიანის დეპეშის და სხვ. შესახებ".

მთელი ეს განგაში სრულიად უსაფუძვლო გამოდგა. (ადს).

სამთა კონფერენცია

ბერლინი, 1 ივლისი. ჟენევიდან იტყობინებიან, რომ სამთა კონფერენციაზე ინგლისის წარმომადგენლებმა მოულოდნელად განაცხადეს, რომ **ინგლისი თანახმაა შეერთებულ შტატების წინადადებაზე, რომ პროპორცია 5:5 გავრცელდეს ყველა კატეგორიის გემებზე.**

ამ ცნობის სისწორეს ადასტურებენ ის განცხადებები, რომლებიც გააკეთეს ჟენევაში ინგლისის დელეგაციის წარმომადგენლებმა, ინგლისის საზღვაო საქმეთა მინისტრმა **ბრიჯმენმა** და ამერიკის დელეგაციის წევრებმა. ინგლისის მოულოდნელად დათანხმება შეერთებული შტატების მოთხოვნილებაზე მოწმობს იმას, რომ **მუქარამ აიძულა ინგლისი დაეთმო თავისი პოზიცია. როგორც სჩანს ინგლისის დიპლომატია ცდილობს თავიდან აიცილოს აშკარა კონფლიქტი ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებთან და უზრუნველჰყოს** თავისი საზღვაო ძალების უპირატესობა არაპირდაპირი გზით, ხოლო პასუხისმგებლობა ამერიკის სურვილების შეუსრულებლობისათვის დანარჩენ სახელმწიფოებს დააკისროს. (ადს).

ძარცვის პოლიტიკა

ბერლინი, 2 ივლისი. გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანების ბერლინის ორგანიზაციის კომიტეტის პლენუმმა აღიარა, რომ **„ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობის საბაჟო და საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენს ყვლეფისა და ძარცვის პოლიტიკას"**.

მიღებულ რეზოლიუციაში პლენუმი პროტესტს აცხადებს მთავრობის მიერ რეიხსტაგში შეტანილ საბაჟო კანონპროექტის წინააღმდეგ და მოითხოვს გადასახადების შემცირებას.

„თუ ეს მოთხოვნილება არ იქნა დაკმაყოფილებული,—ნათქვამია რეზოლიუციაში,— **მუშათა ორგანიზაციები დღის წესრიგში დასვამენ საკითხს პარლამენტს გარეშე ღონისძიებების გამოყენების შესახებ მთავრობის საშინელი მტაცებლური პოლიტიკის წინააღმდეგ საბაჟო და საგადასახადო დარგში"**. (ადს).

წყალდიდობა ნორვეგიაში

ოსლო, 1 ივლისი. ცნობები, მიღებული იმ რაიონებიდან, სადაც წყალდიდობაა, იძლევიან განადგურების საშინელ სურათს. **ზარალი მარტო რიუკანის ოლქში აღემატება 1 მილიონ კრონს.** 6 მუშა მოყვა ზვავს და დაიღუპა. (ადს).

მემამულე ფაშისტები
რესპუბლიკანური მთავრობის კმაყოფაზე

ბერლინი, 1 ივლისი. გერმანიის რეიხსტაგის ს.-დ. დეპუტატმა **როსმანმა** გამოაქვეყნა სია რესპუბლიკანურ წყობილების წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებათა იმ ხელმძღვანელებისა და მონაწილეების, რომლებიც ამჟამად სახელმწიფო პენსიას იღებენ. გენ. **ლოსოვი**, რომელიც 1923 წ. ბრძანებების შეუსრულებლობისათვის მოღალატედ და მეამბოხეთ იყო გამოცხადებული, წლიურად იღებს 8.000 მარკას. ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი **ერხარდტი** წლიურად იღებს 10.000 მარკას. 1920 წ. ფაშისტური აჯანყების ხელმძღვანელის კაპპის ქვრივი იღებს პენსიას, 1921 წ. მონარქისტების მიერ მოკლულ, ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის ერთ-ერთი ბელადის კურტ ეისნერის ქვრივს კი პენსიის მიღების უფლება წართმეული აქვს. (ადს).

მეთევზეთა გაფიცვა

პარიზი, 1 ივლისი. ბრეტანის მთელ რიგ ნავთსადგურებში **გაიმართა გაფიცულ მეთევზეთა დემონსტრაციები.** გაფიცვა მოედო უკვე ბრეტანის თითქმის ყველა ნავთსადგურებს, გარდა ლორიანისა და გრებულის.

მუშები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას. საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრმა **ტარდიემ** განაცხადა, რომ ის თანახმაა მიიღოს გაფიცულთა დელეგატების წინადადება, მაგრამ არა იმ გაფიცულთა, რომლებიც უნიტარულ პროფკავშირში ირიცხებიან, „რადგან, როგორც მან გამოარკვია, უნიტარები სრულიად დამოკიდებული არიან კომუნისტური პარტიისაგან".

შრომის უნიტარული კონფედერაციის წარმომადგენლებმა ამის გამო პროტესტი გაუგზავნეს სანაპირო ოლქის საპარლამენტო ჯგუფს. **პროტესტში ისინი ილაშქრებენ მინისტრის მიერ პროფკავშირთა შესახებ კანონის დარღვევის წინააღმდეგ.**

საპარლამენტო ჯგუფის შეკითხვაზე პუანკარემ განაცხადა, რომ მთავრობას არ მიუღია ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც კრძალავდეს ურთიერთობას უნიტარული კონფედერაციის წევრებთან (ადს).

საკო და ვანცეტი

ნიუ-იორკი, 1 ივლისი. **საკო და ვანცეტი გადაიყვანეს მასაჩუსეტსის შტ. გამასწორებელ ციხის იმ კამერაში, რომელშიაც სიკვდილით დასასჯელი პატიმრები იმყოფებიან** (ამ კამერაში მოთავსებულია ელექტრონის სკამი სიკვდილით დასჯის სისრულეში მოსაყვანად).

სიკვდილით დასჯა განზრახულია დაახლოებით 10 აგვისტოსათვის, თუ გუბერნატორმა კიდევ არ გადასდო.

ნიუ-იორკში პროფკავშირებმა დაადგინეს **7 ივლისს ერთი საათით გაფიცვა გამოაცხადონ საკო და ვანცეტის დასჯის წინააღმდეგ.** (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში
(ფრონტების მიხედვით)

ჩინეთის რევოლიუცია კვლავ კრიზისის ხანაში გადავიდა. სწორედ იმ დროს, როდესაც ბრწყინვალედ დაწყებული და წარმოებული რევოლიუციონური ჯარების სამხედრო მოქმედება უნდა დაგვირგვინებულიყო პეკინის აღებით, ე. ი. საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო ჩინეთის გაერთიანების საკითხი, სწორედ ამ დროს რევოლიუციონურ ჯარების მთავარსარდლობაში კვლავ იჩენს თავს ღალატი, მეორდება ჩან-კაი-შის ამბავი. აქაც ხომ ღალატმა იჩინა თავი მას შემდეგ, როდესაც კანტონის რევოლიუციონურმა ჯარებმა ბრწყინვალედ შეასრულეს პირველი რთული სამხედრო ოპერაცია ნანკინ-შანხაის ხაზის დაპყრობით.

ამა წლის მაისის გასულს მომხდარ კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასკომის მე-8 პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ჩინეთის რევოლიუციის შესახებ სხვათა შორის ნათქვამია: „უხანის მთავრობა და მემარცხენე გომინდანი თავისი ძირითადი ტენდენციით წარმოადგენენ ქალაქის და სოფლის წვრილბურჟუაზიულ მასების და პროლეტარიატის რევოლიუციონურ ბლოკს, მიუხედავად მოსალოდნელ და აუცილებელ ღალატისა ცალ-ცალკე გენერლების, ან და ასეთ გენერალთა ჯგუფებისა, მიუხედავათ ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწის ღალატისა, მემარცხენე გომინდანიდან, კლასთა ბრძოლის განვითარება და გაძლიერება აუცილებლად აამოძრავებს მასებს, რაც იქნება მომავალ გამარჯვების თავდები".

ამიტომ ფინ-იუ-სიანის ღალატი ჩვენთვის მოულოდნელი არ უნდა იყოს. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ღალატი ისეთ მომენტში და ისეთ პირობებში მოხდა და იმდენად ასუსტებს რევოლიუციონურ მთავრობის სამხედრო ძალას, რომ მისი მნიშვნელობა ბევრათ უფრო სერიოზულია რევოლიუციისათვის, ვიდრე ამას წინად მომხდარი ჩან-კაი-შის ღალატი.

მართალია როგორც ჩან-კაი-ში, ისე ფინ-იუ-სიანი საჯაროდ აცხადებენ და ირწმუნებიან, რომ მათი მთავარი მიზანია უცხოელ იმპერიალისტების საბოლოო განდევნა ჩინეთიდან, მაგრამ თავის თავად ცხადია, რომ ობიექტიური პირობები და კლასობრივი ინტერესები იმ სოციალურ ფენებისა, ვის ინტერესებსაც ამჟამად ეს ორი გენერალი წარმოადგენს, მათ აიძულებენ ბოლოს და ბოლოს შეუთანხმდენ სწორედ ამ უცხოელ იმპერიალისტებს. თვით ფინ-იუ-სიანის, მის მომხრე სარდლობის და ჯარის რევოლიუციიდან გათიშვა და ღალატი თავის თავად მომასწავებელია იმისა; რომ აგრარულ მოძრაობით დაშინებული მთავრობა სარდლებთან ერთად არჩევს იმპერიალისტებთან შეთანხმებას და არა რევოლიუციის დროშის ქვეშ დარჩენას.

რასაკვირველია, ამჟამად უახლოესი მიზანი ორივე მოღალატე გენერლისა კვლავ რჩება მუკდენელებთან ბრძოლა და პეკინის აღება. სწორედ ამ ოპერაციის წარმოებაში რასაკვირველია, ისინი იძულებული იქნებიან იმპერიალისტებთან დიდ კომპრომისებზე წავიდნენ.

დღეს კი პოპულიარობის და ავტორიტეტის შერჩენისათვის თავის თავს აცხადებენ იმპერიალისტების მტრად.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფინ-იუ-სიანი გადასულა კონტრ-რევოლიუციის ბანაკში და სავსებით დამორჩილებია ჩან-კაი-შის. ეს სხვათა შორის აშკარავდება იმ გეგმებიდან, რომელიც შეუმუშავებიათ მომავალ სამხედრო მოქმედებისათვის. ფინ-იუ-სიანის ჯარი სამ ნაწილად უნდა გაიყოს: ერთი ნაწილი გაიგზავნება პროვინცია შან-სისაკენ იენ-სი-შანის დასახმარებლად, მეორე ნაწილი შორს სამხრეთით სიჩუანს, გუი-ტოუს, გუან-სის და გუან-დუნის პროვინციების ჯარებთან ერთად კომუნისტების წინააღმდეგ მოქმედებისათვის და მესამე ნაწილი აღმოსავლეთით შანდუნის პროვინციის წინააღმდეგ ჩან-კაი-შის ჯარებთან ერთად. ამ რიგად ფინ-იუ-სიანის ყოფილი რევოლიუციონური ჯარი სამ ნაწილად იქსაქსება, მაშინ, როდესაც ჩან-კაი-ში თავის ჯარს მთლიანად ინარჩუნებს ხელში. თავის თავად ცხადია, რომ მომავალ სამხედრო ოპერაციებში მთავარი სარდლობა შერჩება ჩან-კაი-შის.

ჩინეთის რევოლიუციაში მოპირდაპირეთა სამხედრო ძალების რაოდენობა და სტრატეგიული მდგომარეობა ამჟამად საგრძნობლად შეიცვალა. ჩრდილოელ მილიტარისტების სამხედრო ძალები ამჟამად მნიშვნელოვან ფაქტორს სამხედრო მოქმედებაში არ წარმოადგენენ. ცხადია, რომ შეერთებული ძალები ჩან-კაი-შის, ფინ-იუ-სიანის და იენ-სი-შანისა მოკლე ხანში მოუღებენ ბოლოს ჩან-ძო-ლინს და აიღებენ პეკინს. მაგრამ პეკინის აღება ასეთ პირობებში სრულიადაც არ ნიშნავს ჩინეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობის მთავარი მიზნის მიღწევას—ჩინეთის გაერთიანებას და ნაციონალურ განთავისუფლებას, რადგანაც ასეთი მიზნის განხორციელების მთავარი და უძლიერესი მოწინააღმდეგე უცხოელი იმპერიალიზმი, თავით ფეხამდე შეიარაღებული მაინც რჩება და მასთან ბრძოლა ჩინეთის ლიბერალური ბურჟუაზია, რომლის წარმომადგენლები და ნების აღმსრულებელნი არიან ჩან-კაი-ში, ფინ-იუ-სიანი და იენ-სი-შანი, ვერ შესძლებს და არც ისურვებს. უცხოელ იმპერიალისტების დამხობა და ჩინეთის საბოლოო გაერთიანება და განთავისუფლება მხოლოდ ჩინეთის რევოლიუციას ძალუძს, რევოლიუციას, რომლის მთავარი მომქმედი ძალა იქნება პროლეტარიატი და რევოლიუციონური გლეხობა.

აწინდელი ჩინეთის ომის ისტორია ცხადად გვიმტკიცებს, რომ თუ წინანდელი კანტონის ჯარი, ჩან-კაი-შის მეთაურობით ბრწყინვალედ იმარჯვებდა და შესანიშნავად აწარმოა ხანკოუ, შანხაის და ნანკინის ოპერაციები, ეს ფაქტი მეტ ნაწილად აიხსნება ჩინეთის პროლეტარიატის და რევოლიუციონური გლეხობის აქტიური და თავდადებული დახმარებით, თუ ფინ-იუ-სიანმა თავის მხრით შესძლო განადგურება მუკდენელების ჯარისა ჩენ-ჯოუ-კაიფინთან, აქაც ეს გამარჯვება მეტ ნაწილად აიხსნება რევოლიუციონურ გლეხობის დახმარებით. თუ კანტონმა ვერ შესძლო თავის დროზე ფინ-იუ-სიანის ოპერაციებისათვის ხელის შეშლა, აქაც უნდა დაუმადლოს გუან-დუნის და ხუბეის პროვინციების გლეხობას, რომელთაც შეაკავეს და დაბანდეს კონტრ-რევოლიუციონურ კანტონის ჯარები. იმავე ფინ-იუ-სიანმა სხვაზე კარგად უნდა იცოდეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჯარების და რევოლიუციონურ გლეხობის ურთიერთ შორის განწყობილებას. ფინ-იუ-სიანის შარშანდელი სასტიკი დამარცხება უ-პეი-ფუს ჯარების მიერ სწორედ გამოწვეული იყო იმით, რომ ფინ-იუ-სიანის ჯარმა მაშინ ვერ მოაგვარა ურთიერთობა გლეხთა შეიარაღებულ რაზმებთან და აამხედრა უკანასკნელნი თავის წინააღმდეგ.

ეხლა ფინ-იუ-სიანის ღალატი და მისი აუცილებელი შემდეგი ბრძოლა მთელი ჩინეთის ამოძრავებულ გლეხობის წინააღმდეგ სრულიად სცვლის ჩინეთში სამხედრო მდგომარეობას, არც ისე ადვილი იქნება კონტრ-რევოლიუციონურ გენერლების გალაშქრება ამ რევოლიუციონურ მასის წინააღმდეგ. ასეთი ბრძოლის წარმოებისათვის დიდძალი ჯარია საჭირო და თუ ასეთ დიდ ძალას ჩააბამენ გენერლები ამ ბრძოლაში, მაშინ რაღა დარჩებათ პეკინის მიმართ სამხედრო ოპერაციების წარმოებისათვის.

შეიძლება, რასაკვირველია, რომ ფინ-იუ-სიანმა ჩან-კაი-შისთან ერთად გაანადგუროს ამჟამად უჯაროდ დარჩენილი უხანის მთავრობა, შეიძლება თვით ამ მთავრობაში მოხდეს შინაგანი განხეთქილება და გაითიშონ კიდევ დარჩენილი მერყევი ელემენტები, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს ჩინეთის ამოძრავებულ მასების დაპყრობას, ჩინეთის რევოლიუციის საბოლოოდ ჩაქრობას.

ვიმეორებთ, რომ ეხლანდელი კრიზისი ჩინეთის რევოლიუციისა, მეტად სერიოზულია, მაგრამ რევოლიუციონური მოძრაობა იმ დონემდე მივიდა, როდესაც მისი შეჩერება იმ კონტრ-რევოლიუციონურ ძალების საშუალებით, რომელიც მოეპოვება ჩინეთის ბურჟუაზიას, თუნდაც უცხოელ იმპერიალისტების დახმარებით, ყოვლად შეუძლებელია.

ი. გედევანიშვილი.

საბჭოთა პრესა
კოოპერაცია და ფასების დაკლება

ბრძოლა ფასების დაკლებისათვის კი არ უნდა შენელდეს, არამედ კიდევ **უფრო გაძლიერდეს**—ასეთია დირექტივა, რომელიც უნდა გატარდეს ყოველ მიზეზს გარეშე. მიუხედავათ იმისა, რომ პირველი ივნისისათვის ჩვენ საგრძნობ შედეგებს მივაღწიეთ ფასების დაკლების მხრით, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ გასაკეთებელი კიდევ მეტი გვაქვს. რადგან თვით მიღწეული დონეც ფასების დაკლების, არის შედეგი არა იმდენად კოოპერატიული სავაჭრო ორგანიზაციული სისტემის გაუმჯობესებისა და გაიაფების, რასაც სხვათა შორის მიზნად ისახავდა კამპანია, არამედ ის შედეგია კოოპერაციის ზედმეტი მოგების მექანიკურად შემცირებისა და სახელმწიფო მრეწველობის მიერ ფასების დაკლების. გზა, რომლითაც მიდიოდა დღემდე ფასების დაკლების კამპანია, იყო შედარებით ადვილი. როგორც ვსთქვით ამ დაკლების წყარო არ ყოფილა (ან იყო სრულიად უმნიშვნელო ნაწილში) სავაჭრო აპარატის რაციონალიზაცია და გაიაფება. სწორედ ამ მხრით არის ამიერიდან საჭირო შეტევა მედგარი. პირველ ივნისამდი განვლილი დრო ამ კამპანიისა იძლევა გამოცდილებას, რომლის მიხედვით უნდა წარიმართოს უფრო ენერგიულად ეს კამპანია. ამავე დროის მუშაობის ნაკლულოვანებანი გვაძლევს მასალას იმისათვის, თუ როგორ უნდა გამოსწორდნენ ისინი. მოსკოვის **„რაბოჩაია გაზეტა"** უთითებს ამ ნაკლულოვანებათა შორის იმაზე, რომ

„მთელ რიგ ადგილებში მასების ჩარევა ამ საქმეში ფაქტიურად არ გატარებულა. იმის მაგიერ, რომ მუშათა და გლეხთა მასები ორგანიულად ჩაეყოლიათ ფასების დაკლების მუშაობაში, ბევრი პარტორგანიზაციები უმთავრეს ყურადღებას აქცევდნენ საგიტაციო და ახსნა-განმარტების მუშაობას. ამის შედეგია ის, რომ მუშურ-გლეხურ მომხმარებელთა გამოცდილება ვერ იქნა გამოყენებული".

თავისთავად ცხადია, რომ აგიტაცია და ახსნა-განმარტება წინასწარი პირობაა მასების ამოძრავებისა ყოველ კამპანიაში, მაგრამ მას მნიშვნელობა არ ექნება, თუ ამ პუნქტზე გაცივდა საქმე და რეალური ნაყოფი ამ აგიტაციამ არ გამოიღო, ე. ი. ამ შემთხვევაში თუ არ მოხდა მასების **ორგანიული** მონაწილეობა ფასების დაკლების ღონისძიებათა გამომუშავებაში და, რაც უმთავრესია, მათ გატარებაში. ცხადია ეს საქმე კვლევ წინ გვიდევს გასაკეთებლად იქ, სადაც ის კიდევ არ შესრულებულა ე. ი. თითქმის ყველგან, და განსაკუთრებით კი სოფლად. კამპანიის ნაკლულოვანებათაგან სწორედ ამაზე, ე. ი. მასების ამოძრავებაზე, იმიტომ ვაქცევთ დღეს ყურადღებას, რომ ეს არის უმთავრესი წინასწარი პირობა ფასების დაკლების გასატარებლად, ხოლო ეს პირობა დღემდე არ შესრულებულა, ან ძალიან სუსტად.

კომუნისტების საპროტესტო დემონსტრაციაზე პარიზში

მარჯვნიდან მარცხნივ—ძველი კომუნარი კამელინა, მარსელ კაშენ, ვაიან-კუტიური და სხვ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდაცვის კვირეულის მნიშვნელობა
ამხ. რიკოვის წერილი

მოსკოვი, 2 ივლისი. „რაბოჩაია გაზეტას" 2 ივლისის ნომერში მოთავსებულია ამხ. რიკოვის შემდეგი წერილი სათაურით „თავდაცვის კვირეულის მნიშვნელობა".

„ინგლისი და საბჭოთა კავშირის შორის ურთიერთობის შეწყვეტა, რაც მოხდა დიდი ბრიტანეთის შუბლმაგარ კონსერვატორების ინიციატივით, წარმოადგენს სერიოზულ მუქარას მშვიდობიან მუშაობისთვის. ამ საშიშროების წინააღმდეგ ერთად-ერთ ღირსეულ პასუხად ჩაითვლება ფართე მასების ახალი ღონისძიების გამოჩენა საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეში. „თავდაცვის კვირეული" ასეთ პირობებში, ეს არის წითელი არმიის და წითელი ფლოტის დასახმარებელი, ჩვენი ქვეყნის უსაზღვრო ძალთა მობილიზაციის კვირეული. ეს არის კვირეული წითელი არმიის ზურგის მოწყობისა და განმტკიცებისა. „თავდაცვის კვირეული"—ეს არის კვირეული ჩვენი ქვეყნის ყველა ძალთა სასტიკი გადასინჯვის, როგორც სამხედრო, ისე სამეურნეო და კულტურულ ფრონტებზე. „თავდაცვის კვირეული"—ეს არის კვირეული ჩვენი კავშირის ყველა ძალთა მომზადების შემოწმებისა მუშათა კლასის და ოქტომბრის რევოლიუციის, მსოფლიოში უდიდესი მონაპოვარის—საბჭოთა რესპუბლიკის დაცვის საქმისათვის. ამ დღეებში ქიმიურ მრეწველობის და თავდაცვისათვის ხელშემწყობმა საზოგადოებამ უნდა გასინჯოს თავისი მუშაობის მეთოდები, როგორც საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, რომლის მოქმედება ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის თავდაცვას და მის საჰაერო ფლოტის და ქიმიური მრეწველობის განვითარებას. ამ დღეებში აღნიშნულმა საზოგადოებამ უნდა გააორკეცოს თავისი რიგები. ვინც არ იმყოფება წითელ არმიაში, უნდა წავიდეს ქიმიურ მრეწველობის და თავდაცვისათვის ხელშემწყობ საზოგადოების რიგებში და მუდამ მზად უნდა იყოს საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის. „თავდაცვის კვირეული" უნდა წარმოადგენდეს დასაწყისს, პირველ მძლავრ ღონისძიებას იმ მუშაობაში, რომელსაც მუშათა კლასი და მთელი ქვეყანა უნდა აწარმოებდეს დღითი დღე, დიდის სიმტკიცით, საბჭოთა კავშირის თავდაცვის უზრუნველსაყოფად და სოციალისტური მშენებლობის დასაცავად. საბჭოთა ქვეყნის თვითეულმა მშრომელმა უნდა იცოდეს თოფის ხმარება, უნდა იცოდეს როგორ უნდა თავდაცვის წარმოება ქიმიურ ომში, უნდა იცოდეს რა აკეთოს თავისი ქვეყნის სამხედრო ძლიერების განსამტკიცებლად როგორც მომზადების, ისე საბჭოთა სახელმწიფოს დაცვის ხანაში. ამ საქმეში ქიმიური მრეწველობის და თავდაცვისათვის ხელშემწყობი საზოგადოების ყოველი უჯრედი უნდა წარმოადგენდეს ცენტრს, რომელიც დარაზმავს საბჭოთა სახელმწიფოს დაცვისათვის საჭირო ყველა ძალებს". (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ლორდთა უფლებების გაფართოება

ლონდონი, 1 ივლისი. „დეილი ჰერალდის" ცნობით, ბოლდუინმა 6 ივლისს შეიძლება აცნობოს თემთა პალატას, რომ 1928 წელში მთავრობა შეიტანს კანონპროექტს ლორდთა და თემთა პალატების წარმომადგენლებისაგან შემდგარ კომისიისათვის იმ საკითხების გადაწყვეტის უფლების მინიჭების შესახებ, რომლებიც შეეხებიან სახელმწიფოებრივ-საფინანსო ხასიათის საბუთებს. (ამჟამად სახელმწიფოებრივ-საფინანსო ხასიათის საბუთების დადასტურება შეადგენს თემთა პალატის თავმჯდომარის განსაკუთრებულ უფლებას). (ადს).

სემარის საქმე

პარიზი, 1 ივლისი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ სააპელაციო სასამართლომ სემარს აცნობა, რომ ის ციხეში უნდა გამოცხადდეს 4 ივლისამდე. (ადს).

საარჩევნო რეფორმის პროექტი

პარიზი, 1 ივლისი. 1 ივლისს პალატა შეუდგა საარჩევნო რეფორმის პროექტის განხილვას; პროექტი ითვალისწინებს ცალკე კანდიდატურების სისტემის შემოღებას.

რადიკალმა დეპუტატმა ვერლომ მოითხოვა, რომ საკითხის განხილვა შეწყვეტილი ყოფილიყო და პროექტი კომისიას გადასცემოდა. პალატამ უარჰყო ვერლოს რეზოლიუცია. (ადს).

გაფიცვა შანხაის აბრეშუმის სართავ ქარხნებში

შანხაი, 2 ივლისი. მოლაპარაკება აბრეშუმის სართავ ქარხნების გაფიცულ მუშა-ქალებსა და ადმინისტრაციას შორის. უშედეგოთ გათავდა. როგორც უცხოელთა უბანში, ისე ქალაქის ჩინურ ნაწილში გაფიცვა გრძელდება: გაფიცულია 7.000-მდე მუშა-ქალი. (ადს).

საბჭოთა კავშირის დასაცავად

ბერლინი, 2 ივლისი. ზოლინგენის ფაბქარხკომების და პროფორგანიზაციების თანამდებობის პირთა პლენუმმა, მიიღო მიმართვა გერმანიის მშრომელთა მიმართ, რომელშიაც მოუწოდებენ პროფკავშირებს და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს გაერთიანდნენ იმპერიალისტური ომის საფრთხის წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლის ლოზუნგის ქვეშ, ვინაიდან საბჭოთა კავშირზე თავდასხმა ნიშნავს საერთაშორისო პროლეტარიატზე თავდასხმას და საბჭოთა კავშირის დაცვა, წარმოადგენს მშრომელთა უფლებების ნამდვილ დაცვას. მიმართვა მოუწოდებს პროფკავშირთა საერთო დემონსტრაციების მოწყობისაკენ და საერთო ფრონტის შექმნისაკენ წარმოების ცალკე დარგებში (ადს).

შეტევა პეკინზე

შანხაი, 2 ივლისი. პეკინიდან მიღებული ცნობებით, ენ-სი-შანმა უბრძანა თავის ჯარებს გაილაშქრონ ჩჟილის პროვინციისაკენ ხუთი მიმართულებით.

პეკინში მდგომარეობა გართულებულია (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს დეკლარაციის შემდეგ

ლონდონი, 1 ივლისი. „დეილი ჰერალდი"—ერთად-ერთი გაზეთია, რომელმაც გამოაქვეყნა შინაარსი საკავშირო პროფსაბჭოს დეკლარაციისა ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ.

ლიბერალური „ვესტმინსტერ გაზეტ"-ი სწერს, რომ გენერალურ საბჭოს ზოგიერთი წევრები საკავშირო პროფსაბჭოს დეკლარაციას ისე აფასებენ, როგორც გენერალურ საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს შორის შეთანხმების შეგნებულ გაწყვეტას (ადს).

ომის საფრთხის წინააღმდეგ

ბერლინი, 2 ივლისი. ბერლინის მუნიციპალური და სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების კავშირის საერთო კრება მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნავს, რომ ინგლისის იმპერიალიზმი ემზადება ომისათვის ერთად-ერთ მუშურ სახელმწიფოს—ს. ს. რ. კავშირის და ჩინეთის წინააღმდეგ. რეზოლიუცია მოითხოვს, რომ კავშირის პრეზიდიუმმა და გერმანიის პროფკავშირების გაერთიანების ბერლინის კომიტეტმა დაიწყონ კამპანია ომის საშიშროების წინააღმდეგ (ადს)

ანტი-იაპონური ბოიკოტის მოხსნა?

შანხაი, 2 ივლისი. იაპონური წყაროებიდან მიღებული ცნობით, ჩან-კაი-შიმ დეპეშით უბრძანა ჩინეთის სავაჭრო პალატას დაუყოვნებლივ შეწყვიტოს იაპონური საქონლის ბოიკოტი.

აღნიშნული ცნობა საჭიროებს შემოწმებას (ადს).

მუშკორების კონფერენცია

ახალციხე, 1 ივლისი. ქ. ახალციხეში გაიხსნა პირველი სამაზრო მუშგლეხსამკორების კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 150-მდე კორესპონდენტი. კონფერენციის გახსნა მოხდა საზეიმო პირობებში. საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. სტალინი, ბუხარინი, კრუპსკაია, ულიანოვა, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, კახიანი, ვოროშილოვი, ქართველიშვილი და სხვები. კონფერენციას მიესალმნენ საკავშირო კომპარტიის ამ.-კავ. საოლქო კომიტეტის, საქ. კომპარტიის ცეკას, გაზეთ „ენი კიანდ" და „რაბოჩაია პრავდას" რედაქციების წარმომადგენლები.

გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციისაგან მიღებული იქნა მისასალმებელი დეპეშა. კონფერენციას მხურვალედ მიესალმნენ აგრეთვე რაიონების, სამხედრო ნაწილების და მთელი რიგი სამაზრო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენციასთან მოეწყო კედლის გაზეთების სამაზრო გამოფენა, რომელიც ყურადღებას იპყრობს თავისი მრავალფეროვნობით და გაფორმებით (ადს).

ბულგარეთის პარლამენტში

ვენა, 1 ივლისი. რამდენიმე დღე ზედიზედ ბულგარეთის პარლამენტი იხილავდა არჩევნების შედეგებს. კამათი მეტად მღელვარე ხასიათს ატარებდა. ოპოზიციის დეპუტატები ილაშქრებდნენ მთავრობის წინააღმდეგ არჩევნების დროს უკანასკნელის მიერ წარმოებულ ტერორის გამო. ოპოზიციის დეპუტატები მოითხოვდენ არჩევნების გაუქმებას მთელ რიგ საარჩევნო ოლქებში და ახალი არჩევნების დანიშვნას. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მთავრობის უმრავლესობით პარლამენტმა მაინც დაამტკიცა არჩევნების შედეგები. (ადს).

პოლიციის პროვოკაცია

ვენა, 1 ივლისი. გამოირკვა, რომ ცნობა თითქოს პოლიტიკურ პატიმრებს განზრახული ჰქონდეთ სოფიის ციხიდან გაქცევა, არის პოლიციის პროვოკაცია. როცა პატიმრებმა შეიტყვეს პოლიციის მიერ გავრცელებული პროვოკაცია, მათ დაწვრილებითი ახსნა-განმარტება მიაწოდეს ოპოზიციურ პრესას. მაშინ პოლიცია იძულებული გახდა წინასწარ გამოეაშკარავებინა „პატიმართა გაქცევის გეგმა", რომელსაც „ჩაშლილად" აცხადებს. (ადს).

ინგლისის კარნახით

ოსლო, 1 ივლისი. ნორვეგიის პოლიცია არ დაკმაყოფილდა ნორვეგიის კომპარტიის ცეკას შენობაზე მოწყობილ თავდასხმით და დაპატიმრებულთა ბინებიც კი გაჩხრიკა. პოლიციამ კონფისკაცია უყო მრავალ ბროშიურას, ფურცლებს და სხვა მასალას. კომუნისტური პრესა აღნიშნავს, რომ არასდროს ნორვეგიის მთავრობა არ იჩენდა ინგლისის გულის მოგების ასეთ სურვილს. ამიტომ კომუნისტური პრესა აცხადებს, რომ ყველაფერი ეს არის პირველი ნაბიჯი ნორვეგიის კომპარტიის ლეგალური არსებობის მოსპობისაკენ. (ადს).

ბერდის ჰაეროპლანი
ლამანშში ჩავარდა

პარიზი, 1 ივლისი. მიღებულია ცნობა, რომ ამერიკელი მფრინავის ბერდის აპარატი, რომელიც ნიუ-იორკიდან პარიზისაკენ გაფრინდა სამი მგზავრით, 30 ივნისს შუაღამეზე შენიშნეს ბრეტანში, ქალაქ რენნთან. ღამის სამ საათზე ბერდის აპარატი პარიზის მიდამოებზე გადაუფრინდა. დილის 6 საათზე ბერდის აპარატი ლამანშში ჩავარდა, კალვადოსის დეპარტამენტიდან 200 მეტრის დაშორებით. მგზავრები არ დაშავებულან. დაღუპვას გადაურჩნენ პატარა ნავის საშუალებით, რომელიც აპარატზე ჰქონდათ. ნაპირზე ბერდმა სთხოვა მეთევზეებს დახმარებოდნენ აპარატის ნაპირზე ამოტანაში. მიუხედავად ძლიერი ღელვისა აპარატი არ აღმოჩნდა ისე დაზიანებული, როგორც მოელოდნენ.

გამოირკვა, რომ ბერდი ნისლში დაიბნა და კატასტროფამდე მთელი 4 საათის განმავლობაში ტრიალებდა საფრანგეთის ტერიტორიაზე.

მფრინავი ბერდი

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

წითელი ფლოტის მეთაურთა გამოშვება

მოსკოვი, 2 ივლისი. წითელი ფლოტის მეთაურთა შემადგენლობის ახალი კადრის გამოშვების გამო, სამხედრო-რევოლიუციონურმა საბჭომ გამოსცა ბრძანება, რომელსაც ხელს აწერს ამხ. ვოროშილოვი.

ბრძანებაში ნათქვამია: „საერთაშორისო მდგომარეობის გართულებისა და სამხედრო ინტერვენციის საშიშროების მომენტში, როდესაც ჩვენდა სამტროთაა განწყობილი უძლიერესი სამხედრო ფლოტის მქონე სახელმწიფო—ინგლისი, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წითელი საზღვაო აკადემიის კურსდამთავრებულთა გამოშვებას. ჩვენი ფლოტის ახალგაზრდა მეთაურებმა განამტკიცეს სამოქალაქო ომებში მიღებული პრაქტიკული გამოცდილება თეორიული მომზადებით. არის განსაკუთრებული ღირებულებისაა საბჭოთა კავშირის საზღვაო ძლიერებისათვის" (ადს).

საკავშირო კოოპერატიულ ორგანოს დაარსება

მოსკოვი, 2 ივლისი. საკავშირო სახკომსაბჭომ მოისმინა ამხ. ლიუბიმოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის ცენტრალური კოოპერატიული ორგანიზაციის დაარსების შესახებ და მიანდო „ცენტროსოიუზს" გამოიმუშაოს საკავშირო „ცენტროკავშირის" წესდება, რომელიც წარედგინება დასამტკიცებლად საკავ. სახკომსაბჭოს (ადს).

პროფმოძრაობის მთლიანობის იუბილე

მოსკოვი, 2 ივლისი. პროფესიონალური მოძრაობის 10 წლისთავის საიუბილეო ზეიმი საბჭოთა კავშირში ჩატარდება აგვისტოს შუა რიცხვებში.

საიუბილეო ზეიმის ჩატარება განზრახულია, საკავშირო პროფსაბჭოს მორიგი პლენუმის მოწვევის დღეებში (ადს).

მუშა-ქალები და წარმოების რაციონალიზაცია

მოსკოვი, 2 ივლისი. წარმოების რაციონალიზაციის კამპანიის დაწყების გამო საკავშ. კ. პ. (ბ) მუშა-ქალთა განყოფილებამ მიმართა ადგილებს წერილით, რომელშიაც აღნიშნულია მთელი რიგი ღონისძიებებისა კამპანიის ჩატარებაში მუშა-ქალთა მასების მისაზიდავათ (ადს).

დანციგის სავაჭრო დელეგაცია

კიევი, 2 ივლისი. ჩამოვიდა დანციგის სავაჭრო დელეგაცია. დელეგაციის თავმჯდომარე მინსკში გაემგზავრა დანციგისათვის ბელორუსიის ხე-ტყის შესყიდვაზე მოსალაპარაკებლად (ადს).

ეგვიპტის ბამბა

ლენინგრადი, 2 ივლისი. ალექსანდრიიდან ლენინგრადისაკენ წამოვიდა ეგვიპტური ბამბით დატვირთული საბჭოთა გემი „ლიბკნეხტი". მას უკან მოჰყვება ბამბით დატვირთული გემი „კამო".

ინგლისთან კავშირის გაწყვეტამდი ეგვიპტური ბამბის შესყიდვა ინგლისური ფირმების შუამავლობით ხდებოდა. ეხლა შუამავლობა გაუქმებულია და ბამბის შესყიდვა პირდაპირ ეგვიპტეში ხდება (ადს).

სამხედრო აკადემიის მეთაურთა გამოშვება

მოსკოვი, 2 ივლისი. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო აკადემიის მიერ მეთაურთა გამოშვების გამო, გამოქვეყნებულია ამხ. ვოროშილოვის ბრძანება, რომელიც მეთაურებს ულოცავს სწავლის წარმატებით დამთავრებას (ადს).

დახმარება უხანის დაჭრილებს

მოსკოვი, 2 ივლისი. საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს მოწოდებამ უხანის რევოლიუციონურ დაჭრილ ჯარისკაცებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, მხურვალე გამოძახილი ჰპოვა საბჭოთა პროფორგანიზაციებში. მბეჭდავთა კავშირის ცეკამ უხანის ჯარისკაცების დასახმარებლად გადასდო 500 მანეთი. გემოსნების კავშირის ცეკამ ამავე მიზნით გადასდო 1.000 მანეთი. პირველი თანხა უკვე მიღებულია კავშირების ცეკადან. (ადს).

ლენინგრადი, 2 ივლ. საგუბერნიო პროფსაბჭომ უხანის დაჭრილ ჯარისკაცების სასარგებლოთ გადასდო 2.000 მანეთი და მოუწოდა ყველა კავშირებს მონაწილეობა მიიღონ დახმარების კამპანიაში (ადს).

ინგლისელი პიონერები მოსკოვში

მოსკოვი, 2 ივლისი. ლენინგრადიდან მოსკოვში ჩამოვიდნენ ინგლისელი პიონერები. ინგლისელ სტუმრებს მოსკოვის სადგურზე შეხვდა 500 პიონერი. ბავშვები გაჩერდნენ სოკოლნიკში. მოსკოვში ისინი ერთ თვემდე დარჩებიან (ადს).

ორთქლმავალი და თბომავალი

მოსკოვი, 2 ივლისი. მოსკოვის ახლოს მოხდა თბომავლებისა და საბჭოთა კონსტრუქციის სწრაფმავალ ახალ ორთქლმავალის შეჯიბრება. თბომავლებს მიჰყავდათ 1000 ტონა მატარებლები 35 კილომეტრის სისწრაფით საათში, ორთქლმავალს მიჰყავდა 730 ტონა მატარებელი 100 კილომეტრის სისწრაფით საათში (ადს).

ქვეყნის თავდაცვის ფონდი

მოსკოვი, 2 ივლისი. გლეხთა ურთიერთდამხმარე საზოგადოებათა ცეკამ ქვეყნის თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად გადასდო 300 მანეთი და ყველა გლეხკომებს მოუწოდა დაიწყონ ამ ფონდისათვის შემოწირულების მოგროვება (ადს).

კოოპერატიული ბანკის რეორგანიზაცია

მოსკოვი, 2 ივლისი. საკავშირო კოოპერატიული ბანკის აქციონერთა წლიურმა კრებამ გადასწყვიტა საკ. კოოპ. ბანკის გადაკეთება კოოპერაციისათვის სესხის მიმწოდებელ საკავშირო ძირითად ბანკად.

ბანკის მოგებიდან 50.000 მანეთი გადარიცხულია ფონდისათვის „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს" და ტანკების ასაგებათ. საკავშირო კოოპერატიული ბანკის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ხინჩუკი (ადს).

ჩქარი მატარებლის კატასტროფა

ბლაგოვეშჩენსკი, 2 ივლისი. ამურის რკინის გზის ომუტნის სადგურის ახლოს, 29 ივნისს დაიმტვრა ვლადივოსტოკიდან ირკუტსკისაკენ მიმავალი ჩქარი მატარებელი. ლიანდაგიდან გადავარდა 6 ვაგონი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა (ადს).

კოსტა და რინიო ნოვოსიბირსკზე

ნოვოსიბირსკი, 2 ივლისი. 30 ივნისს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე ნოვოსიბირსკის ახლოს, 600 მეტრის სიმაღლეზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადაფრინდა შავი ბიპლანი. ბიპლანი დიდი სისწრაფით მიდიოდა. ეჭვს გარეშეა, რომ ბიპლანში იყვნენ ფრანგი მფრინავები კოსტა და რინიო, რომლებიც 28 ივნისს პარიზიდან ჩიტისაკენ გადაფრინდნენ (ადს).

მიწისძვრა კომანდორის კუნძულებზე

ვლადივოსტოკი, 2 ივლისი. მიღებულია ცნობები კომანდორის კუნძულებზე (კამჩატკის ახლოს) 26 ივნისს მომხდარი მიწისძვრის შესახებ. (ადს).

უკრაინა

სახელმწიფო სესხის ტირაჟი

ოდესა, 2 ივლისი. პირველ ივლისს დაიწყო პირველი სახელმწიფო მომგებიანი სესხის მეათე ტირაჟი. (ადს).

ავსტრიის მუშა-სპორტსმენები კიევში

კიევი, 2 ივლისი, კიევში ჩამოვიდნენ ავსტრიის მუშა-სპორტსმენები. ჩამოსულია 18 კაცი. მათი უმრავლესობა მელითონეებია. პირველ ივლისს მოხდება პირველი შეჯიბრი სტუმრებისა და კიევის მელითონეთა კავშირის ფეხბურთელთა რაზმს შორის (ადს).

ყირიმი

ახალი მინერალური წყაროები

სიმფეროპოლი, 2 ივლისი. მიწისძვრის შემდეგ ყირიმში აღმოჩნდა ახალი მინერალური წყაროები, კურორტების სამართველო შეუდგა ახალი წყაროების თვისებების გამოკვლევას (ადს).

უბედურ შემთხვევას მოგზაურებს შორის ადგილი არ ჰქონია

მოსკოვი, 2 ივლისი. მთავარი საკურორტო სამმართველო იტყობინება, რომ ყირიმში მომხდარ მიწისძვრის დროს ავადმყოფებსა და მოგზაურებს შორის უბედურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია (ადს).

დრუჟელოვსკის საქმე
ვინ ამზადებდა ყალბ საბჭოთა დოკუმენტებს

მოსკოვი, 2 ივლისი. საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს საგანგებო გამომძიებელმა ამხ. გალპერინმა დაასრულა გამოძიება ყალბი საბუთების ცნობილ „ფაბრიკანტის" დრუჟელოვსკის საქმეზე.

1926 წ. ივნისის დამლევს დრუჟელოვსკი არალეგალურად გადმოვიდა საბჭოთა კავშირის საზღვარზე. 29 ივნისს იგი დაპატიმრებულ იქნა გაერთიანებულ პოლიტ. სამმართველოს მიერ.

დრუჟელოვსკის წარედგინა ბრალდება, რომ ის იმყოფებოდა პოლონეთის გენერალური შტაბის სამსახურში, მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ჯაშუშურ მუშაობაში უცხოეთის სახელმწიფოთა მზვერავ ორგანოების დავალებით და ადგენდა მათთვის საბჭოთა მთავრობისა და კომინტერნის ყალბ საბუთებს, რომელთაც შეეძლოთ გამოეწვია საბჭოთა კავშირის მიერ დადებულ ხელშეკრულებათა და დიპლომატიურ ურთიერთობათა გაწყვეტა.

დრუჟელოვსკიმ დამნაშავედ სცნო თავი წარდგენილ ბრალდებებში. მან განაცხადა, რომ ყალბი საბუთების დამზადების საქმეში ის მხოლოდ შემსრულებელი იყო, ყალბი საბუთების ნამდვილი შემდგენნი კი იყვნენ ბურჟუაზიულ ქვეყნების მთავრობები, რომლებიც აწარმოებდენ ორგანიზაციულად მოწყობილ ანტი-საბჭოთა კამპანიას, რასაც მეთაურობდა ინგლისი.

დრუჟელოვსკის საქმე გაირჩევა საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში 8 ივლისს (ადს).

პროფინტერნის მოწოდება

მოსკოვი, 2 ივლისი. საბერძნეთში 40.000 მეთამბაქოების ლოკაუტთან და სოფიაში მუშა-მეთამბაქოების გაფიცვასთან დაკავშირებით, პროფინტერნმა მიმართა ყველა ქვეყნის მუშებს შემდეგი მოწოდებით:

„პროფკავშირთა წითელი ინტერნაციონალი,—ნათქვამია მოწოდებაში,—მის რიგებში დარაზმულ მილიონ მუშების სახელით, თავის უღრმეს თანაგრძნობას უცხადებს საბერძნეთისა და ბულგარეთის პროლეტარიატს მათ ბრძოლაში.

საბერძნეთისა და ბულგარეთის რამოდენიმე ათეული ათასი მუშების გაფიცვა არწმუნებს საერთაშორისო პროლეტარიატს, რომ უსაშინელეს ტერორის ქვეყნებშიაც კი, რევოლიუციური პროფმოძრაობა ძლევამოსილად ვითარდება. პროფინტერნის აღმასრულებელი მოუწოდებს ყველა მის თანამებრძოლ ორგანიზაციებს, ფართოდ აუხსნან მუშებს ბულგარეთისა და საბერძნეთის ამხანაგების შეუპოვარი ბრძოლის მნიშვნელობა, მათი კლასობრივი განთავისუფლების საქმისათვის (ადს).

პოლონეთის ჰაეროპლანი
მინსკში

მინსკი, 2 ივლისი. 29 ივნისს საღამოს 8 საათზე პოლონეთის მხრიდან გამოჩნდა ორი სამხედრო აეროპლანი, რომლებიც მოფრინავდენ მინსკისაკენ. რვა საათსა და 40 წუთზე ისინი გამოჩნდნენ ქალაქთან. ხუთმეტი წუთის განმავლობაში ფრენდნენ ისინი ქალაქის ირგვლივ და შემდეგ დაეშვნენ მინსკის აეროდრომზე. ისინი აღმოჩნდნენ პოლონეთის მეთერთმეტე გამანადგურებელი პოლკის და 114 ესკადრილიის აეროპლანები. ერთერთ აეროპლანს მართავდა პორუჩიკი იანუშევსკი, მეორეს კი—შურლეი. მფრინავებმა განაცხადეს, რომ ისინი ვარშავიდან ვილნოსაკენ მიფრინავდენ ამერიკელ მფრინავის ჩემბერლინის შესახვედრად. მაგრამ ქარიშხალისა და სეტყვის გამო—დაიბნენ. მფრინავები დროებით დაკავებული არიან. სწარმოებს გამოძიება. (ადს).

კოოპერაციის დღე

მოსკოვი, 2 ივლისი. კოოპერაციის საერთაშორისო დღის გამო, 2 ივლისს კოოპერატიულ სისტემის ცენტრებმა ჯამი გაუკეთეს საბჭოთა ხელისუფლების 10 წლის განმავლობაში მათ მიერ გაკეთებულ მუშაობას. სამომხმარებლო კოოპერაცია წინად აერთიანებდა 210.000 წევრ-პაის მეპატრონეს და ჰქონდა ნახევარ მილიონ მანეთამდე ბრუნვა. ეხლა საბჭოთა კავშირის სამომხმარებლო კოოპერაცია აერთიანებს 12 ნახევარ მილიონ პაის მეპატრონეს.

1924 წლის ოქტომბრისათვის სამომხმარებლო კოოპერაციას ჰქონდა 37.000 დუქანი, 1926 წ. ოქტომბრისათვის კი მისი რიცხვი 63.000 დუქნამდე გაიზარდა. სამომხმარებლო კოოპერაციის ბრუნვამ მიმდინარე წელს 7 მილიარდ მანეთს მიაღწია.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში ამჟამად ითვლება 60.000 კოოპერატივი; 27.000 ტრაქტორიდან, რომელიც ეხლა საბჭოთა კავშირში მუშაობს, 80 პროც. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისაა.

შინა-მრეწველთა საწარმოო კოოპერაციის წლიური პროდუქცია ამჟამად 2 ნახ. მილიარდ მანეთს აღწევს (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

პარკის მოსავალი

ნახიჩევანი, 1 ივლისი. ორდუბადის რაიონში შეუდგნენ პარკის მოსავალის აკრეფას. მოსავალი საუკეთესოა. თითო ყუთ თესლზე საშუალოდ 4 ფუთამდე პარკი მოვიდა. სასოფლო-საკრედიტო ამხანაგობამ დაიწყო პარკის შესყიდვა გლეხებისაგან (ადს).

საზაფხულო პედაგოგიური კურსები

ნახიჩევანი, 1 ივლისი. ნახიჩევანის სახალხო განათლების კომისარიატმა ორდუბადში გახსნა საზაფხულო პედაგოგიური კურსები 62 კაცისათვის (ადს).

ქარიშხალი

ნუხა, 1 ივლისი. გუშინ, დაახლოვებით 19 საათზე, ქალაქზე გადაიარა ძლიერმა ქარიშხალმა, რომელსაც მოჰყვა წვიმა და სეტყვა. ნიაღვარმა დააზიანა ქუჩები და ქვაფენილები. რამდენიმე დარაბა წყლით აივსო. ქალაქის ზემო ნაწილში სეტყვა კაკლის ოდენა იყო და ვერშოკ ნახევრის სიმაღლეზე დაფარა მიწა (ადს).

მეჩეთი სკოლად

აშტარაკი, 1 ივლისი. თურქების სოფლის ტაკას თემსაბჭომ ერთხმად დაადგინა გადააკეთოს მეჩეთის შენობა სკოლად. აღნიშნულ სოფელში დღემდე სკოლა არ ყოფილა. (ადს).

ნახიჩევანის ცაკის სესია

ნახიჩევანი, 30 ივნისი. დამთავრდა ნახიჩევანის ცაკის სესია. (ადს).

პედაგოგიური კურსები

ნუხა, 30 ივნისი. გახსნილია ორ თვიური პედაგოგიური კურსები. აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის სხვა და სხვა მაზრებიდან ჩამოსული კურსანტების რიცხვი 300 კაცს აღემატება. (ადს).

ამიერ-კავკასიის მშრომელთ

ამ ოთხი წლის წინად მშრომელთა პირველ სახელმწიფოს ცენტრში, წითელ მოსკოვში, მოხდა ღირსშესანიშნავი ამბავი, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერა პროლეტარული რევოლიუციის ისტორიაში: ამ დღეს მუშურ-გლეხურმა ხელისუფლების უზენაესმა ორგანომ, სრულიად საკავშირო ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). კონსტიტუციის მიღების მნიშვნელოვანი აქტით ნამდვილად ჩამოყალიბდა სამეურნეო-პოლიტიკური განვითარების პირობებისა და საბჭოთა რესპუბლიკებში მოსახლე ყველა ერთა ინტერესების ერთიანობა. საბოლოოდ ჩამოყალიბდა უდიდეს სახელმწიფოს დიადი შენობა, სახელმწიფოს, რომელიც ხელმძღვანელობს დაუვიწყარი ლენინის აღთქმებით. ყოველმა ერმა უამრავ ერთაგან, რომლებმაც დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება, მოიპოვა მტკიცე დასაყრდენი კავშირში ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებთან.

ამ ისტორიული აქტის წლისთავის დღეს, ა.-კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც არის მის ამომრჩევ მუშურ-გლეხურ ა.-კ. ნებისყოფის გამომხატველი, მოგმართავთ თქვენ, ამიერ-კავკასიის მშრომელებს მოწოდებით ენერგიისა, სიმხნევისა და დაუღალავი მშენებლობისაკენ. თუ თვალს გადაავლებთ წარსულ წლებს, თქვენ კარგად დაინახავთ, რომ იმპერიალისტური და სამოქალაქო ომისაგან დანგრეული თქვენი მეურნეობის აღდგენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ სუსტი, დაქსაქსული, ცალკე რესპუბლიკები შედუღდნენ ერთ ძლევამოსილ ძალაში და საერთო ენერგია მიმართეს თავის მიღწევების განმტკიცებისაკენ. თქვენ მშვენივრად იცით, რომ თუ იმპერიალისტებმა და მათმა დამქაშებმა ქვეყნის შიგნით ვერ მოახერხეს მშრომელთა საქმის ჩაშლა, მიუხედავათ ყველა მათი ძალების გაერთიანებული იერიშისა,— ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ იერიშს დაუპირდაპირდა ძლიერი კავშირის საერთო და ერთსულოვანი [illegible]. [illegible], თქვენ მშვენივრად [illegible], რომ [illegible] საბჭოთა კავშირის [illegible] არ უნდა იყოს ის, როგორც რიცხვობრივად, ისე კულტურულად,—შეუძლია ეხლა დაუბრკოლებლად განავითაროს თავისი ეროვნული კულტურა,—ყველაფერი ეს მხოლოდ იმის წყალობით, რომ მისი მშვიდობიანობის და დამოუკიდებლობის სადარაჯოზე დგას საბჭოთა რესპუბლიკების ძლევამოსილი კავშირი და კავშირის ყველა ერთა უფლებებს იცავს ურყევი კონსტიტუცია.

ამიტომ, მხურვალედ მოგესალმებათ რა თქვენ, თქვენი მიღწევებით უკანასკნელ წლებში, ა.-კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოგიწოდებთ ერთსულოვანი მუშაობისაკენ მომავალშიაც—მუშაობისაკენ სოციალიზმის სრული მშენებლობის გზაზე.

ამიერ-კავკასიის მუშებო და გლეხებო! ახალ გართულებების ჟამს საერთაშორისო პოლიტიკის დარგში, მშრომელთა საქმის ჩაშლისაკენ მიმართული იმპერიალისტური ზრახვის ახალი ცდების მომენტში,—კონსტიტუციის დღესასწაულმა უნდა მოაგონოს საბჭოთა კავშირის ყველა მტრებს, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ერებმა ძმურ კავშირში ჰპოვეს უძლეველი ძლიერების წყარო.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მშრომელთა ძმობას!

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—**ს. კასიანი**.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—
ა. შავერდოვი.

1927 წ. 2 ივლისი
ქალ. თბილისი.

ამხ. კალინინი ბაქოში

ბაქო, 2 ივლისი. ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ელიავას თანხლებით თბილისიდან ბაქოში ჩამოვიდა ამხ. კალინინი. მატარებელი მოვიდა დაგვიანებით, ვინაიდან შეჩერებული იქნა გზაში, ნავთლუღიდან 13 ვერსზე, ლიანდაგის წყალდიდობის გამო დაზიანების მიზეზით. კალინინთან ერთად ჩამოვიდნენ აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას თავმჯდომარე ამხ. კარაევი და ბაქოს საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კოსუშკინი.

სადგურზე ამხ. კალინინს შეხვდნენ მთავრობის წევრები და პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პატაკის მიღების შემდეგ ამხ. კალინინმა ისაუბრა საპატიო სადარაჯოს წითელარმიელებთან.

საღამოს, ამხ. კალინინი და ელიავა დაესწრნენ ბაქოს საბჭოს პლენუმის საზეიმო სხდომას, აზერბეიჯანის ცაკთან და არმიის, ფლოტის, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად (ადს).

ინგლისელ მეზღვაურთა წერილი
ბათომის მშრომელთ

ბათომი, 2 ივლისი. ბათომის ნავთსადგურში მდგომ ინგლისურ გემ „ნორდ ატლანტიკ"-ის რამოდენიმე მეზღვაურმა მიმართა ბათომის მშრომელთ წერილით, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „ჩვენ, გემ „ნორდ ატლანტიკ"-ის მატროსები გწერთ თქვენ არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი ლონდონის პროლეტარიატის სახელით, ვინაიდან, რასაც ვამბობთ და ვფიქრობთ ჩვენ, იმასვე ამბობს და ფიქრობს თითოეული შეგნებული ლონდონელი და ინგლისელი მუშა. ინგლისელი მუშები, იქნებიან ისინი მეზღვაურები თუ ფეიქრები, მემაღაროენი, დოკერები თუ რკინისგზელები, არავითარ შემთხვევაში არ გაჰყვებიან ინგლისის მთავრობის მოწოდებას თქვენს წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად.

ამ ერთი კვირის წინ ჩვენ ლონდონში მოწმე ვყავით იმ აღშფოთებისა, რომელიც გამოიწვია ბოლდუინის კონსერვატიული კაბინეტის უკანასკნელმა მოქმედებამ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტამ და ტრედიუნიონების წინააღმდეგ მიმართულმა კანონპროექტმა".

შემდეგ წერილში ნათქვამია: „ახალ რომ დაიწყოს საარჩევნო კამპანია და ჩვენ წინადადება მოგვცენ, რომ კენჭის ყრაში მონაწილეობა მივიღოთ, ჩვენ ყოველ ეჭვს გარეშე ხმას მივსცემთ მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთას და კომპარტიას; აგრეთვე მოიქცევიან ტრედიუნიონებში შეკავშირებული ყველა შეგნებული მუშები. თუ ბოლდუინის კაბინეტი ომს გამოუცხადებს მუშურ-გლეხურ ქვეყანას, ჩვენ მას ავაგდებთ ინგლისის მიწის პირიდან. იცოდეთ ეს. თუმცა ჩვენ არ შეგვიძლია ძალით დავიპყროთ ხელისუფლება, მაგრამ ომს ჩვენ არ დაუშვებთ".

დასასრულ წერილში ნათქვამია: „თუ ტრედიუნიონების გენსაბჭო ყურს არ დაუგდებს იმას, რასაც ეტყვიან მას მილიონი ინგლისელი მუშები, ჩვენ ახალ საბჭოს ამოვირჩევთ. ს. ს. რ. კავშირის ამხანაგო—მუშებო, გახსოვდეთ, რომ ჩვენ თქვენი მოკავშირენი ვართ და რომ ბრიტანეთის მუშები არასდროს არ აღმართავენ იარაღს თქვენს წინააღმდეგ". (ადს).

მიხ. კახიანი

კიდევ ქართული ემიგრაციის შესახებ
წერილი მეოთხე*)
ირ. წერეთლის და გრ. ლორთქიფანიძის „ოპოზიცია"

მებრძოლი მენშევიზმის პოზიციის განხილვის შემდეგ, ინტერესს მოკლებული არ იქნება გავაშუქოთ იმათი პოზიციაც, რომლებიც მათი პარტიის შიგნით რევიზიას უკეთებენ ჟორდანია - რამიშვილის შეხედულებებს, ასე ვსთქვათ, პარტიის საზღვარ - გარეთელ ლიდერების ოფიციალურ თვალსაზრისს უპირდაპირებენ თავის, მართალია, განსაკუთრებულ, მაგრამ მაინც მენშევიკურ თვალსაზრისს. ამ „ოპოზიციას", რომელიც მეტად გაუბედავია და ნახევარ გზაზეა გაჩერებული—მეთაურობენ ირ. წერეთელი და გრ. ლორთქიფანიძე (უკანასკნელი იმყოფება რუსეთში და არა საზღვარ - გარეთ და ალბათ, ამით აიხსნება, რომ ის ოდნავ წერეთელზე „მემარცხენეა"). ჩვენ ამოცანა—გავაშუქოთ „ოპოზიციის" შეხედულებები—აძნელებს ის გარემოება, რომ მენშევიკურ „შინა-დემოკრატიისა" და იმ პრინციპის წყალობით, რომ „ქოხიდან ნაგავი არ გაიტანო", რომელსაც ისინი მტკიცედ ატარებენ ცხოვრებაში, მათ შესახებ (ე. ი. წერეთელზე და ლორთქიფანიძეზე) ჟორდანია - რამიშვილის ორგანოებში არაფერი არ იწერება და არ იბეჭდება, აგრეთვე არც მათ უბეჭდავენ წერილებს. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ ერთი მხრით იმ მასალებით, რომლებიც „შემთხვევით" საქართველოს მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს უვარდება ხელში, და მეორე მხრით, იმ წერილებით, რომლებსაც გრ. ლორთქიფანიძე აშკარად უგზავნის საქართველოში სხვადასხვა პირებს და ატარებენ არა კერძო, არამედ საზოგადოებრივ ხასიათს. დავიწყოთ „ოპოზიციონერ" ირაკლი წერეთლიდან. ჩვენს განკარგულებაში არის მეტად დამახასიათებელი დოკუმენტი 1926 წ. ივნისის თარიღით; დაწერილია, როგორც ხედავთ, ჯერ კიდევ ერთი წლის წინად, მაგრამ მას ამ დროისათვის არ დაუკარგავს სიცხოველე იმ საკითხების მნიშვნელობის გამო, რომლებიც იქ არის აღძრული. ამ წერილს წერეთელი უგზავნის პირდაპირ „სოციალ - დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს". ეს წერილი წარმოადგენს მორიგ წყლის ნაყვას, ერთ ადგილზე სირბილს, რაც ასე დამახასიათებელია ირ. წერეთლისათვის. მაგრამ ამ წერილში წერეთელი ბევრ რამეში არ ეთანხმება ჟორდანია - რამიშვილის მებრძოლ მენშევიზმს. ეს უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა მენშევიკების ხელმძღვანელებს შორის ჩვენ უნდა გამოვამჟღავნოთ, ეს უთანხმოება ჩვენ უნდა გავაცნოთ საქართველოს მშრომელთა ფართო მასებს. მენშევიკები ყოველნაირად ფარავენ თავიანთ უთანხმოებას, ჩვენ უნდა გამოვააშკარაოთ ის.

წერეთლის **პირველი უთანხმოება** მენშევიკების ცეკას საზღვარ - გარეთელ რამიშვილის ბიუროსთან მდგომარეობს იმაში, რომ წერეთელი მკაცრად ილაშქრებს „იარაღით ყლარუნის" პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს კი, მეტად საინტერესოა. განსაკუთრებით, სწორედ ეხლა, როცა ჟორდანია - რამიშვილი კვლავ აჟღარუნებენ იარაღს, ცოფმორეულნი გაჰყვირიან ქართულ მახვილზე და ხმალზე, კვლავ მოუწოდებენ შეიარაღებულ აჯანყებისაკენ. როგორ უყურებს ყოველივე ამას წერეთელი? წერეთელი შემდეგნაირად აყალიბებს თავის აზრს: „მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩვენი პარტიის აღორძინებისა და ჩვენი მუშათა კლასის მის ირგვლივ გაერთიანების ერთად-ერთი გზა—არის ის გზა, რომელსაც თქვენ აღნიშნავთ: იარაღის ყლარუნის ნაცვლად — სოციალ - დემოკრატიული, პროპაგანდისტული და ორგანიზაციული მუშაობის აღდგენა; **ხალხის ნაციონალური რომანტიკით გაბრუების ნაცვლად** (ეს კურსივი წერეთელს ეკუთვნის მ. კ.), ნაციონალური საკითხის გაშუქება კლასობრივი თვალსაზრისით და მისი დაკავშირება საერთო სოციალ - პოლიტიკურ მოთხოვნილებებთან". აქ სავსებით მოსჩანს ოპოზიციური საქმეების ოსტატი წერეთელი, რომელიც დიდი დახელოვნებით ასრულებს „ოპოზიციონერის" როლს. წერეთელი—ეს ნაზი და საყვარელი წერეთელი უცბად ხდება უხეში - პროლეტარულ და გამობრძმედილ მებრძოლად და ილაშქრებს **ნაციონალური რომანტიკის** წინააღმდეგ, მაგრამ აქ, მისდა შეუმჩნევლად, ეძლევა განუხორციელებელ ქართულ ოცნებებს.

განა ეს ოცნება და ცარიელი ფანტაზია არაა იფიქრო, რომ შესაძლებელია მენშევიკური პარტიის „აღორძინება"? ის, რაც ისტორიის მიერ არის განწირული, რაც დალპა და პირდაპირ გზით მიდის საფლავისაკენ, მისი მკვდრეთით აღდგომა და აღორძინება არავის არ ძალუძს.

განა „რომანტიკა არაა იმაზე ფიქრი, რომ „ჩვენი" მუშათა კლასი გაერთიანდება „ჩვენი" პარტიის ირგვლივ? საქართველოს მუშათა კლასი სავსებით და მთლიანად გაერთიანებულია საბჭოების ირგვლივ პროფკავშირების ირგვლივ და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ენერგიულად მუშაობს სოციალისტური მშენებლობის საქმეზე და ის არავითარ დამატებით „გაერთიანებას" არ საჭიროებს. განა თავის მოტყუილება არაა „მგლის თავზე სახარების კითხვა", ხოლო ჟორდანია - რამიშვილისთვის ლექციების კითხვა ნაციონალურ საკითხზე, მისი კლასობრივი თვალსაზრისით გაშუქების აუცილებლობაზე და სხ.? აკი ჟორდანია - რამიშვილს დიდი ხანია დაავიწყდათ ასეთი „წვრილმანები" და მათ არავითარ **კლასობრივ** თვალსაზრისზე, არავითარ **კლასობრივ** ბრძოლაზე გაგონებაც კი არ სურთ. ეს წინად იყო, „სხვა დროს", ეხლა კი „ჩვენი" პარტია — ეროვნული პარტიაა, ყველა ეროვნული ძალების, ყველა და ყოველგვარ **უკმაყოფილო** და ანტი-ბოლშევიკურ ელემენტების „გაერთიანების" თვალსაზრისზე მდგომი — მორჩა და გათავდა,— ყოველნაირი ლაპარაკი ზედმეტია—ბრძანებს დიქტატორულად ჟორდანია. ამრიგად, ჩვენი „ოპოზიციონერი" წერეთელი, უარყოფს რა რომანტიკას, თვითონ ეძლევა „განუხორციელებელ ოცნებებს". ამაშია მისი სისუსტე, მისი უხერხემლო მენშევიკური სტილი. მაგრამ წერეთელი მაინც „მტკიცეა" ერთში (საერთოდ უხერხემლობის გამო მას არ შეუძლია ბოლომდე იყოს მტკიცე!).—ის წინააღმდეგია იარაღით ყლარუნის. რატომ? და მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ **ასეთმა** ყლარუნმა (1924 წ. აგვისტო), წერეთლის აზრით, არაფერი კარგი არ მოუტანა ქართველ ხალხს და ეს იქნებოდა „სიგიჟე" და „იქამდე ბოროტმოქმედებაც" (წერეთლის სიტყვებია). წერეთელი არ ეთანხმება ჟორდანიას აგვისტოს აჯანყებისა და იმ შედეგების დაფასებაში, რომლებიც მას (აჯანაყებას) ქონდა საზღვარ-გარეთ. წერეთელი სწერს: „**მე ვფიქრობ, რომ გადაჭარბებულმა წარმოდგენამ იმ ყურადღებაზე, რომელსაც იჩენს უცხოეთი ჩვენს მიმართ,—ჩვენი ხალხის ცხოვრებაში წარსულში ცუდი როლი ითამაშა და ეხლა დადებითი შედეგების გადაჭარბებული ოპტიმისტური შეფასება არაფერს კარგს არ გვიქადის**". (კურსივი ყველგან წერეთლისაა). ჟორდანია ყველგან და ყოველთვის ამაყობს იმით, რომ აგვისტოს ავანტიურის საპასუხოთ ერთა ლიგამ მენშევიკებისათვის... სპეციალური თანაგრძნობის რეზოლიუცია გამოიტანა. თანაგრძნობით, რომ თქვენ სამაგალითოთ დაგამარცხესთო. წერეთელი პესიმისტურად შენიშნავს ამ „თანაგრძნობის" რეზოლიუციის გამო: „და ის (რეზოლიუცია მ. კ.) **იმდენად პლატონიურ ხასიათს ატარებს, რომ მასში განზრახ არაფერია ნათქვამი** საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებაც. და თუ აჯანყების შემდეგ შეიცვალა **ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკა,—ეს სამწუხაროდ უფრო უარყოფით ფორმაში გამოიხატა, ვიდრე დადებითში**".

მაშასადამე, აგვისტოს ავანტიურამდე „ევროპის სახელმწიფოები" მენშევიკებს **პლატონიურად** ეპყრობოდენ, ხოლო აჯანყების შემდეგ, როცა მენშევიკები დამარცხდნენ, ეს დამოკიდებულება „**სამწუხაროდ**" (მენშევიკებისა და მათ რიცხვში წერეთლის სამწუხაროდ! მ. კ.) შეიცვალა უფრო ცუდი მხრით. რატომ აქვს ადგილი ასეთ უმადურობას და უყურადღებობას ბატონების მხრით ლაქიებისადმი? წერეთელი ამ ფაქტის მეტად საინტერესო ახსნა - განმარტებას იძლევა: „თქვენ უნდა იცოდეთ, რომ აქაური საზომით შეიარაღებული აჯანყება, რომელიც რამდენიმე დღე გასტანს,— არაფერია. აქ შეეჩვიენ კოლონიური ხალხების მრავალწლიან ბრძოლას, როგორიც იყო აბდ-ელ-ქერიმის ბრძოლა მაროკოში. საქართველოს, რა თქმა უნდა, ასეთი ბრძოლის წარმოება არ შეუძლია, და ამ მდგომარეობის გამორკვევა ბურჟუაზიის თვალში, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მინუსად უფრო უნდა ჩაითვალოს, ვიდრე პლიუსად". ხედავთ, ამ განათლებულ, ევროპიელ მძარცველებსა და ყაჩაღებს ყველგან კოლონიები ელანდებათ, მათ „არ მოსწონთ" ხანმოკლე აჯანყება. მათ უნდათ მრავალი წლის სისხლისმღვრელი ომი, ვინაიდან მეტი მსხვერპლი და მეტი ნგრევა იქნება... ამაზედ უფრო მეტი ცინიზმი ბურჟუაზიის მხრით, რომლის ლაქიები არიან ქართველი მენშევიკები, წარმოუდგენელია. ევროპიული—და საერთოდ მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია, შეუბრალებელია ყველა პატარა ერებისადმი და აშკარა, უსინდისო ფორმაში აყენებს შიშველ „კომერციულ" ანგარიშს: „**მოგცემ ფულს, მომეცი მეტი სისხლი**". ამ სისხლიან ფორმულას უნდა იცნობდნენ ყველა ისინი, ვინც ევროპის „ორიენტაციისაკენ" მოუწოდებს და ევროპიდან მოელის ხსნას. ასეთი „ორიენტაციისაგან" დაზიანდნენ არა მარტო ქართველები. აი, რას ლაპარაკობს წერეთელი სომხების შესახებ:

„ჩვენ უნდა გვახსოვდეს ჩვენი მეზობელი — სომხების მაგალითი. ისინი აჯანყების დროს ევროპიდან ღებულობდენ არა მარტო თანაგრძნობის რეზოლიუციებს, არამედ ხშირად დიპლომატიურ გამოხმაურებას და იქამდე დაპირებებსაც რეალურ დახმარებაზე. მაგრამ ფაქტიურად მათ დასაცავად არავინ ადგილიდან არ დაძრულა და ხალხი უთანასწორო ბრძოლის მსხვერპლი გახდა". წერეთელი, მიუხედავად იმისა, რომ ის [illegible] ხანია არის საზღვარ-გარეთ, [illegible] „ევროპიელი პოლიტიკოსი", [illegible] ევროპაზე ზედმეტ უსაფუძვლო იმედების დამყარებისაგან და წინადადებას იძლევა უარყოფილ იქნას ავანტიურის ტაქტიკა და მეთოდები. მაგრამ წერეთელი აქაც მართლმორწმუნე მენშევიკად და თავისი დამპალი პარტიის რაინდათ რჩება. მოუსმინოთ, რას ლაპარაკობს საყვარელი წერეთელი: „**ამ მეთოდებისაგან გადაჭრით გამიჯვნა მოასწავებს არა ჩვენი ნაცადი პარტიული პრინციპების ლიკვიდაციას, არამედ იარაღის ყლარუნის პოლიტიკის ლიკვიდაციას, და ასეთი ლიკვიდაცია აუცილებელია ჩვენი პარტიის აღორძინებისათვის**".

ო, ბრძენო წერეთელო, ამ თქვენ სიტყვებში გარდა დომხალისა არაფერი არაა. რა „ნაცად" პარტიულ პრინციპებზე ბრძანებთ ბატონო წერეთელო! კლასიური ბრძოლის მარქსისტულ პრინციპებზე ხომ არა, რომლებსაც გამოეთხოვენ არა მარტო ჟორდანია - რამიშვილი, არამედ თვითონ წერეთელიც, როდესაც ის იყო პორტფელიან და უპორტფელო მინისტრად 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის დროს (თუ ამის შესახებ თვითონ თქვენ დაგავიწყდათ, წაიკითხეთ ლენინის წერილი „ი. გ. წერეთელი და კლასიური ბრძოლა")? თუ თქვენი პარტიული პრინციპები ამდენად „ნაცადია", რატომ დაიღუპა ასე უდროოდ ეს პარტია, რატომ დაიშალა ის, რატომ გარბიან იქიდან ათასი ძველი მებრძოლები? წერეთელს რომ ვკითხოთ, გამოდის, რომ საჭიროა მოხდეს არა პარტიის, არამედ „იარაღის ყლარუნის" მეთოდების ლიკვიდაცია, თითქოს აშკარა არ იყოს, რომ „იარაღის ყლარუნი", დაუსრულებელ ავანტიურების პოლიტიკა არის მენშევიკური პარტიის **მთელი პოლიტიკა და მთელი შინაარსი** საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის **მთელ** პერიოდში.

განა მენშევიკური პარტიის ასეთი პოლიტიკა არ „უწყობს ხელს ჩვენი ხალხის მოსპობას" (წერეთლის სიტყვები). წერეთელს, რომ ვკითხოთ, გამოდის, რომ პარტია კარგია, „მეთოდები" კი — ცუდი, ამიტომ „მეთოდებს" უნდა „გამოვემიჯნოთ" და პარტია კი „ავაღორძინოთ". ყველაფერი ეს დამახასიათებელია „ოპოზიციონერ" წერეთლისათვის, რომელსაც არ ჰყოფნის ვაჟკაცობა და გამბედაობა სათანადო დასკვნები გააკეთოს ბოლომდე. ერთის მხრივ „გამოიმიჯვნა", მეორეს მხრივ „აღორძინება".— აი, საყვარელი წერეთლის ფილოსოფია. მაგრამ როგორიცაა კაცი, ისეთივეა მისი ფილოსოფიაც.

რა გაეწყობა, აღორძინეთ, აღორძინეთ საქართველოს მშრომელ მასების მიერ დასამარებული მენშევიკური პარტია, თუ კი, რასაკვირველია, თქვენ ამას შესძლებთ. ამისთვის გულითადად მადლობას გეტყვის თქვენ... **მხოლოდ** რამიშვილი, და არა ქართველი ხალხი, რომელსაც ასეთი ავანტიურისტების პარტია არაფრად ესაჭიროება.

„**მეორე სადაო კითხვა**", როგორც სწერს თვითონ წერეთელი, შეეხება „ნაციონალ - დემოკრატებთან მთლიანი ფრონტის საკითხს. მე უკვე მოგწერეთ, თუ რამდენად მიუღებლად მიმაჩნია მეის დათმობები, რომელთა წყალობით მთავრობამ და ბიუროს უმეტესობამ აამხედრეს აქ მთელი ორგანიზაცია". წერეთელი, როგორც ცნობილია, მართლა ილაშქრებდა „მთლიანი ეროვნული ფრონტის" წინააღმდეგ და სთვლიდა მას დაუშვებლად როგორც პრინციპიალურ, ისე პრაქტიკული მოსაზრებებით. მაგრამ წერეთლის თეზისები ამ საკითხის შესახებ უარყო მენშევიკების საზღვარ-გარეთის ბიურომ და გაიმარჯვა ჟორდანიას შეხედულებამ. წერეთელი ამ წერილშიაც ისევ ეკამათება ჟორდანიას და ამბობს: „**მართლაც, ნ. ჟორდანიას, რომელიც სცდილობს გაამართლოს „მთლიანი ფრონტის" შექმნა, მოჰყავს ისეთი ფაქტები, რომლებიც ამტკიცებენ ამ ფრონტის სრულ უნიადაგობას. ის სწერს** (14 მარტის თარიღით), **რომ ნაციონალ-დემოკრატებმა, რომლებიც შემოვიდენ ჩვენთან მთლიან ფრონტში, მიიღეს დემოკრატიული პლატფორმა, მაგრამ ამავე დროს შეინარჩუნეს კავშირი ნაციონალ - დემოკრატების მეორე ნაწილთან, რომელიც მთლიანი ფრონტის წინააღმდეგია.** ამ უკანასკნელთ (ე. ი. მთლიანი ფრონტის მოწინააღმდეგე ნაციონალ - დემოკრატებს მ. კ.), ჟორდანია შემდეგნაირად **ახასიათებს: ზოგი მათგანია მონარქისტები და რუსოფილები, რომლებიც თავის ხსნას ხედავენ ძველი რეჟიმის აღდგენაში, ზოგი—ფაშისტები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას სცნობენ იმ პირობით, თუ დამოუკიდებლობა იმათ ხელში იქნება; ნაწილი ბოლშევიზანები, მომავალი ვეშაპელები**". როგორც მკითხველი ხედავს, უკვე ამ წერილში ვხვდებით ფაშისტების ხსენებას, რომლებსაც ჟორდანია ეხება არა მთლიანად, არამედ ჰყოფს მათ „კატეგორიებად", მაგრამ ყველა მათ სთვლის საეჭვო ელემენტებად. წერეთლის ნაზი ბუნება კი ვერ იტანს ყველა ამას და ის კითხულობს: „ახლა გეკითხებით მე თქვენ: თუ ეს ასეა, როგორღა შეიძლება მთლიანი ფრონტის გამართლება იმათთან, ვინც არ გამოემიჯნა ასეთ ელემენტებს"?

ჟორდანიას არაფერი არ ექნებოდა საწინააღმდეგო, რომ **ასეთ** ელემენტებთანაც ჰქონოდა ძლიერ მჭიდრო კავშირი, ჰქონოდა კავშირი მონარქისტებთანაც და ფაშისტებთანაც — ხომ ზის ის ერთსა და იმავე „კომიტეტში" და ერთსა და იმავე „მთავრობაში" გვაზავასთან და ამირეჯიბთან, და განა გვაზავა და ამირეჯიბი ნაკლები მონარქისტები და ფაშისტები არიან, ვიდრე, ვსთქვათ, ალ. ასათიანი და სპ. კედია!

მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ეგრედ წოდებულ ფაშისტურ ნაწილს ლაპარაკიც კი არ სურს მენშევიკებთან და ებრძვის მათ ყოველგვარი ზომებით. რჩება ნაციონალ - დემოკრატების მესამე ნაწილი — ეგრედ წოდებული **ბოლშევიზანები**, რომლებისაც ყველაზე უფრო ეშინია ჟორდანიას. ბოლშევიზანები — ეს მომავალი ვეშაპელები — აფრთხობენ ყველა მშიშარა ჟორდანიებს. დამახასიათებელია, რომ აჩრდილიც კი ვეშაპელის, რომელიც აწამეს და მოჰკლეს მენშევიკებმა და მათგან დაქირავებულმა და საფრანგეთის „მართლმსაჯულების" მიერ გამართლებულმა მკვლელმა, **ძილს უფრთხობს ნოე ჟორდანიას**, ვინაიდან ნაციონალისტი ვეშაპელი, რომელმაც მიიღო საბჭოთა ორიენტაცია მოკლული თავის პოსტზე, გახდა ქართული ემიგრაციის არა - სოციალისტურ ნაწილისათვის დროშა, რომელიც მოუწოდებს მათ საბჭოთა საქართველოში დაბრუნებისა და საბჭოთა მთავრობასთან თანამშრომლობისაკენ. ეს დროშა - კი სრულებითაც არ ეპიტნავება ჟორდანია - რამიშვილს. ამიტომაც არის, რომ ჟორდანია მუდამ აძლევს თავის მენშევიკურ ცეკას დირექტივას საქართველოში ნაციონალ - დემოკრატების „ავტორიტეტული" ორგანიზაციის შექმნის შესახებ (რა დამახასიათებელია—სოციალ - დემოკრატები „ჰქმნიან" ნაციონალ - დემოკრატებს! მ. კ.) გვაზავა-ამირეჯიბის ფრთის გასაძლიერებლად და მის მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლად. მაგრამ წერეთელი გადაჭრით ეწინააღმდეგება ამას, ურჩევს მენშევიკურ ცეკას არ ჩაიდინონ ასეთი სისულელე და სწერს: „თუ ამ სიტყვებიდან (ნ ჟორდანიას სიტყვებიდან. მ. კ.) თქვენ იმ დასკვნას გამოიტანთ, რომ შესცვლით საქართველოში მიღებულ ხაზს და შექმნით მთლიან ფრონტს, აქაურის მსგავსად, ჩემი ფიქრით ეს იქნება დიდი უბედურება". ამგვარად, ირ. წერეთელს არ სურს და არ შეუძლია გაამართლოს მთლიანი ფრონტის შექმნა ნაციონალ - დემოკრატებთან და სთვლის ამ „ფრონტს" „დიდ უბედურებად".

ამაშია წერეთლის მეორე განსხვავება ჟორდანია - რამიშვილის მენშევიზმის პოზიციისაგან.

მესამე უთანხმოება წერეთლისა, საზღვარ-გარეთის ბიუროსთან შეეხება „ურთიერთობას აქ, ჩვენთან". წერეთელი „უკმაყოფილოა" („უკმაყოფილებაზე" უფრო შორს წასვლას ეს მამაცი ვერ ბედავს!) იმ გარემოებით, რომ მის პოზიციას ან სრული დუმილით უვლიან გვერდს, ან მის შეხედულებათა შესახებ სწორი ცნობები არ იგზავნება საქართველოში. წერეთელი „მწუხარებით" აღნიშნავს: „ნ. ჟორდანია თქვენ გწერსთ, რომ ძირითად საკითხებში ჩვენს შორის სრული თანხმობაა. სამწუხაროდ ეს ასე არ არის". დავიხსომოთ წერეთლის ეს ძვირფასი აღსარება, რომ **ძირითად საკითხებში ჟორდანიასა და წერეთელს შორის თანხმობა არ არის** და გავყვეთ შემდეგ მოქნილ წერეთელს. „ნ. ჟორდანია თავის პირველ წერილში გწერსთ თქვენ ჩემი თეზისების შესახებ: „რაც შეეხება საკითხის შინაარსს, ირ. წერეთლის რეზოლიუცია ბიურომ თავის დროზე უარჰყო. შემდეგში წერეთელმა თვითონ მოხსნა თავისი რეზოლიუცია ს.-დ. პარტიის პარიზის ორგანიზაციის კრებაზე და აქ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ბრძოლის" პირველ ნომერში. ამნაირად წერეთლის რეზოლიუცია ფაქტიურად უარყოფილია და მას შემდეგ ისეთი ახალი რამ აღარ მომხდარა, რომ ამ საკითხზე კიდევ გაიმართოს დისკუსია". **აქ ნათქვამიდან მართალია, მხოლოდ ის, რომ ბიუროს უმრავლესობამ უარჰყო ჩემი თეზისები; დანარჩენი განცხადება კი, რომ თითქოს მე პარიზის კონფერენციაზე მოვხსენი ჩემი რეზოლიუცია და დავკმაყოფილდი „ბრძოლაში" მოთავსებულ რეზოლიუციის ტექსტით,—მართალი არ არის.** (კურსივი წერეთლისაა). რა დროება დადგა „წესიერ" მენშევიკურ პარტიაში, რა ჩვეულებები დასჩემდათ, როდესაც ერთი ლიდერი ბრალსა სდებს მეორეს სიცრუესა, სიყალბესა და რეზოლიუციის გადამალვაში. წერეთელი ამტკიცებს ამას—საინტერესოა მოუსმინოთ, თუმცა ბევრ დროსა და ადგილს გვართმევს: „უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ „ბრძოლაში" მთლიანად არ გამოქვეყნებულა პარიზის ორგანიზაციის მიერ მიღებული რეზოლიუცია, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი, **სახელდობრ იმ პუნქტის გამოკლებით**, რომლის გარეშე სწარმოებს დავა და რაც შეადგენდა შეთანხმების მთავარ საფუძველს... ამ პუნქტის ისტორია ასეთია: დისკუსიის შემდეგ კრებამ მე და ნ. ჟორდანიას მოგვანდო კომპრომისული რეზოლიუციის გამომუშავება. ჩვენ გამოვიმუშავეთ რეზოლიუციის ტექსტი, რომელშიაც შევიდა მე-13 პუნქტიც, რომელიც მთელ რეზოლიუციას აძლევს ჩვენთვის მისაღებ ელფერს. იმ მომენტში, როდესაც ემიგრაციაში გაბატონებული იყო აჯანყების ფსიქოლოგია და საქართველოდან ვღებულობდით ცნობებს ასეთსავე განწყობილებათა შესახებ, რეზოლიუციაში გა

---

*) იხ. „კომუნისტი" № 144.

პარტიული ცხოვრება

პარტიის გამთიშველთა წინააღმდეგ

შორაპნის სამაზრო კომიტეტის ხმა

ა. წლის 29 ივნისს შორაპნის სამაზრო პარტიულ კომიტეტის პლენუმის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც დაესწრო როგორც პარტიის, ისე კომკავშირის პ. მგ. ამხანაგები, თემკომის და უჯრედის მდივნები და თემამასკომის თავმჯდომარენი,—მოსმენილ იქნა ვრცელი მოხსენება ამხ. პ. მგერელიშვილის ც. კ. პლენუმის შედეგებზე—მოხსენების დამთავრების შემდეგ პლენუმმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„ს. კ. პ. (ბ) შორაპნის მაზრკომის გაფართოებული პლენუმი—მოისმინა რა მან მოხსენება ამხ. პ. მგერელიშვილის ს. კ. პ. (ბ) ც. კ. პლენუმის მუშაობის შესახებ,—სცნობს სავსებით სწორათ პლენუმის ყველა დადგენილებებს და ავალებს პარტიის წევრებს მათ ცხოვრებაში გატარებას. განსაკუთრებით პლენუმი ხაზს უსვამს ოპოზიციის გამთიშველ მუშაობას ასეთ სერიოზულ საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში.

ჩვენი ოპოზიცია, რომელიც თავისი იდეური ავლა-დიდების გამოფენას ახდენს საერთაშორისო მდგომარეობის გართულების ყოველ შემთხვევაში, ეხლაც მოგვევლინა თავისი ანტილენინური შეხედულებებით.

საკავშირო ოპოზიციას ყავს თავისი „რწმუნებულები“ საქართველოშიც, რომელთა შორის განირჩევა ამხ. მ. ოკუჯავა. მისმა ანტიპარტიულმა გამოსვლამ ა.-კ. სამოლქო კომიტეტის პლენუმზე და საქართველოს ცკკას პლენუმზე, ნათელჰყო მის მიერ გამთიშველი როლის შესრულება საკავშირო ოპოზიციის დავალებით.

ამიტომ სამაზრო პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს ოკუჯავას პარტიის ხელმძღვანელ ორგანოდან ც. კ. შემადგენლობიდან გამორიცხვას, იმ დროს, როდესაც ანტი-საბჭოთა პარტიები საქართველოში სცდილობენ მუშაობის გამოცოცხლებას—ადგილობრივი ოპოზიციის ფრაქციული გამთიშველი მუშაობა ჩვენ მიგვაჩნია დაუშვებლათ და მოუწოდებთ მათ წესიერებისაკენ. ამასთან ერთად მოვითხოვთ ცეკასგან მეტი გადამჭრელი ზომების მიღებას იმ ოპოზიციონერების მიმართ, რომელთაც გამოსწორების ნიშნები არ ეტყობათ.

ძირს ოპოზიციონური გამოსვლები.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას და მის შტაბს ც. კ-ს.“

მ. ზრეგვაძე.

სამტრედიის ორგანიზაციის კრების რეზოლუცია

„მოვისმინეთ რა ამხ. ურუშაძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის შედეგებზე, ს. კ. პ. (ბ) სამტრედიის სარაიონო კრება კომკავშირის აქტივთან ერთად, სავსებით იწონებს კომინტერნის აღმასკომის პოლიტიკას საერთაშორისო რევოლუციის, იმისა და ომის საფრთხის და ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობის საკითხში. ჩინეთში ეროვნულ განმანთავისუფლებელი ბრძოლამ სავსებით დაადასტურა კომინტერნის თვალსაზრისი ჩინეთის რევოლუციის შესახებ.

მსოფლიო ბურჟუაზია ახალ ომისათვის ემზადება. საქ. კ. პ. (ბ) სდგას, რა ლენინიზმის საფუძველზე, სასტიკი წინააღმდეგია ომის, მაგრამ თუ ომი თავზე მოგვახვიეს, იმპერიალისტები ღირსეულ პასუხს მიიღებენ.

სამტრედიის სარაიონო კრება აღშფოთებით აღნიშნავს, რომ ომის საფრთხის მომენტში, საკ. კ. პ. (ბ) ოპოზიციამ ამხ. ტროცკის და ზინოვიევის და საქ. ოპოზიციამ ამხ. მ. ოკუჯავას სახით დაუშვებელ ცილისწამებით გაილაშქრეს საკ. კომპ. (ბ) ცეკასა და კომინტერნის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ოპოზიცია უკვე საქმით კავშირს სწყვეტს საკ. კომპარტიასთან. ის სავსებით უახლოვდება კომინტერნის აღმასკომიდან და კომპარტიიდან გამორიცხულ რუტ-ფიშერს და მის კომპანიას. გაკოტრებული ოპოზიციონერები სისტემატიურად იყენებენ საბჭოთა კავშირის ყველა დაბრკოლებებს, თავიანთ ფრაქციულ ბრძოლის სასარგებლოდ. კრება ფიქრობს, რომ ოპოზიციის ხელახალი გამოსვლები დიდ დანაშაულს წარმოადგენს კომპარტიის წინაშე. ამის გამო კომინტერნის და საკ. კომპ. (ბ) ცეკას მიერ მიღებულ ზომებს სავსებით იწონებს. კრება მიმართავს თხოვნით საქ. კ. პ. (ბ) ცეკას, ალაგმოს გაკოტრებული ოპოზიციონერები. კრება სავსებით იწონებს საქ. ოპოზიციის ბელადის მ. ოკუჯავას ცეკას შემადგენლობიდან გამოყვანას. აგრეთვე კრება თხოვს ჩვენი მაზრის ხელმძღვანელ სამაზრო კომიტეტს, გადამჭრელი ზომები მიიღოს გათავხედებულ ოპოზიციის ასალაგმავათ ჩვენს მაზრაში. კრება მოუწოდებს სამტრედიის ორგანიზაციის ყველა წევრებს დაბეჯითებით შეისწავლონ კომინტერნის აღმასკომის და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის დადგენილებანი.

ძირს გზა დაბნეული ოპოზიციის ახალი იერიშები.

გაუმარჯოს საქ. კ. პ. (ბ) მთლიანობას.

საჯანსაღების გზით

(იუსტსახკომის კომუჯრედი)

7 თვეზე მეტია, რაც ამ დაწესებულების უჯრედის ბიუროს გადარჩევა მოხდა. მანამდე მომუშავე ბიურო, თამამათ შეიძლება ითქვას, ვერ იდგა თავის დანიშნულების სიმაღლეზე, რის გამო ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დეფექტებს. ამიტომ ახალ ბიუროს დაეკისრა მათი გამოსწორება და მომავალ მუშაობის შესაფერ პირობებში ჩაყენება.

შესძლო თუ არა ახალმა ბიურომ ეს? შესძლო თავისი გეგმიანი მუშაობით და დაწესებულების საერთო მუშაობასთან პარტიულ მუშაობის შეთანხმებით, რასაც წარსულში ადგილი არ ჰქონდა. უჯრედის ბიუროს საანგარიშო მოხსენებით ჩატარებულ მუშაობას შესახებ და მის ირგვლივ საქმიან კრიტიკით გამოსულმა ამხანაგებმა ნათლად დაადასტურეს ის ფაქტი, რომ ბიურომ შესრულა მასზედ დაკისრებული მოვალეობა მის ამომრჩეველთა წინაშე.

ყველა კომისიების მუშაობა, რომლებიც არსებობდენ უჯრედის ბიუროსთან—მუშაობდნენ განსაზღვრულ გეგმით. გეგმით გათვალისწინებული საკითხები თითქმის სავსებით შესრულებულია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ უჯრედის არსებობის პრაქტიკაში ახალი საქმეა საორგანიზაციო კომისიის მუშაობა. მიუხედავათ ამისა, მისი მიღწევები დამაკმაყოფილებელია. აქვე საჭიროა აგრეთვე იმ დეფექტების აღნიშვნა, რომელიც უჯრედის მუშაობას თან ახლავს. უჯრედის მდივანი ამხ. ბედია არ უარყოფს თავის საანგარიშო მოხსენებაში, რომ ქალთა შორის მომუშავე კომისიის საქმიანობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ჩვენს დაწესებულებაში ითვლება 150 ქალი და ამ მასის უჯრედის მხრივ უყურადღებოთ დატოვება ყოვლად შეუძლებელია. ბიურო უნდა ეცადოს, ეს ნაკლი გამოასწოროს გადარჩევამდი.

ალ. გამსახურდია.

საკანდიდატო ჯგუფების მუშაობის შესახებ*)

17. საკანდიდატო ჯგუფი უნდა ეცადოს შემოიკრიბოს თავის გარშემო სოფლის მცირე შეძლების მქონე და მოჯამაგირე ელემენტები, აწარმოოს მუშაობა მათ შორის, ჩააბას ისინი საბჭოების, გლეხკომების, ქოხ-სამკითხველოების და სხ. ორგანიზაციების მუშაობაში, მიიზიდოს საკ. ჯგუფის ღია კრებებზე, დაამყაროს მათსა და თავის წევრებს შორის ინდივიდუალური კავშირი, გაუწიოს მათ საჭირო დახმარება „კულაკების“ ექსპლოატატორულ მისწრაფებების წინააღმდეგ ბრძოლაში და სხვა. საკანდიდატო ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოჯამაგირეთა გამოძებნასა და მათ ჩაბმას პროფესიონალურ ორგანიზაციებში.

18. საკანდ. ჯგუფი უწყობს ხელს სოფლის საბჭოს, საბჭოს სექციების და ყველა სხ. ორგანოების მუშაობის გამოცოცხლებას. აგრეთვე სწორი ამხანაგური მიდგომით და განუწყვეტელი მუშაობით იკრებს თავის გარშემო ღარიბ და საშუალო გლეხობას და თანდათანობით სცდილობს ამ უპარტიო აქტივიდან ჩააბას პარტიაში ყველა, საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგული საუკეთესო, შეგნებული გლეხები და მოჯამაგირეები.

19. სოფლის საკანდ. ჯგუფი ყოველმხრივ ეხმარება გლეხობის კოოპერაციაში ჩაბმისა და მეურნეობის წარმოების უკეთეს მეთოდებზე გადასვლის საქმეს, აგრეთვე პირადი მაგალითის ჩვენებით ხელს უწყობს ამ მეურნეობის კოლექტივიზაციას (არტელი, ამხანაგობა და ა. შ.), ამ მიზნით საკანდ. ჯგუფი თავის კრებებზე იხილავს მიწათ-მოწყობის, სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება-განვითარების და სხვა საკითხებს, უჩვენებს გლეხობას, თუ რა უპირატესობა აქვს ახალი წესების შეტანას სოფლის მეურნეობაში, აწყობს მოხსენებებს და ლექციებს სოფლის მეურნეობის ყველა საკითხებზე, იზიდავს გლეხობის ფართო ფენებს სასოფლო-სამეურნეო წრეებში და ფართო ინფორმაციას აწვდის გლეხობას ახლო მდებარე მეურნეობათა გაუმჯობესების, ტექნიკურ მიღწევებისა და მოსავლიანობის შესახებ.

20. საკანდიდატო ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლის ინტელიგენციის (მასწავლებ. აგრონომ. ექიმები და სხ.) მოწინავე ელემენტების ჩაბმას კულტურულ მუშაობაში, ამყარებს მათთან რაც შეიძლება სწორ ამხანაგურ დამოკიდებულებას. საკ. ჯგუფი აწარმოებს საგიტ-საპროპაგანდო მუშაობას უპარტიო მასებში, აწყობს მიტინგებს, მოხსენებებს, ლექციებს, საუბრებს, პოლიტსასამართლოებს, გაზეთების კითხვას. ატარებს გაზეთებზედ ცალობრივსა და კოლექტიურ ხელის მოწერას, გამოჰყოფს თავის შემადგენლობიდან პარტკორებს, იკრებს გარშემო უპარტიო გლეხ კორესპონდენტებს და ყოველგვარ დახმარებას უწევს მათ მუშაობას; საკ. ჯგუფი ხელს უწყობს ქოხ-სამკითხველოებსა და სოფლის სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებების საქმიანობას და ცდილობს მათ დამორჩილებას თავისი იდეური გავლენისათვის.

21. სოფლის საკანდ. ჯგუფი აწარმოებს მუშაობას გლეხ-ქალთა შორის, ხელმძღვანელობს სადელეგატო და საერთო კრებებს, მთავარ ყურადღებას აქცევს გლეხ-ქალთა მიზიდვას სოფლის საბჭოების, სამეურნეო და სხ. ორგანოების მუშაობისადმი, ხელს უწყობს საბავშო მოედნების, ბაგების მოწყობას და აბამს პარტიის რიგებში ყველაზედ უფრო აქტიურ, შეგნებულ რევოლუციონურ და პარტიისადმი ერთგულ გლეხ-ქალებს. საკანდიდატო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ან კანდიდატი უნდა გამოიყოს გლეხ-ქალთა მუდმივ ორგანიზატორად. გამოყოფილ ორგანიზატორს ევალება თვალყური ადევნოს საბჭოთა და სხ. ორგანოებში არჩეულ გლეხ-ქალების და მიმაგრებულ პრაქტიკანტების სწორ გამოყენებას.

22. სოფლის საკანდ. ჯგუფი ხელმძღვანელობს ახალგაზრდათა შორის მუშაობას და ამყარებს მჭიდრო კავშირს ა. ლ. კ. კ. საკანდიდ. ჯგუფთან. კავშირის დასამყარებლად იგი გამოჰყოფს სპეციალურ ამხანაგს, უმთავრესად ჯგუფის მდივანს, კომკავშირის ყველა კრებებზედ დასასწრებლად, ამის გარდა პარტიის საკანდ. ჯგუფი სისტემატიურად აბამს კომკავშირის საუკეთესო წევრებს პარტიაში და ხელს უწყობს მუშაობის უნარის მქონე კომკავშირელების დაწინაურებას ბავშვთა სხვადასხვა ორგანიზაციების პრაქტიკულ სამუშაოებზე სოფლად.

23. უპარტიო გლეხთა შორის მუშაობაში საკანდიდატო ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გლეხებთან უბრალო ამხანაგური ურთიერთობის დამყარებას, ებრძვის მბრძანებლობას, ადმინისტრატიულ მიდგომას და უპარტიოთა აზრისათვის ანგარიშის გაუწევლობას სხვადასხვა ხელმძღვანელ ორგანოების მიერ.

კომკავშირში

მშობელ კომუნისტების შესახებ

პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდა-დარაზმვის საქმეს. ეს კი აკისრებს პარტიის თითეულ წევრს პირადი აქტიური მონაწილეობა ამ საერთო საქმეში და ყოველნაირათ შეუწყოს ხელი ახალგაზრდობის და ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობის განვითარებას. იმას, თუ რამდენად პირნათლად და ენერგიულად ასრულებს ამ მოვალეობას პარტიის წევრი, ყველაზე უკეთ მოწმობს კომუნისტ მშობლების ყოფა-ცხოვრება.

საჭიროა დაისვას საკითხი,—რას აკეთებს თვითეული მშობელი კომუნისტი საკუთარ ბავშვის კომუნისტურად აღზრდის საქმეში? სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ აქ ზოგჯერ მეორდება იგივე მოვლენა, რასაც ადგილი აქვს ზოგიერთ პარტიის წევრის მხრივ თავის ცოლთან დამოკიდებულებაში. ისინი სცნობენ ქალთა უფლებას, ხშირათ ყოველნაირათ ხელს უწყობენ ქალთა განთავისუფლების საქმეს, მაგრამ საკუთარ ცოლს სტუქავენ საზოგადო მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის, არ უშვებენ კრებებზე, სხვადასხვა კომისიებში და ორგანიზაციებში სამუშაოთ და სხვა.

ასევე მეორდება ზოგიერთ შემთხვევაში საკუთარ ბავშვების მიმართაც. განსაკუთრებით კი ამ მოვლენას ადგილი აქვს ზოგიერთ პასუხისმგებელ კომუნისტების ოჯახებში. მათი შვილები არ არიან პიონერორგანიზაციის ან კომკავშირის წევრები, არ ღებულობენ რაიმე მონაწილეობას ბავშთა თუ ახალგაზრდობის საზოგადოებრივ საქმიანობაში, ხშირათ განებივრებული არიან მშობლებისაგან და მუსიკისა, კინოსა და ტკბილეულობის გარდა არაფერი ახსოვთ.

ამ მახინჯ მოვლენას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. ბრძოლა ბავშთა კომუნისტურათ აღზრდა-განვითარებისათვის თვითეულ მშობელ კომუნისტს პირველყოვლისა უნდა ესმოდეს, როგორც საკუთარ ბავშვების ახალ პირობებისა და მოთხოვნილების თანახმად აღზრდა. უჯრედებმა, თვით პარტიულ მასამ ამას ფხიზლად უნდა ადევნოს თვალი და ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა მოაგონოს პარტიის წევრს მისი კომუნისტური მშობლიური მოვალეობა.

დ. ბ—ძე.

---

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი“ № 148.

წითელ მეთაურთა პასუხი

ბანდიტ მენშევიკებს

ქართული წითელი ჯარის მეთაურნი გაეცნენ გამყიდველ ჟორდანია — რამიშვილის „დირექტივებს“, სადაც ეს ვაჟბატონები ამბობენ, რომ თავისი ბნელი ზრახვებისათვის მათ სურთ გამოიყენონ ქართული წითელი ჯარი.

ტყუილი იმედია. მენშევიკების დირექტივამ ქართველ მეთაურთა შემადგენლობაში გამოიწვია მხოლოდ ზიზღი და აღშფოთება.

მეთაურთა ყრილობამ დიდის ყურადღებით მოისმინა ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე და მენშევიკთა ტაქტიკაზე. მან ნათლად გააშუქა საბჭოთა კავშირის გიგანტიური ზრდა ყველა დარგში და მისი დამოკიდებულება ბურჟუაზიულ ქვეყნებთან. აღნიშნა ჩვენი მტრების ცდები საბჭოთა კავშირის ჩასათრევათ ომში. ნათლად დახატა უბადრუკ მენშევიკთა „საქმიანობა“ საზღვარ-გარეთ.

მოხსენების გათავებისას ბევრ მეთაურს სურდა ლაპარაკი, რომ გამოეთქვა თავისი აზრი, თავისი შეხედულება შექმნილ მდგომარეობაზე და აღშფოთება, გამოწვეული მენშევიკების პროვოკაციული წერილით.

აი, რა სთქვეს მეთაურებმა ყრილობაზე:

ამხ. ებანოიძე (ქართული დივიზიის) კავშირის უფროსი) „ჟორდანია—რამიშვილი სცდებიან, თუ ჰგონიათ, რომ ქართველი მეთაურები მათ დაუჭერენ მხარს. ჩვენ ვასრულებთ მშრომელთა დავალებას და მის მტრებს გავსცემთ შესაფერ პასუხს. კომპარტიის ხელმძღვანელობით და წითელი ჯარის საშუალებით გავწმინდავთ საქართველოს ყველა ბნელ ელემენტებისაგან. გარდახვეწილ მენშევიკებს ჩვენ ვუპასუხებთ წითელი ჯარის რიგების და სწავლების გაძლიერებით“.

ამხ. ა. ნ. გედევანიშვილი (ქართულ მეთაურთა სკოლის უფროსი) „საქართველოს მშრომელთა ნებით განდევნილმა მენშევიკებმა არ იციან, თუ რა პირობებში უხდება ცხოვრება და სწავლება ქართულ წითელ ჯარს. მათ არ იციან, რომ მეთაურთა შემადგენლობის 60 პროცენტი პარტიის წევრია და თუ ამას მიუმატებთ პოლიტშემადგენლობის 20 პროცენტს, მაშინ ნათლად დავინახავთ, თუ რას წარმოადგენს ქართული წითელი ჯარის მეთაურთა და ხელმძღვანელთა შემადგენლობა. ზოგიერთ მეთაურს კარგათ ახსოვს, თუ როგორ ეპყრობოდა მენშევიკური მთავრობა თავისი ჯარის მეთაურებს, ახსოვს აბუჩად აგდება, დაცინვა, დამცირება. ახსოვს ისიც, თუ როგორ უპატრონოთ მიატოვა ჯარი ამ მთავრობამ გაქცევის დროს.

მენშევიკები ჩვენთვის უცხონი არიან.

ჩვენ ყველას გასაგონათ ვამბობთ: „არავითარი საერთო არა გვაქვს თქვენთან და თუ გაბედავთ და მოისურვებთ მოსვლას, დაგვხვდებით იარაღით“.

ჩვენ, ქართველი მეთაურები, თუ საჭირო იქნება, შევსწირავთ სიცოცხლეს ჩვენ ხელისუფლებას“.

ამხ. ჟუჟარაძე (№ დივიზ. შტაბის სამწყობრო ნაწილის უფროსი).

„ჩვენ გვახსოვს მენშევიკების ბატონობა, გვახსოვს მათი შემდეგი მოქმედება, აჯანყებები, ხალხის განადგურება. ეხლა ქვეყანა აღორძინების გზას დადგომია, ყვავის კულტურა, ყველგან ვხედავთ აღმშენებლობას.

ქართულმა ჯარმა არა ერთხელ დაუმტკიცა ყველას, რომ იგი დამცველია მშრომელების და ერთგული საბჭოთა ხელისუფლების.

ჩვენ მეთაურნი გადაჭრით ვამბობთ, რომ არ ავყვებით მენშევიკების პროვოკაციას და იარაღით დავიცავთ საბჭოთა ქვეყნებს“.

ამხ. მაჭავარიანი (№ დივიზ. მომარაგების უფროსი).

„მეთაურნი არ უღალატებენ იმ იდეალს, რომელსაც ემსახურება საქართველოს მშრომელი მასა, 6 წლის განმავლობაში მეთაურნი ეწეოდენ დიდ მუშაობას და მათ კარგათ იციან თავისი გზა. მენშევიკების რჩევა-დარიგება ჩვენთვის საჭირო არ არის“.

ამხ. ანთაძე (№ საარტ. ლეგიონის მეთაური).

„წითელი არტილერისტები აცხადებენ, რომ მათ არავითარი საერთო არა აქვთ რა ბანდიტ ჟორდანია - რამიშვილებთან. ჩვენ, არტილერისტებმა არ ვიცით ბევრი ლაპარაკი, მაგრამ საჭირო დროს ავალაპარაკებთ ზარბაზნებს, რომელნიც გასცემენ ჩვენ მტრებს საუკეთესო პასუხს.

არტილერისტები სწავლობენ იარაღის ხმარებას და მათ ისიც კარგათ იციან, თუ ვის წინააღმდეგ უნდა მოიხმარონ იგი“.

ამხ. ზაუთაშვილი (№ ლეგ. ათასეულის თავი).

„გაქცეულ მენშევიკებს სრულიადაც არ შესტკივათ გული საქართველოს მშრომელი ხალხისათვის. მათ უნდათ დაიბრუნონ დაკარგული პორტფელები. საქართველოს იხსნის ყოველგვარ გაჭირვებისაგან მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება. ქართული მხედრობა გვერდში უდგას კომპარტიას, რომელსაც მშრომელები მიჰყავს სწორი გზით“.

აი, ქართველ მეთაურთა პასუხი ბანდიტ-მენშევიკებს.

ე. ხუციშვილი.

ხელები შორს მუშურ-გლეხურ საქართველოსაგან

რეზოლუცია

მიღებული ქართველ მეთაურთა საერთო კრების მიერ ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენების ირგვლივ.

თბილისის გარნიზონის ქართული ნაწილების უფშემადგენლობის საერთო კრებამ, მოისმინა რა ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე და პრესაში გამოქვეყნებულ ქართულ მენშევიკ - ემიგრანტების ჟორდანია და რამიშვილის წერილების შესახებ, გამოსთქვამს თავის აღშფოთებას და სთვლის მთელ ამ ავანტიურას დახმარებათ საერთაშორისო იმპერიალიზმისა, მსოფლიოში ერთად-ერთ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ მასში სოციალისტური მშენებლობის მოსასპობათ.

ავანტიურისტ. მენშევიკების იმედი — დაიჭირონ კავშირი ქართული წითელი ჯარის მეთაურთა შემადგენლობასთან, მათი გამოყენებისათვის საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის წინააღმდეგ საბრძოლველად — წმინდა წყლის პროვოკაციაა.

თბილისის გარნიზონის ქართული ნაწილების უფშემადგენლობა ყველას გასაგებათ ხმა მაღლა აცხადებს, რომ იგი სავსებით სდგას საბჭოთა ხელისუფლებისა და მის მშვიდობიან მშენებლობის სადარაჯოზე. იმპერიალისტების და კონტრ - რევოლუციონერების ყოველგვარ ცდას, მიმართულს პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, ჩვენ გავსცემთ მტკიცე და სათანადო პასუხს.

მთელი ქვეყნების მშრომელთა წინაშე ჩვენ ვსდებთ მხედრულ ფიცს, რომ უკანასკნელ წუთამდე დავიცავთ პროლეტარიატის დიქტატურის რევოლუციონური დროშა.

ქართული წითელი ჯარის მეთაურთა შემადგენლობა აღშფოთებით იგონებს მენშევიკურ მთავრობის დამღუპველ პოლიტიკას, ქართველ მუშებისა და გლეხების მიმართ და აცხადებს, რომ იგი მომავალში ძირ-ფესვიანად აღმოფხვრის ყოველგვარ ცდას, მიმართულს მუშურ-გლეხურ მთავრობის წინააღმდეგ.

ქართული წითელი ჯარის უფროსთა შემადგენლობა გამოსთქვამს მწუხარებას, რომ მას ერთხელ კიდევ უხდება მოაგონოს მენშევიკებს ის სახელოვანი როლი, რომელიც შეასრულა ქართულმა წითელმა ჯარმა და მის მეთაურებმა 1924 წლის აგვისტოს ავანტიურის დროს მენშევიკურ კონტრ - რევოლუციის განადგურებისათვის ბრძოლაში. მას შემდეგ განვლო თითქმის სამმა წელმა და ამ ხნის განმავლობაში მან შეითვისა უფრო საუკეთესო მეთოდები იმპერიალისტებთან და კონტრ - რევოლუციასთან საბრძოლველად.

ხელები შორს, გადახვეწილნო და გამყიდველნო საბჭოთა საქართველოსაგან.

ომის საშიშროების წინ და ემიგრანტ - მენშევიკების საპასუხოდ. კიდევ უფრო მჭიდროთ დავირაზმებით კომპარტიის დროშის ქვეშ, გავაძლიერებთ აქტივობას ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განსამტკიცებლად.

ძირს საერთაშორისო იმპერიალიზმი და მისი ლაქიები—მუშებისა და გლეხების გამყიდველი ქართველი მენშევიკები!

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას და მის ხელმძღვანელს — კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს წითელ ჯარს—მთელი ქვეყნების მშრომელთა ინტერესების ერთგულ დამცველს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს და მის ღვიძლ შვილს — ქართულ წითელ ჯარს!

რეზოლუცია წარმოდგენილ იქნა № დივიზ. შტაბის უფროსის თანაშემწის ამხ. ფაღავას მიერ და მიღებულია კრების მიერ ერთხმად.

ნაოსნობა რიონზე

მდ. რიონზე ნაოსნობის დაწყებასთან დაკავშირებით, თბილისში არსდება „მდ. რიონზე ნაოსნობის საზ-ბა“. საზოგადოებაში მთავარ აქციონერებათ შევლენ—ს. მ. უ. ს., საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველო, კასპიის ნაოსნობის საზოგადოება, სატყეო მრეწველობის ტრესტი და ქუთაისის, სენაკის და ფოთის აღმასკომები. გარდა ამისა საზოგადოების წევრობა შეუძლიათ ყველა სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ წარმოება-დაწესებულებებს, მუშათა ორგანიზაციებს და სხვა საქციო საზოგადოებებს.

ახალი საზოგადოება შესძენს საკუთარ სამგზავრო და საბარგო გემებს, აგებს ტვირთების შესანახ საწყობებს და მიიღებს გადასაზიდათ ყველა ტვირთებს, როგორც სარკინიგზო ტრანზიტისათვის, ისე წყლის ტრანსპორტზე—საბჭოთა კავშირის ფარგლებში.

პირველ ხანებში საზოგადოების ძირითადი კაპიტალი განსაზღვრულია 60.000 მანეთით, ხოლო შემდეგ ეს თანხა აყვანილ იქნება 210.000 მანეთამდე. აქედან 150.000 მანეთი გამოთხოვილი იქნება საკავშირო ფონდიდან.

საზოგადოების წესდების პროექტი ამ დღეებში წარედგინება სახკომსაბჭოს დასამტკიცებლათ.

ბათომის ინტელიგენცია

მენშევიკური პროვოკაციის წინააღმდეგ

29 ივნისს, საღამოს, მუშათა საზაფხულო კლუბში შესდგა ბათომის მშრომელ ინტელიგენციის (მედსანშრომის, განათლების და საბჭოთა მუშაკების კავშირის წევრთა) გაერთიანებული კრება, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. დ. ქუთათელაძე, ა. ჟოჟიკაშვილი, ჯაყელი, გრიგოლია, ფენსტერი, მუჯირი, ხუნდაძე, კუნჭულია.

მოხსენებით საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ამხ. ა. ჟოჟიკაშვილი.

ამხ. ჟოჟიკაშვილი დაწვრილებით შეჩერდა საბჭოთა კავშირის დღევანდელ საგარეო და საშინაო მდგომარეობაზე, ის შეეხო აგრეთვე საზღვარ გარეთ გადახვეწილ მენშევიკების უკანასკნელ სადირექტივო წერილებს, რომელშიაც ისინი კვლავ მოუწოდებენ თავიანთ პარტიის ნამსხვრევებს საქართველოში ახალი აჯანყებისაკენ. ამხ. ჟოჟიკაშვილის მოხსენების ირგვლივ სიტყვებით გამოვიდა მთელი რიგი ორატორები:

ექ. ფენსტერის სიტყვა

ექიმთა სამეცნიერო ს-ბის სახელით ვაცხადებ, რომ ექიმების მუშაობისადმი საბჭოთა ხელისუფლება იჩენს განსაკუთრებულ კეთილგანწყობილებას. საბჭოთა ხელისუფლება არა თუ რაიმე პირობებს არ გვიყენებდა, არამედ ხელს გვიწყობდა, ჩვენს რჩევას ითხოვდა საექიმო და საზოგადოებრივ საკითხებში. ჩვენ საზოგადოების 30 წლის მოღვაწეობის აღნიშვნა საბჭოთა მთავრობის უდიდესი მორალიურ და მატერიალურ დახმარებით ჩატარდა.

ექ. ნ. ერისთავის სიტყვა

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი იმ იდეალების მიღწევა, რომელიც ყოველ ექიმს ამოძრავებს, ჩვენს ქვეყანას არ უნდა ომი, მაგრამ თუ ვინმე თავზე მოახვევს ჩვენს მშვიდობიანობის მოყვარულ ქვეყანას ომს, მაშინ ჩვენ, ექიმები პირნათლათ შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას და ვიქნებით იქ, სადაც მუშების და გლეხების ინტერესები მოითხოვს.

სცდება ნოე ჟორდანია, თუ გონია, რომ ჩვენ მას დაუჭერთ მხარს.

ჩვენ საბჭოთა მთავრობასთან ვართ. (ტაში).

მასწავლებელ ნ. ჯაყელის სიტყვა

დღეს ჩვენ მივაღწიეთ ისეთ მომენტს, როცა მასწავლებლობის მდგომარეობა გაუმჯობესებულია, ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად მოღონიერდა, როცა ჩვენ შეგვიძლია მომავალ თაობის აღზრდა ისე, რომ ისინი მალე ჩაუდგებიან სათავეში ახალ ცხოვრებას. ამ დროს იმპერიალისტები ცდილობენ ხელი შეგვიშალონ, ჩაუფუშონ ჩვენი მშვიდობიანი აღმშენებლობა.

ამ მძიმე და რთულ მომენტში ჩვენ, სახალხო მასწავლებლები ხმამაღლა საჯაროთ ვაცხადებთ ჩვენს აღშფოთებას, პროტესტს ომის წინააღმდეგ. და თუ ვინმე გაბედავს და თავს დაესხმის ჩვენს ქვეყანას, ქართველი მასწავლებლობა, მთელი მშრომელი ინტელიგენცია მთელი საბჭოთა კავშირის მუშებთან და გლეხებთან ერთად მოხუცები და ახალგაზრდები დავდგებით ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე, იქ სადაც პარტია და ხელისუფლება მოგვიწოდებს. (ტაში).

მასწავლებელ მილოვის სიტყვა

ამხ. ჟოჟიკაშვილმა დაგვისურათა თანამედროვე მომენტის სირთულე. ამ გადამწყვეტ ბრძოლაში მასწავლებლობა, როგორც ერთი კაცი მზათ ვართ პარტიის და ხელისუფლების მოწოდებისთანავე გავიდეთ იმ წესწყობილების დასაცავათ, რომელმაც შესძლო სახალხო განათლების ასე ფართოდ და ასეთ ჯანსაღ ნიადაგზე დაყენება. მასწავლებლის საუკეთესო იდეალები მიღწეულია. ქვეყნის ეკონომიური აღორძინების ურყევი ფაქტია.“

ჩვენ აქ გავიგეთ, რომ ამ გადახვეწილ ხალხს ჩვენი, აჭაური ინტელიგენციის იმედი ქონია. ტყუილი იმედია. მშრომელი ინტელიგენცია საბჭოთა ხელისუფლებასთან იქნება. (ტაში).

ექ. მუჯირის სიტყვა

ჟორდანია - რამიშვილი ტყვილა იღლებიან. მშრომელი მასა და მისი ერთი ნაწილი — მშრომელი ინტელიგენცია იყო და იქნება იმ მთავრობასთან, იმ პარტიასთან, რომელიც ამ მშრომელთა ერთად ერთი დამცველია. ვინ წარმოიდგენს ისეთ სიგიჟეს, რომ ჩვენ ვუღალატებთ იმას, ვინც ჩვენ გვიცავს და მივემხრობით მენშევიკებს, იმპერიალისტებს, როდესაც ვიცით, რომ მათი ბატონობა ჩვენს დამონებას ნიშნავს. ექიმები მთელი თავისი ცოდნით, მთელი თავისი მომზადებით, მშვიდობიანობის თუ ომის დროს, მუდამ იქნებიან მუშების და გლეხების ხელისუფლებასთან ერთად.

ლ. ქორქაშვილის სიტყვა

არას დროს საქართველოს არ ღირსებია ის, რის მოწმე დღეს ვართ. და თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვსთქვათ: ჩვენ უნდა ვიყოთ იმ სახელმწიფოსთან, რომელმაც შესძლო ქვეყნის ეკონომიური წინ წაწევა, ქვეყნის აღორძინება.

ვისაც სურს თავის ქვეყნის წინსვლა და აყვავება, ვისაც უყვარს სამშობლო. იგი ჩაებმება ამ აღმშენებლობითი მუშაობაში, ხელს შეუწყობს პარტიისა და ხელისუფლების მუშაობას, და თუ დადგა დრო განსაცდელისა, თუ საჭირო იქნა, ყველანი ერთგულათ დადგებიან თავიანთ პოსტებზე.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! (ტაში)

დამცველთა კოლეგიის წევრის გ. ლალიძის სიტყვა

დამცველთა კოლეგიის დავალებით ნება მომეცით განვაცხადო შემდეგი:

დღევანდელ დიდ საბედისწერო და გადამწყვეტ ბრძოლაში კაპიტალიზმსა და შრომას შორის დამცველთა კოლეგიის წევრები მთელი თავისი არსებით, გონებრივი და ფიზიკური შეძლებით არიან და იქნებიან საბჭოთა ხელისუფლებასთან. ჩვენ დღეს ვიცავთ რევოლიუციონურ კანონიერებას, ხოლო საჭიროების დროს ჩვენ გვერდში ამოუდგებით საბჭოთა მთავრობას უფრო საშიშ და გადამწყვეტ ბრძოლაში.

დღეს ჟორდანია ეკლესიას იცავს. ჟორდანია რომის პაპთან კავშირს იჭერს, კენტერბერიის ეპისკოპოს ეარშიყება.

ერთხელ ჟორდანია სწერდა: რა ხონჩითაც არ უნდა მიართვა ნაციონალიზმი ქართველ ხალხს, მაინც არ მიიღებსო. ეხლა ჩვენ ვიტყვით: რა ხონჩითაც არ უნდა მიართვა საქართველოს ჟორდანია - რამიშვილი, მაინც არ მიიღებს. (ტაში).

ამხ. ი. აფაქიძის სიტყვა

ჟორდანია ფიქრობს, რომ მომავალ ბრძოლაში ქართველი ხალხი მოსკოვის წინააღმდეგ იქნება. ეს სიყალბეა. არასდროს არ გაყვება ქართველი ხალხი მენშევიკებს, ეს ახალი ცდა არის, რომ ჩვენი ქვეყანა ჩააგდოს ანარქიაში, რომ არიონ ჩვენი მშვიდობიანი მუშაობა.

ყალბი სიტყვებით ქართველ ინტელიგენციას ვერ შეაცდენს ჟორდანია. ქართველი მშრომელი ინტელიგენცია კეთილსინდისიერათ ემსახურება საბჭოთა ხელისუფლებას და მომავალ გადამწყვეტ ბრძოლის დროს ქართველი ინტელიგენცია ქართველ ხალხთან ერთად იქნება არა მოსკოვის წინააღმდეგ, არამედ მოსკოვის მხარეზე პარიზის წინააღმდეგ. (ტაში).

ამხ. აფაქიძის სიტყვის შემდეგ კრების მიერ ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც ზიზღს უცხადებს ქართველი ხალხის სისხლით მოვაჭრე მენშევიკებს და ყოველგვარ დახმარებას აღუთქვამს საბჭოთა ხელისუფლებას.

ბრძანება ლენინელებს

ლენინელებო გასწორდით, სმენა,
დათვალეთ რიგში რკინის ბრძანება,
რევოლუციამ კიდევ ახსენა—
ძველი ცხოვრების გარდაცვალება!
დღეს კატასტროფა ქუხს დასავლეთს,
ის ცეცხლის ალში [illegible]
შენ—ოქტომბერო, ბევრს შეასწავლე
ცხოვრების ხარბათ აწიოკება!
სადაც შენი ხმა ქუხდა მეხივით,
იქვე სიკვდილის ორმო დათხარე.
ძველი ევროპა ტანმოგრეხილი
შენს მოლოდინში ზანტათ ამთქნარებს!
იცის წარღვნის დღე უკვე მოვიდა,
ძლება სიმხეცით და პირშაობით.
შურისძიებით ეშაფოტიდან
კომუნარების სისხლი ჩამორბის!
ძველო ევროპავ, ვერ შეგვაშინებ
მაინც ვერ მოსპობ დაცინვით, თრევით,
ძველო ევროპავ, ვერ შეგვაშინებ
ფოსტროტებით და გრძელ ცილინდრებით!
შენს ბედს სიკვდილი ზიზღით უცინის,
სიკვდილის ფერი წვიმა გასველებს,
და აგონია რევოლიუციის
ყოფნის საზღვარზე აღარ გახვენებს?
უხიფათოა მუქარა შენი,
ჩვენსკენ უბრალოთ მოეტანები,
იცოდე, მხოლოდ კომუნას შექმნის
ოფლში გაზრდილი პროლეტარები!
ჩვენ ვართ მრავალი, დაუპყრობელი
აზიურ სუნთქვით მონობას ვებრძვით,
დღეს ჩვენს კისერზე უნდა გადატყდეს
ბებერ ცხოვრების დამპალი ღერძი!
სისხლით და შრომით მსოფლიოს ვიხსნით,
ჩაგვრის ქვეყანავ, წარღვნას ელოდე.
მოდის რუსეთი ოქტომბრის რისხვით
და თებერვალი—საქართველოთი!
ახლოა ჟამი უკანასკნელი,
ლენინელებო, გასწორდით, სმენა,
არ ულალატებთ ჩვენს ძვირფას ლენინს,
არ ულალატებთ კომუნის რწმენას!

ალიო მაშაშვილი.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე

კოოპერატიული ლატარია

თბილისში კოოპერაციის საერთაშორისო დღის ჩატარებას ხელმძღვანელობდა მუშკოოპი. დღის ჩატარება მუშკოოპის გამგეობამ მიანდო სპეციალურ კომისიას, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. ვ. ბოლქვაძე.

კოოპერაციის დღის აღსანიშნავად მუშკოოპმა მოაწყო დიდი მომგებიანი ლატარია. ლატარიის ბილეთები ეძლეოდა ყველა მყიდველს, რომელიც კოოპერატივიდან გაიტანდა 2 მანეთის საქონელს, ხოლო ორ მანეთზე მეტ თანხაში ეძლეოდათ იმდენი მომგებიანი ბილეთები, რამდენი ორი მანეთიც იყო წაღებული საქონლის თანხაში.

ლატარიის გათამაშება ხდებოდა მუშკოოპის ხუთ დიდ მაღაზიაში. საქონლის მყიდველები იქვე ღებულობდენ სალატარიო ბილეთებს და მონაწილეობდენ ლატარიის გათამაშებაში.

მუშკოოპისა და სხვა კოოპერატიული დაწესებულებები მორთული იყო მთელი დღის განმავლობაში, საღამოს მუშათა ცენტრალური კლუბში და საბჭოთა მუშაკების საზაფხულო კლუბში გაიმართა მიტინგი-კონცერტები. მიტინგებზე გამოვიდენ მუშკოოპის წარმომადგენლები კოოპერაციის საერთაშორისო დღის მნიშვნელობისა და ჩვენი კოოპერატიული ორგანიზაციების მიღწევების შესახებ.

გუშინ კოოპერატივებში

გუშინ მთელი დღის განმავლობაში მუშკოოპის და სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციების მაღაზიებში გაცხოველებული ვაჭრობა იყო.

მთელი დღის განმავლობაში მუშკოოპის ოთხ უნივერსალურ მაღაზიაში გასაღდა 12.000 ცალი კოოპერატიული მომგებიანი ლატარიის ბილეთი. აქედან მარტო რუსთაველის დიდ პასაჟში გასაღდა 3.600 ცალი ბილეთი, მაღაზია № 1-ში—2.200 ც. ბილეთი, ცენტრალურ მაღაზიაში—320 ბილეთი, მაღაზია № 7-ში (ავლაბარში)—2.500 ბილეთი და სხ.

დღის განმავლობაში ყველა მაღაზიების საერთო ბრუნვამ იმატა დაახლოებით 40 პროცენტით. ასე, მაგალითად, რუსთაველის პასაჟში გუშინ გაიყიდა 7.500-მდე მანეთის საქონელი, ცენტრალურ მაღაზიაში—7.200 მანეთის და სხ. გუშინწინ კი აღნიშნულ მაღაზიებში გაყიდული იყო აღნიშნულ თანხის ნახევარი რაოდენობის საქონელი.

ახალი მადანი

ამ დღეებში ყაზბეგის რაიონისკენ (დუშეთის მაზრა) მიემგზავრება რესპუბლიკის სამთო-ზედამხედველობის ინსპექტორი ინჟ. კანდელაკი, რომელსაც დავალებული აქვს გამოიკვლიოს იქ მდებარე ანდეზიტის მადნეულობა.

ანდეზიტი, სპეციალისტების განცხადებით, იშვიათი მადანია; იგი თავისუფლად უძლებს ქიმიური სიმჟავეების გავლენას. ანდეზიტის მადანს ხმარობენ უმთავრესად ფაიფურისა და ქიმიური მრეწველობაში.

მადნების მარაგის რაოდენობის გამორკვევის შემდეგ შეუდგებიან მადნების ექსპლოატაციის დაწყების საკითხის შესწავლას.

მოთქმულ დებულებებს ჩვენ ვთვლიდით მნიშვნელოვან ნაბიჯად წინ. რატომ არ გამოქვეყნდა ეს პუნქტი „ბრძოლაში“? მიზეზები შემდეგია: ნ. ჟორდანიამ და სხვა ამხანაგებმა, რომლებმაც ხმა მისცეს ამ პუნქტს, გამოსთქვეს აზრი, რომ თუ ეს პუნქტი გამოქვეყნდა, მტრები (ე. ი. ბოლშევიკები, არა? მართლაც და როგორ გეშინიათ თქვენ ბოლშევიზმის—სიკვდილსავით უფრთხით მას! მ. კ.) გამოიყენებენ ამას, როგორც იმის აღიარებას, რომ პარტია წარსულში აწარმოებდა სამხედრო ავანტიურების პოლიტიკას. ამიტომ კრებამ მათი წინადადების თანახმად დაადგინა მიეღო ეს პუნქტი, მაგრამ პარტიისთვის ეცნობებია ამ პუნქტის შესახებ არა პრესის საშუალებით, არამედ წერილობითი ინფორმაციის წესით“. აქედან მხოლოდ ერთი რამ სჩანს, თუ როგორ გაიძვერულად მოატყუა პარტიის „ლიდერმა“ ჟორდანიამ საწყალი „ოპოზიციონერი“ წერეთელი. შემჩნია რა უმრავლესობის განწყობილება, ჟორდანია წავიდა „დათმობაზე“, დამპალ კომპრომისზე, „მიიღო“ წერეთლის პუნქტი აჯანყების და ავანტიურების წინააღმდეგ, როგორც „ოპოზიციასთან“ შეთანხმების საფუძველი, მაგრამ რეზოლიუცია შემდეგ არსად სრულად არ გამოაქვეყნა, არსად არ დაბეჭდა, საქართველოში კი შემოთვალა, რომ, თვითონ წერეთელმა „მოხსნა“ თავისი თეზისებიო. მაშინ, როდესაც წერეთელს ფიქრადაც არ მოსვლია ამის ჩადენა. ნუ თუ ეს მენშევიზმის ჭეშმარიტი „დემოკრატია“ არ არის? თუ ასე დასცინიან ლიდერს, როგორ მოპყრობას-ღა უნდა ელოდოთ პარტიის უბრალო წევრებისადმი? და წერეთელი კი მის დამახასიათებელ უხასიათობით და უხერხემლობით — „პროტესტს აცხადებს“ ამის წინააღმდეგ, აფუჩეჩებს უთანხმოებას და დროგამოშვებით ჩიფჩიფებს ისეთ რამეებს, რომლებიც არავის არ ესაჭიროება.

წერეთელი განაგრძობს ჟორდანიას დამშვიდებულ „კრიტიკას“ და ამხილებს მას მთელ რიგ წინააღმდეგობებში: „ჟორდანია, როგორც შემჩნევდით მის წერილებში, ერთსა და იმავე დროს ეთანხმება ტაქტიკის ორს სავსებით მოწინააღმდეგე მეთოდს. შედარებით, მაგალითად, ჩემი თეზისების ის შეფასება, რომელსაც აძლევა ნ. ჟორდანია თქვენთვის გამოგზავნილ ორ წერილში.

პირველ წერილში ის, ჟორდანია, გწერთ თქვენ ბიუროს სახელით: „ბიურომ ამ რეზოლიუციაში (წერეთლის თეზისებში) დაინახა რუსულ ორიენტაციისაკენ გადახრა და ჩვენი საკითხის საერთაშორისო პრობლემებიდან მოხსნის და მისი რუსეთის შინაურ საკითხად გადაქცევის ცდა“... მეორე წერილში ის იმავე თემაზე გწერსთ: „თქვენ გვეკითხებით აქაურ დავაზე, აქაურ ტაქტიკაზე; ამაზე ჩვენ უკვე გამოგიგზავნეთ წერეთლის თეზისები და ბიუროს პასუხი. აქედან თქვენ დაინახავთ, რომ ეს დავა სრულებით ან არ შეეხება ჩვენი მოქმედების ძირითად ხაზს არც ნაციონალურ და არც სოციალურ სფეროში. ჩვენ ყველა ვდგევართ საქართველოს დამოუკიდებლობის, ეროვნულ მთავრობის შენარჩუნების, დიპლომატიურ და პარტიულ მუშაობის გაძლიერების და სხ. ნიადაგზე. ერთგვარი განსხვავება არსებობს წვრილმანებში, უმთავრესად სხვა პარტიებთან დამოკიდებულების საკითხში, მაგრამ ეს განსხვავება სრულებითაც არ უშლის ხელს საერთო მუშაობას და საერთო ტაქტიკური ხაზის გატარებას“. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ეს წერილი შემთხვევით იქნა წარდგენილი ერთსა და იმავე სხდომაზე და ბიუროს უმრავლესობის მიერ ეს წერილები დამტკიცებულ იქნენ იმავე სხდომაზე. ვფიქრობ, ზედმეტია შეჩერება იმაზე, თუ რამდენად სამწუხაროა ასეთი მდგომარეობა. ნ. ჟორდანიას კიდევ შემდეგს იწერება: „ჩვენ ყველა შევთანხმდით ჩვენი ტაქტიკის საფუძველზე და, მაშასადამე, ამჟამად სადავო არაფერი აღარ არის“ სამწუხაროდ არც ეს არის მართალი“. (კურსივი აქაც წერეთლისაა მ. კ.).

გამოდის, რომ ჟორდანია ერთ წერილში ბრალსა სდებს „ოპოზიციონურ“ წერეთელს მენშევიზმის ძირითად დებულებათა რევიზიაში, ორიენტაციის ძირითად შეცვლაში, ქართულ საკითხის „რუსეთის შინაურ“ საკითხად გადაქცევის სურვილში, „რუსულ გადახრაში“ და სხვა მომაკვდინებელ ცოდვებში. მეორე წერილში კი ჟორდანია ამტკიცებს [illegible] საწინააღმდეგოს: ძირითადი ხაზი მიღებულია, სადავო არაფერია, არის მხოლოდ „ნიუანსები“ (წვრილმანი განსხვავება) მართლაც მენშევიკური რეგვენი უნდა იყო,—ასეთი ხალხი კი ჟორდანიას ბლომად ჰყავს,—რომ გაიგო აზრთა ეს აღრევა, თუ კი შეიძლება აზრები ან თუნდაც „ნიუანსები“ ვუწოდოთ ბრძენ მოხუც ჟორდანიას ყველა ამ ნაწარმოებს.

(გაგრძელება იქნება)

◆

ჭიათურის კონცესია

ორი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჭიათურის შავი-ქვის წარმოება ცნობილმა ამერიკულმა ფირმამ „ვ. ა. ჰარიმან და კომპ.“ კონცესიათ აიღო. ამ კონცესიის პირობების ეკონომიური მხარე ჩვენს პრესაში თავის დროზე საკმაოთ იყო გაშუქებული. ეს, ასე ვსთქვათ, ფორმალური, უფლებრივი მომენტია კონცესიის. მხოლოდ რაც შეეხება კონცესიის მოქმედების მიმოხილვას, მის და ბრძოლებას და სიძნელეს შავ-ქვის მსოფლიო ბაზარზე გაბატონებისათვის —ეს მხარე, დღემდის პრესაში თითქმის არ გაშუქებულა.

ცხადია, ამ გარემოებას თავისი ობიექტიური მიზეზები ჰქონდა. საჭირო იყო საკმაო გამოსაცდელი დრო, რომ დაკვირებით და შეუცდომლათ დაგვეფასებია კონცესიის მოქმედება. სამწუხაროთ, ჩვენ ვერ მოვასწარით ამ დაკვირვების და გამოსაცდელი დროის გავლა, ისე რომ კონცესიონერმა მოულოდნელათ წამოაყენა საკითხი ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ.

მოლაპარაკება კონცესიონერის მიერ წამოყენებული კითხვების გარშემო ექვსი თვე გაგრძელდა. ყველა კითხვებზე საერთო ენა გამოინახა და შეთანხმება უკვე მოხდა. ამიტომ ეხლა სრული შესაძლებლობაა დამშვიდებით თვალი გადავავლოთ როგორც იმ ცვლილებებს, რომლებიც შეტანილ იქნა არსებულ საკონცესიო ხელშეკრულებაში, ისე კონცესიის პერსპექტივებს.

მაგრამ, სანამ ამ კითხვებს განვიხილავდეთ, საჭიროა მოკლეთ შევეხოთ ჩვენი შავი-ქვის მრეწველობის განვითარებას სხვადასხვა ხანებში, რომ მით ნათელი და სრული წარმოდგენა ვიქონიოთ იმ მოსაზრებებზე, რომლებმაც აიძულა საბჭოთა ხელისუფლება ეს წარმოება კონცესიის წესით აემუშავებია.

ჩვენი შავი-ქვის დამუშავება პირველათ 1879 წ. დაიწყო. აქედან დაწყებული იმპერიალისტურ ომამდინ (1914 წ.) ის შეუჩერებლად იკაფავდა გზას მსოფლიო ბაზარზე გაბატონებისაკენ. ნათქვამს ადასტურებს დამუშავების შემდეგი ციფრები:

წლები	ათასი ფუთი
1879—1883	2,290
1884—1888	14,508
1889—1893	41,364
1894—1898	62.965
1899—1903	162,240
1904—1908	197.866
1909—1913	204.357

ამ გვარათ ამ ცხრილიდან აშკარათ სჩანს თუ რა სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ ჩვენი შავი-ქვის საქმე 1914 წლამდე. მისი ექსპორტი იმპერიალისტურ ომამდე ფარავდა მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილების 40 პროც.*) საშუალოთ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ომი არ მომხდარიყო, დღეს ჩვენ მონოპოლისტები ვიქნებოდით მსოფლიო ბაზარზე.

ომმა ჩვენი შავი-ქვა მოსწყვიტა ბაზარს, რამაც მისი წარმოება თითქმის 1922 წლამდი სრულიათ შეაჩერა (შინა ბაზრის მოთხოვნილება კი ამ დროს შავქვაზე იმდენათ მცირე იყო, რომ მისი დაკმაყოფილება ჭიათურისათვის არაფერს არ წარმოადგენდა). ამ ამ გარემოებით ისარგებლეს იმ ქვეყნებმა, რომლებიც ან სულ არ აწარმოებდენ შავი-ქვის საქმეს ან ძალიან პატარა რაოდენობით და შეუდგენ თავიანთი წარმოების გაფართოებას.

ომამდის მსოფლიო ბაზარი იცნობდა თითქმის მარტო ინდოეთს, ბრაზილიას, ჭიათურას და ნიკოპოლს, რომლებიც აკმაყოფილებდენ მის მოთხოვნილებას.

ომის ოთხი წლის წინა ხანაში ამ ქვეყნების ექსპორტი გამოიხატებოდა შემდეგ ციფრებში (ათას ტონებათ).

წლები	ინდოეთი	ბრაზილია	ჭიათურა	ნიკოპოლი	სულ
1910	567	254	609	69	1499
1911	554	174	581	43	1352
1912	622	155	883	77	1737
1913	772	122	1052	97	2043

ომის შემდეგ კი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეს სურათი საგრძნობლად შეიცვალა — აფრიკაში („ოქროს ნაპირი“) და ეგვიპტეში (სინაი) ახალი მადნების აღმოჩენით და მათი განვითარებით.

განსაკუთრებულ ადგილს იკავებს დასავლეთ აფრიკის ე. წ. „ოქროს ნაპირი“-ს შავი-ქვა, რომლის ექსპორტმა მხოლოთ რამოდენიმე წლის არსებობის შემდეგ წარსულ წელში ავიდა 400 ათ. ტონამდე.

ახალ აღმოჩენილ მადნებში ყველაზე უფრო საშიშ მეტოქეთ ჭიათურისათვის უნდა ჩაითვალოს აფრიკის „ოქროს ნაპირი“, რომლის დამუშავების ხელსაყრელი პირობები და ქვის კარგი ღირსება ხდის მას ძლიერ ფაქტორად. რომ ომის შემდეგ მსოფლიო ბაზაზრე ძალთა განწყობილება საგრძნობლათ შეიცვალა ამას დაგვანახვებს შემდეგი ციფრები:

ორი წლის (1923-24 წლები) საშუალო გაზიდვა

ინდოეთის 700 ათ. ტონა
ბრაზილიის 200 „ „
„ოქროს ნაპირის“ 200 ათ. ტონა.
სინაისი 150 და
ჭიათურის 420 ათ. ტონა.

ამნაირათ, ყველა ქვეყნების შავი-ქვის ექსპორტი, გარდა საბჭოთა შავი-ქვისა, უნდა ვიანგარიშოთ ამჟამად სულ მცირე 1450 ათ. ტონა, რადგან, როგორც ზევით აღვნიშნეთ, „ოქროს ნაპირის“ ექსპორტმა უკვე მიაღწია 400 ათ. ტონამდე. მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილება კი არ აღემატება 2.000 ათ. ტონას.

როგორც მკითხველი ხედავს, საბჭოთა შავი-ქვის ექსპორტს ძალიან მცირე ადგილი რჩება ბაზარზე — სულ 550 ათ. ტონა წლიურად. ეს კი ისეთი რაოდენობაა, რომელიც ჭიათურის და რუსეთის შავი-ქვის სხვა წარმოებებს ოდნავათაც ვერ დააკმაყოფილებს.

აი ასეთ ძალთა განწყობილებას წააწყდა ჩვენი შავი-ქვა, როდესაც ის ომის შემდეგ გავიდა მსოფლიო ბაზარზე და შეეცადა დაებრუნებია დაკარგული მდგომარეობა. მარა ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა: ჩვენი შავი-ქვაც ვერ ასცდებოდა იმ კანონს, რომლის თანახმად ყოველნაირი შეჩერება საქონლის მსოფლიო ბაზარზე გატანაში აძნელებს მის შემდეგ გავრცელებას.

რას წარმოადგენდა ჩვენი შავი-ქვის მრეწველობა კონცესიის გაცემის წინ?

ჩვენ ამ წარმოებაში ვხედავთ 30-დე მსხვილ და წვრილ ფირმებს, რომლებთა ხელთ იყო მაშინ შავი-ქვის საქმე. მართალია ყველა ეს ფირმები გაერთიანებული იყვნენ ერთ მძლავრ საზოგადოება, „ჩემო“-ში, მარა ეს საზოგადოება აწარმოებდა ხსენებული ფირმების პროდუქციის მარტო ექსპორტს და სრულებით არ ერეოდა შავი - ქვის დამუშავების საქმეში.

ამნაირად თვითეული ფირმა თავისუფალი იყო დამუშავების წესის არჩევა-შემოღებაში. უნდა ითქვას, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ გრძნობდა და ხედავდა იმ საშიშროებას, რომელიც ჭიათურის მრეწველობას კარზე ადგა ახალი მეტოქეების გამოჩენით და მათი წარმოების გაფართოებით. აქაური ფირმები განაგრძობდენ თავიანთ საქმეს ძველი წესით და მეთოდით. ეს მდგომარეობა კი კარგს არას უქადდა ჭიათურის ქვას, რადგანაც მთავარი ამ საქმეში დამუშავების შესაძლებლობა კი არ არის, არამედ ამ დამუშავების პროდუქციის გასაღება. შავი - ქვის ბაზრის მოთხოვნილება განსაზღვრულია, მაშინ, როდესაც ექსპორტის შესაძლებლობა ყველგან დიდია. ვის შეუძლია ამ მდგომარეობაში ბაზარზე ფეხის მოკიდება და იქ გაბატონება? მხოლოდ მას ვინც შესძლებს თავის წარმოებაში საუკეთესო ტეხნიკა შეიტანოს და მით პროდუქციის თვითღირებულება საგრძნობლათ შეამციროს.

ჭიათურის ყოფილ ფირმებმა ამ მხრივ გააკეთეს რამე? ძალიან ცოტა, ვიტყვით ჩვენ.

ზემოაღნიშნულ გარემოებას თავის დროზე მიაქცია ყურადღება საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ და შეეცადა ჭიათურის ქვისათვის მსოფლიო ბაზარზე საპატიო ადგილის მოპოვებას წარმოების საღ გზაზე დაყენებით. მისი ცდა გამოიხატებოდა იმაში, რომ წარმოება ერთ მთლიან მეურნეობათ ექცია.

ამ მიზნით 1924 წ. საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა თავისი საკუთარი შავი-ქვის წარმოება, რომელიც სულ მოკლე ხანში საგრძნობლად გაიზარდა. მარა, მალე გამოირკვა, რომ ჩვენი საშუალებით და გამოცდილებით ამ წარმოებას მთლიანათ იოლათ ვერ მოვერეოდით. დრო კი აღარ ითმენდა, რადგანაც ჩვენი მეტოქეები გამალებული ეწეოდენ თავიანთ წარმოების გადაკეთებას და გაფართოებას.

სწორეთ ამ დროს ჩამოვიდენ ჩვენში ჰარიმანის ფირმის წარმომადგენლები და გამართეს მოლაპარაკება ჩვენ ხელისუფლებასთან ჭიათურის წარმოების კონცესიათ აღების შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლებამ მადნის საუკეთესო დამუშავების და გამოყენების მიზნით არჩია ჭიათურის მრეწველობა საკონცესიო წესით აემუშავებია. ამ კონცესიის აღების მსურველი ბევრი იყო, მარა ბოლოს ამერიკულ ფირმას მიეცა უპირატესობა, რადგანაც მისი პირობები ყველაზე უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა და ჭიათურის წარმოებაც კონცესიის წესით გადავიდა ვ. ა. ჰარიმანის და კომპ. ხელში 1925 წ. 25 ივლისიდან.

რა იყო მთავარი ჩვენთვის ამ კონცესიაში?

ჩვენმა ხელისუფლებამ ამ კონცესიის გაცემით დაისახა მიზნათ ჭიათურის ქვის მრეწველობის მაქსიმალური განვითარება და მისი გაბატონება მსოფლიო ბაზარზე. ამასთან დაკავშირებით კონცესიონერმა საკონცესიო ხელშეკრულების ძალით მიიღო თავის თავზე მთავარი ვალდებულებები:

1) 20 წლის განმავლობაში სულ მცირე 16.000 ათ. მშრალი ტონ. გატანა.

2) მთავრობის სასარგებლოთ თითეულ ტონაზე კონცესიის პირველი სამი წლის განმავლობაში 3, ხოლო შემდეგ 4 დოლარის მიცემა ისე, რომ კონცესიას სატონო საშუალო გადასახადის სახით უნდა მიეცა ჩვენი ხელისუფლებისათვის არა ნაკლებ 62.350 ათ. დოლ. და

3) წარმოების და ტრანსპორტის გადაკეთება — მექანიზაციისათვის კონცესიონერს უნდა დაეხარჯა არა ნაკლები 4.000 ათ. დოლარისა.

ეს იყო, ასე ვსთქვათ, კონცესიის პროგრამა მინიმუმი. კონცესიონერი ვალდებული იყო გასცილებოდა ამ მინიმუმებს და ყოველი ღონე ეხმარა ჭიათურის მრეწველობის გასაფართოვებლად.

ცხადია, როდესაც კონცესიონერი ასეთ მაგარ და მტკიცე გარანტიას იძლეოდა მას ძალიან კარგათ ჰქონდა წარმოდგენილი ჩვენი ქვის დამუშავების ხელსაყრელი პირობები და მისი კარგი ღირსება.

მართლაც, ბევრგან მოიპოვება შავი-ქვა, მარა არსად ის ბუნებას ისე ერთათ არ დაუგროვებია და დაუწყვია, როგორც ჭიათურის რაიონში.

1924 წ. ჰარიმანის წარმომადგენელმა ელიოტმა, რომელიც მაშინ ჩვენ მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა კონცესიის შესახებ, განაცხადა: ჭიათურის რაიონი შავი-ქვის ისეთი ბუდეა რომლის მსგავსი მსოფლიოს არც ერთმა ქვეყანამ არ იცის.

კონცესიონერი კარგათ იცნობდა ჩვენი ქვის ბუნებრივ სიმდიდრეს, მაგიერათ, როგორც უკანასკნელმა მოლაპარაკებამ გამოარკვია, მას ხელშეკრულების დადების დროს ძალიან ნაკლებათ ჰქონდა წარმოდგენილი შავი-ქვის საქმის სხვა მხარეები.

მარტო შავი-ქვის კაი ღირსება რომ საკმარისი ყოფილიყო მსოფლიო ბაზარზე გაბატონებისათვის, მაშინ ხომ ჩვენ კონცესიასაც აღარ გავცემდით.

ჩვენ წინდაწინვე ვგრძნობდით ჩვენ მეტოქეებთან ბრძოლის სიმძიმეს. განსაკუთრებით იმათთან, რომლებიც ომის დროს გამოჩნდენ. ვიცოდით ისიც, რომ ჩვენმა ძველმა მეტოქეებმა: ინდოეთმა და ბრაზილიამ ძალზე გაადიდეს თავისი წარმოების პროდუქცია. ეს ჩვენ ყველაფერი კარგათ ვიცოდით. მარა, სამწუხაროთ, ეს არ ცოდნია კონცესიონერს და სწორეთ აქ მოხდა მისი მარცხი და რომ იტყვიან „ გადაანგარიშება“.

აი ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კონცესიის არსებობის 1 ნახ. წ. შემდეგ კონცესიონერი მოდის ჩვენ ხელისუფლებასთან და თხოულობს ხელშეკრულების ზოგიერთ მუხლების გადასინჯვას და შეცვლას.

საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო, რომ კონცესიონერის განცხადებაში იქვე შეეტანა, მარა არც ის შეეძლო, რომ მისი მოთხოვნილება ერთი დაკვრით მიეღო. ამიტომ ფანქარით და ქაღალდით ხელში თითქმის 6 თვე ირკვეოდა და ირჩეოდა კითხვები, რომლებიც კონცესიონერმა წამოაყენა.

ამ მოლაპარაკებამ ჩვენ სავსებით დაგვარწმუნა, რომ კონცესიონერს მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობის მაქსიმალური განვითარება.

ამის შემდეგ, ცხადია, ჩვენი ხელისუფლება ფორმალურ ნიადაგზე ველარ დადგებოდა და იტყოდა: „ხელი მოაწერე ხელშეკრულებას? გათავდა, გზა არა გაქვს, უნდა შეასრულო“.

მე აქ აღარ შეუდგები არსებითად კონცესიონერის მიერ წამოყენებულ კითხვების განხილვას, რადგანაც ეს მხარე მე თითქმის ამოვწურე ჩემ პირველ წერილში („ზარია ვოსტოკა“ № 1427), რომელსაც მკითხველი, ალბათ, უკვე იცნობს და გადავალ პირდაპირ მოლაპარაკების საბოლოო შედეგზე.

კონცესიონერმა ითხოვა შემსუბუქება ზოგიერთი მისი ვალდებულების, თანაც წამოაყენა ისეთი ფორმულა, რომელიც უსათუოთ უზრუნველჰყოფს ჩვენი ქვის ექსპორტის განვითარებას.

ასეთი საქმიანი და გულწრფელი საქმისადმი მიდგომის გამო კონცესიონერის მხრივ შესაძლებელი შეიქნა ორივე მხარის ინტერესების შეგნებით და საჭირო გარანტიების დაცვით დაკმაყოფილებული იყო კონცესიონერის შუამდგომლობა.

დამატებით ხელშეკრულებით მყარდება: 1) მაგარი სატონო გადასახადის მაგიერ ე. წ. „სკალზიაშჩია სკოლას“ შემოღება; 2) კონცესიონერის განთავისუფლება ჭიათურის ვიწრო რკინის გზის დიდ გზათ გადაკეთებიდან იმ პირობით, რომ კონცესიონერს რკინის გზის დანარჩენი საამშენებლო ვალდებულება, როგორც არის რკინის გზის ლიანდაგის ფოთამდის გაძლიერება და გამაგრება, ხიდების გადაკეთება, საჭირო მოძრავი შემადგენლობის დადგმა, სად. შორაპანში მექანიკური გადამტვირთავის გაკეთება და სხვ. მთლიანათ და სავსებით უნდა იქნას შესრულებული პირველ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ვადაში. მხოლოდ ამ მუშაობის სრულიათ შესრულების შემდეგ რკინის გზის ტარიფი დაკლებული იქნება იმდენათ, რამდენათაც რკინის გზის გადაკეთება შეამცირებს მის თვითღირებულებას;

3) კონცესიონერის ექსპორტის გადიდება საკონცესიო ვადის განმავლობაში საშუალოთ წლიურათ 800 ათ. ტონიდან 900 ათ. ტონ. და

4) კავშირიდან შავი-ქვის გაზიდულობის განაწილება ჭიათურის და ნიკოპოლის შორის.

ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ კონცესიონერი ამ შემსუბუქებას გამოიყენებს ორივე მხრის სასარგებლოდ და მით გაამართლებს კონცესიის მთავარ აზრს — ჭიათურის მსოფლიო ბაზარზე გაბატონებას.

გალაკტიონ ვაშაძე

---

*) 1913 წ. ჭიათურის შავი-ქვის მონაწილეობა მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში ავიდა 49 პროცენტამდე.

საბჭოთა საქართველო

დღეები

ახალსენაკის სამაზრო აღმასკომის პლენუმი

ახალსენაკი, 2 ივლისი. შესდგა ახალსენაკის სამაზრო აღმასკომის პლენუმი. სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ქურჩულორია. საადგილ-მამულო განყოფილების გამგედ არჩეულია დაწინაურებული გლეხი—ბერია. აღმასკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი (ადს).

კოოპერატივის გაქურდვა

ოზურგეთი, 2 ივლისი. სოფ. აკეთში გაქურდეს კოოპერატივი. წაღებულია ფული და საქონელი. ერთი ქურდი დააპატიმრა სამაზრო მილიციამ (ადს).

აგარაკი ბახმარო

ოზურგეთი, 2 ივლისი. მოაგარაკეთა ჩამოსვლა ბახმაროზე უკვე დაიწყო. ბინების გასაჭირი არ არის, კოოპერატივმა აგარაკზე მოიმარაგა საჭირო პროდუქტები და საქონელი. მოაგარაკეების დასაკმაყოფილებლად მიქელ-გაბრიელის საკრედიტო ამხანაგობამ მთელი სეზონის განმავლობაში გადმოიტანა რძის საკუთარი ფერმა, რომელიც 15 ძროხისაგან შესდგება (ადს).

წერილები

აგარაკ ბახმაროს მდგომარეობა

ბახმაროს არ ჰქონია ადგილი ისეთ ზარალს ზამთრიდან მიყენებულს, როგორიც წლეულს აქვს ერთი მესამედი სახლებისა სრულიად განადგურებულია, დანარჩენი კი ცოტათ თუ ბევრად დამტვრეული დაზიანებულია. სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა ბინების აღსადგენად, მაგრამ ხელს უშლის ამას ტყის სიძვირე.

მუშაობა აგარაკის შემოსაკეთებლად, ამ დღეებში დამთავრდება. სწარმოებს დარგვა დათესვა კარგი ჯიშის წიფნარი ხეებისა, ფიჭვისა და სხვა. საჭიროა უმთავრესი ნაკლის თავიდან აშორებას, ეს არის უგზოვობა. ეს ნაკლი დღესაც უყურადღებოდ დატოვებულია. მართალია ეხლა სწარმოებს გზის მუშაობა, მაგრამ მარტო ერთი მიმართულებით, დანარჩენი კი სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული.

აუცილებელია გზის გაყვანას მიექცეს ყურადღება. ამას წინეთ ამის შესახებ იქნა მოწვეული სამი თემის წარმომადგენელთა კრება ს. ბახვში: კრებამ ერთხმად დაადგინა აუცილებლად იქნას გაყვანილი მთელი მაზრისათვის ხელმისაწვდომი საკურორტო მოკლე გზა აკანის მიმართულებით ამ გზის შესახებ მოხსენებაშიც იქნა ჩატარებული თემებში და 22 თემმა, კიდევაც გამოსთქვეს თავიანთი სურვილი ამ მიმართულებით გზის გაყვანის და მასთან, თუ ეს განხორციელდებოდა, თავის მხრით დახმარება აღუთქვეს. ამიტომ ბახვში შემდგარმა კრებამ დაადგინა ეთხოვოს სამაზრო აღმასკომს მოიწვიოს დაინტერესებულ თემთა წარმომადგენელთა კონფერენცია ქ. ოზურგეთში. ამ საქმის მოსაგვარებლად. მაგრამ შედეგი ამისა, სამწუხაროდ, არავითარი არ არის დღესაც ამიტომ საჭიროა მეთაურებმა არ დაიძინონ და ეს დიადი საქმე ბოლომდე მიიყვანონ.

შ. ჭ.

ფარული სალაროები
(სიღნაღის მაზრა)

ხეირმა ისარგებლა ფულის სიმკაცრით და ხელი მიყო მევახშეობას. დაარსეს ფარული სალაროები, სადაც ყოველ კვირა შეჰქონდათ შესანახათ განსაზღვრული რაოდენობის ფული. მოგროვილ თანხას ასესხებდნენ ისევ თავის წევრებზე. თვეში 10 მანეთზე ახდევინებდნენ მანეთიდან მანეთ ნახევრამდე. ამნაირი სალაროები მეტი წილი ჰქონდათ ქალებს. წარსული წლის დეკემბერში სიღნაღის მაზრის ქალთა განყოფილებამ მიიღო ცნობა რომ სოფელ ნუკრიანში არსებობს ქალების ხუთი ასეთი ფარული სალარო, სადაც ადგილი აქვს მევახშეობას,

ქალთა განყოფილებამ ეს საქმე გადასცა სიღნაღის სახალხო სასამართლოს. 6 ივნისს სიღნაღის უბნის სახ. სასამართ. გაარჩია ეს საქმე ადგილობრივ ს. ნუკრიანში საჩვენებელი სახით, რომელიც გაგრძელდა ორ დღეს და ესწრო დიდძალი ხალხი.

გამოირკვა, რომ ოთხი სალარო დაარსებულია 1925 წელს, დანარჩენი კი ე. ი. ერთი კაცების სალარო და ერთიც ქალებისა ქ. სიღნაღში 1926 წელს ბოლო რიცხვებში.

სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განაჩენი: 4 სალაროს წევრ გლეხ ქალებს მიესაჯათ თითო წლიწადი თავისუფლების აღკვეთა და ნახევარი თანხის კონფისკაცია. 1926 წლის 8 მარტის ამნისტია გავრცელდა მათზედ და ისინი განთავისუფლებული იქმნენ მხოლოდ მეორე საჯელი კი დარჩა ძალაში.

მეორე სალაროს წევრებს მიესაჯა 6 თვე თავისუფლების აღკვეთა, მესამე სალაროს წევრებს, რომელსაც ხელმძღვანელობდენ ქ. სიღნაღის დიასახლისი ქალები ნადირაშვილი და საკოვი, მიესაჯათ სამ-სამი თვე თავისუფლების აკვეთა და სალაროს თანხს ნახევარი კონფისკაცია. მათზე არ გავრცელდა 8 მარტის ამნისტია.

ამ განაჩენის გამოტანით ხალხი დიდი კმაყოფილი დარჩა.

ნინა.

არხმა ციება მოიტანა
(სოფ. მაღლაკი, ქუთ. მ:)

ღირსშესანიშნავია ერთი გარემოება, რომელიც ყურადღების ღირსია: რიონის პირველი საბჭოთა არხის კალაპოტი სოფ. მაღლაკში ზოგიერთ ადგილზე არ არის გამაგრებული. ამიტომ მცირედი წყალდიდობის დროს გადადის ნაპირებიდან და ედება მთელ სოფელს. აშვებული წყალი გუბდება და იქ, სადაც წინად ციებაზე ხსენებაც არ იყო, დღეს ბაყაყების ხმაშეწყობილი კონცერტს მოისმენთ. უმრავლესობა ციებისაგან სიყვითლეს შეუპყრია და ხშირად გაიგონებთ, რომ „აჯენის ბავშვსაც აციებს“-ო. ეს ყოვლად დაუშვებელი მოვლენაა.

საჭიროა ადგილობრივმა ხელისუფლებამ დროზე მიაქციოს ყურადღება, არხი სასწრაფოდ შეაკეთოთ.

იქაური.

უნდა დავეხმაროთ
(ხ. ნახუნოვო, სენაკის მაზრა)

მივარდნილი სოფელია ნახუნოვო. არც ისე დიდია, რომ შვიდწლიანი შრომის სკოლისთვის შენობა აგოს. სულ რაღაც 274 კომლია. სკოლის აგება რამდენიმე წელია, რაც დაიწყეს და ვერ მოათავეს, სკოლა 17 ათასი მანეთი ჯდება; ამ თანხის გაღება მთლიანად თემს არ შეუძლია.

რაქნას თემმა? ნუ თუ სკოლის აგება შუა გზაზე უნდა შესწყვიტოს? რასაც შეძლებს გაიღებს მაგრამ ეს არ კმარა.

თემსაბჭომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე დახმარების აღმოჩენის შესახებ. თემის გლეხობა ელის დახმარებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ მთავრობა ამ პატარა, მაგრამ ენერგიულ თემს აღმოუჩენს დახმარებას.

ბ. ჟუჩაიშვილი:

წერილებიდან

წერილებიდან

— **ტყეები იჩეხება.** (მარტყოფის თემი, გარე კახეთი) ტყეების ჩეხვის მხრივ გარე-კახეთში პირველი ადგილი უკავია მარტყოფის თემს და რომ ეს ასეა ამის დასამტკიცებლად მოვიყვან შემდეგს: მარტყოფის თემაღმასკომს ტყეების გაჩეხვის შესახებ გასარჩევად გადაცემული აქვს 403 საქმე.

რას მოწმობს ეს? იმას, რომ ადგილობრივ გლეხებს ნაკლები წარმოდგენა აქვთ ტყის მნიშვნელობაზე. ხშირად გაიგონებთ მათგან: რათ გვიკრძალავენ ტყეში ხეების მოჭრას, როდესაც მის მოსარწყავად არავის უზრუნია. ამ მდგომარეობას ყურადღება არ ექცევა. ამ ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად სოფლის კულტურულ ძალებს უეჭველად შეუძლიათ დიდი როლი ითამაშონ. გლეხობაში მოხსენება-საუბრების და ლიტერატურული გასამართლების საშუალებით ჩვენ შევძლებთ თვითეულ გლეხს შევაგნებინოთ, რომ ტყის განადგურება დიდი დანაშაული და ღალატია. უნდა მივიღოთ აგრეთვე ადმინისტრატიული ზომებიც.

შ. გარე-კახელი.

— **ხამაზრო აღმასკომის საყურადღებოდ.** (ს. ხიდისთავი, გურია) ხიდისთავის თემში შედის 6—7 სოფელი. აქ მოთავსებულია საბჭო, მილიცია ფოსტა-ტელეგრაფი, შვიდწლიანი შრ. სკოლა და სხვა დაწესებულებები. უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი გლეხობა დიდ უნარიანობას იჩენს საერთო აღმშენებლობაში, აკეთებს გზებს, აახლებს ძველ ჩანგრეულ ხიდებს და სხვა. ამასთან ერთად ნაკლიც გვაქვს, ხიდისთავს არა აქვს სახალხო სახლი, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დიდი თემია; არ არის ხმა მაღლა მოლაპარაკე რადიო. ნუ თუ ხიდისთავი არაა ღირსი ასეთი რამეების.

გრ. არეული.

— **ჩვენც ჩავატარეთ ტყის დღე.** (თავასის თემი, შორაპ. მაზ.) გაზეთები მოგვიწოდებდენ გლეხკორებს, რომ ხელი შევუწყოთ ტყის დღის ჩატარებისათვის. ჩვენ ასე შეუწყვით ხელი: გავწმინდეთ ერთი უვარგისი ადგილი, რომელზედაც ტყე კარგად ვარგობს, დავრგით 1500 ძირი „აკაცია“ 200 ძირი მყრალი კოპიტი, ეხლა ჩვენმა დარგულმა ტყემ გაიხარა და მტრის თვალით არ ინახება ისეთია.

ცინცაძე.

— **საჭიროა წითელი სასადილო.** (ს. მარტყოფი, გარე-კახეთი) სოფ. მარტყოფში, როგორც თემის ცენტრში მოთავსებულია სხვადასხვა დაწესებულებები, სადაც მრავალი მუშა-მოსამსახურე მსახურობს, რომლებიც მოსულნი არიან საქართველოს სხვადასხვა მხრიდან. მათთვის აუცილებელია წითელი სასადილო, რადგანაც თვითეულ მუშა-მოსამსახურესათვის შეუძლებელია სადილის თავის სახლში მომზადება. თუმცა არის აქ ერთი კერძო სასადილო, მაგრამ ის მოუწყობელი და ხელმიუწვდომელია მუშა-მოსამსახურეებისათვის.

ადგილობრივმა კოოპერატივმა მარტყოფში უნდა გახსნას წითელი სასადილო.

შ. გარე-კახელი.

— **სკოლები ფუჭდება.** (სოფ: კარდანახი, სიღნაღის მაზრა). წარსულ წელში თემაღმასკომს ჰქონდა ზოგიერთი ნაკლი, რომელიც ახლა ნაწილობრივ გამოსწორების გზაზეა. შეაკეთეს გზები, გაყავთ წყლები და სხვა. მაგრამ აღსანიშნავია ერთი ნაკლიც, არ აქვს სათანადო ყურადღება მიქცეული სკოლებს, არაა დაცული და შეკეთებული, კარები ვარდება და მთელი დღე ღია არის, შედიან ბავშვები და აფუჭებენ პატარა მოწაფეების ნაშრომებს. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს თემაღმასკომმა.

გლეხკორი ვანო.

— **აქედანვე შევუდგეთ საქმეს.** (კაკაბეთი, სიღნაღის მაზრა) ჩვენ სოფელში არის 971 კომლი. ამ 971 კომლს გვაქვს მხოლოდ ერთი ოთხწლედი სკოლა. წარსულ წელს სამაზრო აღმასკომმა განიზრახა კაკაბეთში შვიდწლედის გახსნა, რომ ბავშვები არ დარჩენილიყვნენ სკოლის გარეშე, მაგრამ სათანადო შენობის უქონლობის გამო ეს ვერ მოხერხდა.

ზოგიერთ თემში სკოლების რიცხვი გაიზარდა, ზოგან კი ერთ ადგილზეა გაყინული.

დროა გაიღვიძონ თემ აღმასკომებმა და სათემო საბჭოებმა და აქედანვე იზრუნონ მომავალი სამოსწავლო წლისათვის.

გიორგი თამაზაშვილი.

— **საგარეჯოს სავეტერინარო პუნქტის მუშაობა.** საგარეჯოს ვეტ. პუნქტის მუშაობა, მიუხედავად იმისა, რომ ის განიცდიდა მედიკამენტებისა და ხელსაწყოების ნაკლულევანებას, უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში მაინც ნაყოფიერია. ამ ხნის განმავლობაში საგარეჯოს თემის სხვადასხვა სოფლებში გაჩნდა საქონლის ჭირი. ვეტ-პუნქტმა მიიღო ყოველგვარი ზომები ჭირის წინააღმდეგ. დააწყარა სასტიკი საკარანტინო წესები, აცრა 800-მდე პირუტყვს. ამ ზომების საშუალებით ჭირი აღმოფხვრილი იქნა ყველა სოფელში. თვით პუნქტში ამ ხნის განმავლობაში გაისინჯა 260 სული პირუტყვი. ვეტ-პუნქტის მუშაობა არ განისაზღვრება მარტო ავადმყოფ საქონლის და ვეტ-დახმარების აღმოჩენით. პუნქტი სინჯავს და ამოწმებს ყველა იმ პირუტყვებს, რომლებიც გაყავთ საგარეჯოს თემიდან სხვა თემებსა და ქალაქებში სახორცეთ. პუნქტთან არსებობს სასაკლაო, რომელზედაც ნახევარ წლის განმავლობაში დაკლულა 135 სული მსხვილფეხა საქონელი და სხ.

პუნქტის წარმატებით მუშაობას აფერხებს ის გარემოება, რომ ამას არა აქვს დახურული ჩარდახი ეზოში, რის გამოც ავდრის დროს შეუძლებელი ხდება დაავადებული საქონლის გასინჯვა. ადგილობრივმა აღმასკომმა უნდა აგოს ეს ჩარდახი.

ქ. სურმუშელი.

მუშათა ცხოვრება

ნუ თუ ასე ხდება ყველგან?

23 ივნისს, დღის 4 საათზე, საბჭოს ქუჩაზე, (ლენინის უბანი), ტრამვაის რონოდამ გასრისა სამი წლის ბავში. ამ უბედურ შემთხვევაზე შეგროვდა აუარებელი ხალხი. გასრესილი—მკვდარი ბავში დადეს იქვე ტროტუარზე და წააფარეს ფოთლები.

თუმცა ხალხი ძალიან ბევრი მოაწყდა, მაგრამ ადგილობრივი მილიცია წესრიგს იცავდა და ბავშვთან არავის უშვებდა. ეს ამბავი მილიციამ სასწრაფოდ აცნობა, როგორც ტრამვაის დირექციას, აგრეთვე გამომძიებელს. ნახევარი საათის შემდეგ ტრამვაიდან მოვიდნენ გამომძიებლები, რომლებმაც შეადგინეს თავიანთი ოქმი.

ხალხი თანდათან უფრო მატულობდა. ტრამვაის რონოდა გაჩერებული იყო.

მოთმინების ფიალა აივსო; ყველანი კითხულობენ, თუ ვის ელოდებიან, — რასაკვირველია, გამომძიებელს, გამომძიებელი კი არსად სჩანდა.

— კაცო, რაშია საქმე, აქამდის ნუ თუ გამომძიებელი ვერ მოვიდა, ფეხით რომ წამოსულიყო, ამ ორ საათში უნდა მოსულიყო—ისმოდა აქა-იქ ლაპარაკი.

როგორც იყო 6 ნახევარ საათზე მოვიდა გამომძიებელი; მან დაიწყო ძიება. ბავში საღამოს შვიდ საათზე ქსენონში წაიყვანეს. შვიდ საათზე ტრამვაის მოძრაობა დაიწყო.

აი, ამბავი: გასრესილი ბავში სამი საათი ეგდო მიწზე; სამი საათით ტრამვაის მოძრაობა ლენინის უბანში თითქმის შეჩერებული იყო; სამი საათი ქუჩა სავსე იყო ხალხით.

ვინ არის დამნაშავე? ნუ თუ ასე ხდება ყველგან?

იმედია, პროკურატურა ამ საქმეს მიაქცევს სათანადო ყურადღებას, რათა შემდეგში აღარ განმეორდეს.

ჩვენი მიღწევა

მე, მუშა 1895 წლიდან, მოწმე ვარ მეფის რეჟიმის, იმპერიალისტური ომის, მენშევიკური ბატონობის და მუშათა კლასის განთავისუფლებისა. მეც და, აგრეთვე, ყველამ იცის, თუ რა მემკვიდრეობა დაგვიტოვა მეფის რეჟიმმა, იმპერიალისტურმა ომმა და მენშევიკების ბატონობამ. დანგრეული ფაბრიკა-ქარხნები, ჩაპარტახებული მეურნეობა, მოშლილი ტრანსპორტი, სიმშილი და ათასი უბედურება—აი ჩვენთვის დატოვებული მემკვიდრეობა, რომელსაც ვებრძვით მუშათა კლასის განთავისუფლების დღიდან.

უთვალავია საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები. მაგრამ ყველაზე ღირსშესანიშნავია ჩვენი ზაჰესი, აგებული მუშათა კლასის ხელით, რომლის გახსნასაც დღეს ვზეიმობთ. ზედმეტია ლაპარაკი ზაჰესის მნიშვნელობაზე. ის მტერსაც კი ჩაუგდებს ენას მუცელში.

გაუმარჯოს მუშათა კლასის სიამაყეს—ზაჰესს!

თამბაქოს ქარხანა „პროლეტარი“-ს მუშა—ბაბაევი.

ოთხი წლის წინ

ოთხი წლის წინად ავჭალაში ვიყავით ამხანაგებთან ერთად. დაღლილებმა პანტის ხის ქვეშ დავისვენეთ. ჩქარა ჩვენ ორი კაცი შემოგვიერთდა.

— აქ რა გინდათ ამხანაგებო? ვკითხეთ.

— ჩვენ „ზაჰესის“ არხი უნდა დავგეგმოთ. აქ უნდა აიგოს დიდი ჰიდრო ელსადგური—გვიპასუხეს.

— რაო?

— რაო და მტკვარი უნდა გამოვიყენოთ არხში და ელექტრონის სადგური უნდა ავამუშავებინოთ.

ცოტაოდენი დაისვენეს და საქმეს შეუდგენ. გავიდა ოთხი წელი, არხიც გაყვანილია, „ზაჰესიც“ მზად არის. პანტის ხის ძირში ეხლა მტკვარი მიდის არხში. ასეთი დიდი საქმე გააკეთა შრომელი ხალხის მარჯვენამ ოთხი წლის განმავლობაში.

მომავალი ოთხი წელი კიდევ მეტს მოგვცემს.

თამბაქოს ქარხნის მუშა ალექსანდრე.

მუშა - მოსამსახურენი დასასვენებელ სახლებში

სახალხო კვების კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ ჩაატარა დასასვენებელ სახლებში მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების გამოკვლევა. როგორც გამოკვლევიდან აღმოჩნდა დასასვენებელ სახლებში მომუშავეთა შრომის პირობები ძალიან მძიმეა. მათი მუშაობა არ არის განსაზღვრული 8 საათის სამუშაო დღით, მატერიალური პირობებიც გაუარესდა იმ მხრივ, რომ წინად თუ ისინი იღებდენ ისეთსავე კვებას, როგორც დამსვენებლები, დღეს შეუმცირეს და სხვა.

კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ გადასწყვიტა ზემოაღნიშნული საკითხები მოაგვაროს უახლოეს დროში.

საყურადღებო წვრილმანი

საერთო საცხოვრებელი შინა - მოსამსახურეთათვის

სახალხო კვების კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ თავის მორიგ სხდომაზე განიხილა საკითხი შინა - მოსამსახურეთათვის საერთო საცხოვრებლის მოწყობის შესახებ, როგორც გამოირკვა შინა - მოსამსახურენი სამსახურიდან დათხოვის შემდეგ რჩებიან უსახლკაროთ ქუჩაში, ამისათვის კავშირის ცენტრ. გამგეობამ გამოყო სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა შინა - მოსამსახურეებისათვის მოაწყოს საერთო საცხოვრებელი.

გამოასახლეთ ბინიდან
(საბინაო სექციის საყურადღებოდ)

მოქ. კ. მარგველაშვილს აქვს ბინა ტრამვაის ქუჩაზე (№ 18), მაგრამ მან ამ რამოდენიმე თვის წინად მოტყუებით ჩაიგდო მეორე ბინა, რომელიც მდებარეობს პუშკინის ქუჩაზე (№ 29). ამჟამად იგი ორ ბინაში სცხოვრობს. საბინაო სექციის აგენტმა გაიგო ეს ამბავი და წინადადება მისცა მარგველაშვილს გადასულიყო პუშკინის ქუჩიდან, მაგრამ „უქმა“ არავითარი ზომები არ მიიღო მის გასაძევებლად.

არის მეორე ასეთი შემთხვევა: მალაკის ქუჩაზე (№ 9), მოქ. სერგეევამ ჩაასახლა თავის ბინაში ვინმე გედევანიშვილი, რომელსაც აქვს ოთახი აგრეთვე კლარა ცეტკინის ქუჩაზეც (№ 1).

ასეთი ამბები ხდება მაშინ, როცა მუშა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილი უბინაობას განიცდის და სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი.

გამოასახლეთ ეს ვაჟბატონები ბინიდან.

მცოდნე.

რათ აწვალებენ ამ ადამიანს?

ეს მუშა (ლევან მუჩაიძე) 32 წლის განმავლობაში რკინის გზაზე მუშაობდა. ამ ხნის განმავლობაში მას არაფერი დაუშავებია. სამწუხაროდ თვითონ დაშავდა და ეხლა ინვალიდია. რკ. გზ. დამზღვევ სალაროდან მას ერგება 765 მანეთი, რამდენი ხანია დადის ეს ინვალიდი მუშა, ხან სად მიმართა და ხან სად. ფულის მიღებას კი ვერ ეღირსა.

რკინის გზის დამზღვევ სალაროს გამგე ამხ. ლაშქარაშვილის შესახებ „კომუნისტში“-ც იყო წერილი, რომ ის გულდასმით ეკიდება მუშებს.

ლევან მუჩაიძის საქმეზე რას იტყვის ამხ. ლაშქარაშვილი?.

რატომ არ აძლევს დამზღვევი სალარო ამ ინვალიდ კაცს კუთვნილ ფულს?

მუშკორი 67.

— **რატომ დააკლეს ყინულს?** გასულ წელს მოძრაობის დარგის მე-2 განყოფილებას ეძლეოდა 15 ფუთი ყინული—წყლის გასაციებლად, ამჟამად კი მხოლოდ 7 ფუთს აძლევენ. რატომ დააკლეს?

ე. არხისპირელი.

— **ნუ აბანდებთ მუშა ხელს.** თბილისის დეპოში მუშათა განსაზღვრული რიცხვია. მათი მოვალეობაა რონოდების შეკეთება, აგება. ისინი დატვირთული არიან ამ მუშაობით, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ადმინისტრაცია მაინც იღებს კერძო შეკვეთებს (შკაფები, საწერი მაგიდები და სხვა).

მუშები სცდებიან ამ კერძო საქმეზე და ამის გამო რონოდების გამოშვება გვიანდება. მომავალში ასეთი შეკვეთების მიღება უნდა შესწყდეს. რაც შეეხება უკვე მიღებულ შეკვეთებს, ისინი უნდა შეფასდეს ბაზარზე არსებულ ფასების მიხედვით და არა „შეღავათიანათ“.

მუშკორი № 1.

— **სჩივიან მდგმურები** ბორჯომის ქუჩაზე № 11 ცერცვაძის სახლში მცხოვრებ კიკვაძის ქალის უდიერობაზე. მე-12 სამილიციო უბნის უფროსო, შეიხედე!

გ—რი.

პროფკავშირებში

„თავდაცვის კვირეული“

მიმდინარე წლის 10 ივლისიდან 17 ივლისამდე ჩატარდება „თავდაცვის კვირეული“ ამიერკავკასიის პროფკავშირთა საბჭომ ცირკულიარული მიმართვა დაუგზავნა საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის პროფკავშირთა საბჭოებს, რათა პროფორგანიზაციებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღონ თავდაცვის კვირეულის ჩატარებაში.

„თავდაცვის კვირეულის“ ჩატარებისათვის ავიაქიმის გაერთიანებებთან მოეწყობა სპეციალური კომისიები, სადაც შევლენ პროფკავშირთა წარმომადგენლებიც.

აღმშენებელთა კავშირში

— **გამოკვლევა.** აღმშენებელთა კავშირის ცენტრალური გამგეობა ამჟამად ატარებს შორაპნის სამაზრო განყოფილების ფინანსიურ მდგომარეობის გამოკვლევას.

— **უჯრედის დაარსება.** კავშირის ცენტრ. გამგეობამ კასპის და მეტეხის შუა, სადაც შენდება რკინის გზის ხიდი, დაარსა კავშირის უჯრედი.

— **რადიო-აპარატი.** აღმშენებელთა კავშირმა თავის კლუბისათვის შეიძინა რადიო-აპარატი.

— **ახალგაზრდათა კონფერენცია.** 25 ივნისს აღმშენებელთა კავშირის ც. გამგეობა იწვევს შავი ზღვის რკინის ხაზზე მომუშავე ახალგაზრდათა კონფერენციას.

— **საფიჩხიის კარიერის კირის ქარხანაში** მომუშავე მუშები; რომლებიც უნდა გადაერიცხათ სამთო-მადნო კავშირში დატოვებულ იქნენ ისევ აღმშენებელთა კავშირში.

მიწა-ტყის კავშირში

— **დასასვენებელი სახლები.** თბილისის მაზრის კავშირის რაიონულ ორგანიზაციის დასასვენებელ სახლებში დაეთმოთ ხუთი ადგილი. ამათში სამი მუშა გაიგზავნა წაღვერის დასასვენებელ სახლში.

— **საექსკურსიო ბიურო.** კავშირის ც. გამგეობასთან მოეწყო საექსკურსიო ბიურო, რომელიც გამართავს ექსკურსიებს.

— **მოჯამაგირეთა კონფერენციები.** კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით თბილისის მაზრაში ტარდება მოჯამაგირეთა სათემო კონფერენციები.

— **გამოკვლევები** კავშირის ც. გამგეობამ ჩაატარა ყარაიაზის, ნორიოსი, ასურეთის, კოჯორის, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის, გარე-კახეთის, აჭარისტანის მოჯამაგირეობის გამოკვლევა.

— **მივლინება.** კავშირის ც. გამგეობამ ფოთის სამპროფიუროს მუშაობის გამოსაკვლევად მიავლინა კავშირის თავმჯდომარე ამხ. კომახიძე.

რკ. გზ. პროფკავშირებში

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის და საერთოდ განათლების საქმე ა.-კ. გზებზე მიმდინარეობს გაჩქარებულის ტემპით. ამ საქმეს ხელმძღვანელობს ა.-კ. საგზაო კომიტეტი. პირველ რიგში დაყენებული იყო საკითხი წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრის შესახებ. ამ მხრივ ჩატარებულმა მუშაობამ შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო, რკინის გზაზე წერა-კითხვა შეისწავლა 15.000-მდე მუშამ. გასული სამოსწავლო წლის დასაწყისში ა.-კ. გზებზე ითვლებოდა 3.321 წერა-კითხვის უცოდინარი, ხოლო წერა-კითხვის ნაკლებად მცოდნენი იყვნენ 13.300 კაცი. რესპუბლიკების მიხედვით შემდეგ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი:

საქართველოში ითვლებოდა 1091 წერა-კითხვის უცოდინარი და 6.250 ნაკლებად მცოდნე.

აზერბეიჯანში ითვლებოდა 1.750 წერა-კითხვის უცოდინარი, 4.700 ნაკლებათ მცოდნე.

სომხეთში ითვლებოდა 480 წერაკითხვის უცოდინარი 1.350 ნაკლებად მცოდნე.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ მიმდინარე ზაფხულის დასაწყისისათვის მუშაობს 95 სალიკვიდაციო სკოლა, 2451 მსმენელით, ხოლო ნაკლებ მცოდნეობის სალიკვიდაციოთ კი 111 სკოლა, 3.284 მსმენელით. გარდა ამისა მოქმედობს 5 სკოლა უმაღლესი ტიპისა 217 მსმენელით.

სკოლის გარეთ ამ ჟამათ დარჩენილია მხოლოთ 26 პროც. წერა-კითხვის უცოდინარი. წ. ქ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმის წარმატებით დამთავრებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ სამოსწავლო წლის მეორე ნახევრიდან შესამჩნევათ კლებულობს სკოლებში მოსიარულეთა რიცხვი. თავის დროზე მიღებულმა ზომებმა გამოასწორეს ეს ნაკლი. სალიკვიდაციო სკოლების აღჭურვა სამოსწავლო ნივთებით სწარმოებს სისტემატიურათ და წარმატებით. საერთოთ უნდა ითქვას, რომ განათლების საქმის წარმატებისთვის ა.-კ. საგზაო კომიტეტი ხარჯებს არ ერიდება—მიმდინარე წელში განათლების საქმეზე დახარჯულა 72.306 მან. 25 კაპ.. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე მომავალ სამოსწავლო წელში გადაეცემა სატრანსპორტო განათლების საბჭოს.

პატარა ფელეტონი

ახალი დირექტივა

ერთხელ ერთ-ერთ ქვეყანაში,
ცხრა მთას იქით იყო, მგონი,
(თუ სად იყო, არც კი მახსოვს
ეს ძველად მაქვს განაგონი)
იყო ტყე და ტყის ბატონად
ბანჯგვლიანი იყო დათვი,
თვის ნებაზე განაგებდა,
მთელ ტყეს ედგა მისი თათი,
ტყის მცხოვრებლებს ვერ დაეძრათ
კრინტი ბევრ დათვის შიშით,
და ვეება ტყეში იდგა
კვნესა, გმინვა, ვაი-ვიში...
შიგნით დათვი ბატონობდა...
გარედან კი დიდი ლომი,
დათვმა მასთან რამდენჯერმე
გადიხადა ცხარე ომი,
მაგრამ რახან ვერ დასძლია
დათვის ძალამ ლომის ძალა,
(ლომმა იმ დათვს არა ერთხელ
თითქმის სიქა გააცალა),
დათვმა ხარკი დაიკისრა
მოიხარა მის წინ ქედი,
სამოწყალოდ შეავედრა
თავის თავი, თავის ბედი...
იმ დღის შემდეგ ბანჯგვლიანმა
ტყის მცხოვრებლებს ხარკი უმატა,
ცხოვრება სულ გაუმწარა
ისეც მეტად მწარე მათა.
ბევრი თმინეს მცხოვრებლებმა
ბევრი ტანჯვა აიტანეს,
მაგრამ როცა მოთმინებით
ვერაფერი გაიტანეს,
ალშფოთების, აჯანყების
ამოგორდა ტალღა მძლავრი
გადასწყვიტეს, რომ ეყარათ,
მტარვალ დათვზე ყველას ჯავრი.
ამ დროს მგელი გაიძვერა
და ცბიერი თან მელია,
(ცნობილია, რომ ორთავე
მხეცი, სისხლის შემსმელია)
აჯანყებულთ სათავეში,
მყის ჩაუდგენ მოხერხებით,
და ჩარხავდენ თავის საქმეს
მცხოვრებთ საქმის შეფერხებით.
ტკბილ სიტყვებით, ცბიერებით,
მცხოვრებლები გადიბირეს
და, როდესაც მტერ-დათვს მისცხეს,
შემდეგ, მცხოვრებთ დაუბღვირეს:
—ჰე, შესდექით! მოვიცილეთ,
მართალია, მტერი—დათვი,
მაგრამ განა ნაკლებია
ძალ-ღონითა მგელის თათი?
დღეის იქით ამ ტყის გამგე
და ბატონი მე ვარ, ხალხო!
ვინ გაბედავს შემეურჩოს,
აბა, ვნახო, აბა ვნახო?!
სთქვა ეს, მაგრამ არ დაენდო
თავის ძალას მაინც მგელი,
(მელიასგანც მას ახსოვდა
რამ ცოდვები, ძველის ძველი)
და ამიტომ, რომ ჰქონოდა,
ხოლმე ზურგი უფრო მაგრად,
მან დათვს თათი გაუწოდა—
გაიხადა ამხანაგად.
და ფიქრობდა: დღეის შემდეგ
ვერას გვავნებს ვერავინა,
მცხოვრებლების აჯანყება?!
ჰმ, ღმერთმაც კი შეარცხვინა.
ტყავს გავაძრობთ, თუ კი ვინმეს
აქ ურჩობა გაგვიბედა!
ისეთი დღე დავაყენოთ
აუტიროთ ცოლი, დედა!
გაბატონდენ მგელი, დათვი,
მოიხმარეს თან მელია,
ვეღარავინ ვერ გაიგო,
მათში დიდი რომელია.
კვლავ გამწარდენ მცხოვრებლები
მოიკრიბეს ძალა მთელი,
შეუტიეს და ჩაქოლეს
დათვიც, მელაც და ის მგელიც.
ეხლა, მცხოვრებთ არ აწუხებს
არც მგელი და არც მელია,
თავისუფლად ცხოვრობს ყველა
და იქ ყველა მშრომელია.
ეს იმიტომ მოახერხეს
რომ ისწავლეს იმათ ჭკუა:
აღარ გაუ[illegible]
ვინც-ცა [illegible]

ბიბლიოთეკა

*

ჩინეთშიაც ასე ხდება,
საქმე იქაც ასეთია,
(მე რომ მართლა მართალს ვამბობ,
ამის მოწმე გაზეთია).
ხალხი ღელავს, აჯანყება
მოსდევს ხოლმე აჯანყებას,
მაგრამ ხალხი ვერ გადარჩა,
გენერლების—მგლების წყებას.
დღეს ერთია,—მას ენდობა,
ხვალ მეორე უჭერს მხარსა,
ზედ მესამე მიემხრობა,
თან მოიყვანს თავის ჯარსა,
ხვალ შეხედავ გადადგება,
ერთიცა და მეორეცა,
გუშინდელი მეგობარი
ხალხს დღეს თავზე მტრად დაეცა.
აღარ იცი, ვის შესტკივა
მშრომელთათვის მართლაც გული,
ეფერები, ხედავ ბოლოს,
რომ შრომაა დაკარგული.
დირექტივა მეც მივეცი
ერთხელ ყაჩაღ ჩან-კაი-შის
გამიხარდა, რომ შევიდა
იგი მაშინ შანხაიში.
მერე ფინსაც მივესალმე,
როცა გონზე იყო იგი
და ღალატის მყრალ ნაგავში
არ ჩაეკრა კიდევ დინგი.
მივესალმე და ვუსურვე
გამარჯვება იმათ, მარა...
ეხლა ვხედავ, რომ ამგვარი
პოლიტიკა უკვე კმარა.
მართლაც, აბა როდის იყო
რომ ჩვენ თითოს იმედებით
მშრომელ ხალხის დახსნის საქმეს
ვაპირებდით, ვიბედებდით?
ან და იგი როდის იყო,
რომ იმედი გენერალის
მქონდა მყვლეფელ—მემათრახის.—
ან ჩინოსან ნაძირალის?
მათ იმედით არ ვყოფილვართ
არასოდეს, რა თქმა უნდა,
ჩვენ იმნაირ გაიძვერებს
მივაყარეთ ქვა და გუნდა.
ჩვენ მშრომელთა რიგების გვაქვს
იმედი და დიდი რწმენა,
გვწამს, რომ საზღვარს უკვე ასცდა
დაჩაგრული ხალხის თმენა.
დღეს იმანაც ამოიდგა,
ამოიდგა უკვე ენა,
და ძველი დრო საბოლოოდ
გაკიცხა და შეაჩვენა.
და თუ ზოგჯერ მე შევაქე
ზოგიერთი გენერალი,
ეს „იმდენად, რამდენადაც“
მას ხალხისკენ ჰქონდა თვალი,
დღეიდან კი მსურს ვახსენო
მშრომელების მხოლოდ მასა.
ჩემი ძმური სალამიც და
დირექტივა მხოლოდ მასა:
იარაღი, იარაღი,
აი, ძმებო, დირექტივათ
იარაღით განიკურნეთ,
თუ რამ გეწვით, თუ რამ გტკივათ.
ზოგჯერ ფლიდი გენერალი,
საქმეს შენსას შეაფერხებს,
მაგრამ კვლავ შენ დამონებას
აწ ვერავინ მოახერხებს...
იარაღი, იარაღი,
ბრძოლა, ბრძოლა, კიდევ ბრძოლა...
და საკუთარ საქმეების
თვით გაძღოლა, თვით გაძღოლა...

ხოზიკა.

დაფნის ფოთოლი

ამჟამად სამტრედიის რაიონის ერთიან მომხმარებელ საზოგადოების კოოპერატივები აწარმოებენ წლევანდელი მოსავლის დაფნის ფოთოლის დამზადებას. დაფნის ფოთოლი მომხმარებელ საზოგადოებას შეკვეთილი აქვს ცეკავშირისაგან, რომელსაც თავის მხრით შეკვეთა მიღებული აქვს ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერატ. კავშირისაგან. უკანასკნელ დრომდე დამზადებული და მოსკოვში სარეალიზაციოდ გაგზავნილია 20 ვაგონი დაფნის ფოთოლი.

აბრეშუმის პარკი

სამტრედიის რაიონში აბრეშუმის ჭიებმა უკვე დაიწყეს ხეზე ასვლა და პარკის კეთება. შუა ივლისისათვის ბაზარზე გამოვა გასაყიდათ ახლად მოწეული პარკი. მიმდინარე წელსაც პარკის დამზადება სამტრედიის რაიონში დაკისრებულია აქვთ ძირითად კოოპერ. ორგანიზაციებს, რომლებიც დამამზადებელ ორგანიზაციებისაგან ღებულობენ თანხებს პარკის დასამზადებლად. სამტრედიის მთლიან მომხმარებელ საზოგადოების ამხანაგობა „აბრეშუმისაგან“ წელს შეკვეთილი აქვს 300 ათასი ფუთი ნედლი პარკის დამზადება.

საერთაშორისო მიმოხილვა

ინგლისელ რეფორმისტების „ჰუმანიურობა“.—ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტი.—კონსერვატორები დამარცხების მოლოდინში.—პოლიციის „ინტერნაციონალი“.—„ბალკანეთის ლოკარნო“.—სამთა კონფერენცია ჩიხში მოემწყვდა.—ფინ-იუ-სიანის ღალატი.

იმ ანტისაბჭოთა კამპანიას, რომელსაც ინგლისის კონსერვატორები აწარმოებენ, არსებითად ხელს უწყობენ ამ ქვეყნის რეფორმისტები, ისე როგორც საერთოთ დანარჩენ მსოფლიოს სოციალ შემთანხმებლები. ბოლო დროს ეს ბევრ რამეში გამოიხატა. პირველ ყოვლისა ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის სამარცხვინო პოზიცია, რომელიც მათ დაიკავეს ოცი გაუსწორებელ კონტრ-რევოლიუციონერის და ბანდიტის დახვრეტის ფაქტისადმი. ამ აქტის გამო ბურჟუაზიასთან ერთად სოციალ - მოღალატეებმაც ერთი განგაში ასტეხეს. მაგ., მკითხველი უკვე იცნობს ლენსბერის, მაკტონის და ბროკვეის დეპეშას ამხ. რიკოვის მიმართ: „მოგიწოდებთ თქვენ შესწყვიტოთ სიკვდილით დასჯა გაუსამართლებლად; ის ცუდ გავლენას ახდენს, განსაკუთრებით მეგობრულ მუშაო (ლეიბორისტულ) აზრზე. ჩვენ ვეწინააღმდეგებით ბრიტანეთის ანტირუსულ პოლიტიკას, მაგრამ სიკვდილით დასჯამ მეტად შეაფერხა ჩვენი მოღვაწეობა. გთხოვთ შესწყვიტოთ რეპრესიები“. ამავე დროს გენსაბჭოს და მუშათა პარტიის აღმასკომის გაერთიანებულმა სხდომამ, მართალია ხმების უმნიშვნელო უმრავლესობით, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „გენსაბჭოს და მუშათა პარტიის აღმასკომს თავის მოვალეობათ მიაჩნიათ განაცხადონ პროტესტი ვოიკოვის მკვლელობაში უდანაშაულო პირთა სიკვდილით დასჯის პოლიტიკის წინააღმდეგ, პოლიტიკის, რომელიც აშკარად აქვს შეთვისებული საბჭოთა მთავრობას და რომელსაც მან მიმართა, როგორც რეპრესიას ამ მკვლელობისათვის“.

ამაზე უფრო საძაგელი თვალთმაქცობა ძნელი წარმოსადგენია. ეს „კაცთმოყვარე“ ადამიანები პირში წყალს იგუბებენ, როცა თეთრი ტერორი მძინვარებს მთელ კაპიტალის სამეფოში, როცა გამხეცებული ბურჟუაზია ჯალათურად უსწორდება მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებს. აბა ვის გაუგონია ლენსბერების საპროტ. ხმა, როცა ჩანძო-ლინმა ინგლისის მთავრობის წაქეზებით დაახრჩო ოცი ჩინელი კომუნისტი? ან როცა პილსუდსკი მცირეწლოვან რევოლიუციონერებსაც კი არ ინდობს და სიკვდილით უმასპინძლდება? რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, როცა მაკდონალდს, რომელიც ამას წინეთ ამერიკაში დასეირნობდა, მიმართეს, რათა ის საჯაროთ გამოსულიყო ცოცხალ - მკვდარ საკოსა და ვანცეტის დასაცავად, ეს მან თავის საქმეთ არ მიიჩნია და გაჩუმება არჩია. იმავე მაკდონალდის ბრძანებით, როცა ის მთავრობის თავმჯდომარეთ იყო, ჰაეროპლანებიდან ყუმბარებს უშენდენ თავისუფლებისათვის მებრძოლ კოლონიალურ ხალხებს; მხოლოდ მისი „ჰუმანიურობა“ კონსერვატორებთან შედარებით იმაში გამოიხატა, რომ ყუმბარების დაშენის წინ, მისი აზრით, საჭიროა ამაზე მოსახლეობის გაფრთხილება, თითქოს ამ დაჩაგრულ ხალხებისათვის უკეთესი იყოს, რომ ისინი წინასწარ გაფრთხილების შემდეგ იქნებიან ამოხოცილნი!

საერთოთ ეს ვაჟბატონები ხმა გაკმენდით შესცქერიან, როცა კაპიტალის ჯალათები გაუგონრად აწამებენ და ხვრეტენ რევოლიუციონერებს, ან უფრო მეტი — თვითონ ღებულობენ მონაწილეობას ამ „სამგმირო საქმეებში“. ამავე დროს მათ ყოფნით უტიფრობა „ქრისტიანეს“ მანტიაში გახვიონ და პროტესტი განაცხადონ საბჭოთა მთავრობის აუცილებელი თავდაცვითი ღონისძიებათა წინააღმდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯაშუშებს და ტერორისტებს ხელს ნუ ახლებთ, მათ მიეცით საშუალება დაანგრიონ საბჭოთა წყობილება. ესაა აშკარა სამსახურის გაწევა ჩემბერლენებისათვის, რომელნიც აქავე უნდა აღინიშნოს, პირდაპირ ხელმძღვანელობენ თეთრგვარდიელ ჯაშუშების „მოღვაწეობას“.

ლენსბერები არ ამხელენ, თუ რა უმძიმესი დანაშაული მიუძღვით მუშათა სახელმწიფოს წინაშე დახვრეტილ ჯაშუშებს. ამასთან ისინი ცილს სწამებენ საბჭოთა მთავრობას, თითქოს ჩვენში ხდებოდეს „სიკვდილით დასჯა გაუსამართლებლად“. საიდან გაიგეს ეს მათ? ჯაშუშების დახვრეტა ხომ მთელი მათ გამანადგურებელი მოქმედების სრული გამორკვევის შემდეგ მოხდა. აბა სცადონ ლენსბერებმა მათ შესახებ გამოქვეყნებულ ფაქტების უარყოფა. ამას ისინი ვერ იზამენ, რადგან დახვრეტილთა ჯაშუშობა ურყევი სინამდვილეა. გენსაბჭოს და მუშათა პარტიის აღმასკომის რეზოლიუცია ლაპარაკობს „ვოიკოვის მკვლელობაში უდანაშაულო პირების“ დასჯაზე. ჯერ ერთი, საბჭოთა ხელისუფლებამ უკეთ იცის, თუ ვინაა ამ მკვლელობაში დამნაშავე, შემდეგ დახვრეტილთა შესახებ გამოქვეყნებული ფაქტები, სრულიად დამოუკიდებლად ამხ. ვოიკოვის მკვლელობისა, ხომ საკმარისზე საკმარისი იყო ამ თავზე ხელაღებულ თეთრგვარდიელებისათვის უმაღლეს საჯელის გამოსატანად. ამაოდ ლამობენ ინგლისელი სოციალ-მოღალატენი „უმანკო კრავებად“ გაასაღონ საბჭოთა წყობილების ამფეთქებელნი და ამ გზით „საზოგადოებრივი აზრი“ აამხედრონ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ევროპის მუშათა მასა კარგად ერკვევა საქმეთა ვითარებაში. ის ამავე დროს გამოიყენებს ჩვენი ბრძოლის მეთოდებს საკუთარ მჩაგვრელების წინააღმდეგ. ლენსბერებსაც სწორედ ამისი ეშინიათ. მათ „გულჩვილობის“ ნამდვილ სარჩულს ინგლისის მუშათა კლასი კბილებს მალე გაუსინჯავს.

* * *

ინგლისელ რეფორმისტების მეორე უდიდესი ღალატი საერთაშორისო პროლეტარიატის საქმისადმი ამ ბოლო დროს მდგომარეობს იმ როლში, რომელიც გენსაბჭომ ითამაშა ინგლის - საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის მოწვევის საკითხში.

სამი მთავარი ვალდებულება აწევს ინგლის - საბჭოთა კომიტეტს: საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენა, ბრძოლა კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ, ბრძოლა იმპერიალისტური ომის საფრთხის ასაცილებლად. მაშასადამე, ის თავისი დანიშნულებით პროლეტარიატის კლასობრივ პრინციპზე აგებული ორგანიზაცია უნდა იყოს. ინგლისის მუშათა მასების გავლენით მათი ბელადები ფორმალურად მაინც იძულებული იყვნენ ეცნოთ ეს პრინციპები და ინგლის - საბჭოთა კომიტეტის აღნიშნული სამი ლოზუნგი.

ჩვენ ამ თავითვე უნდა განვაცხადოთ, რომ ინგლის-საბჭოთა კომიტეტს დიდი დამსახურება მიუძღვის ორივე ქვეყნის მუშების შეკავშირების და საერთოთ მსოფლიო პროლეტარიატის დარაზმვის საქმეში. ყოველ შემთხვევაში, ეს პირველი ცდაა მუშათა კლასის რიგების რევოლიუციონურ გაერთიანების, ის მიზიდველი ცენტრია მუშათა მასების მობილიზაციისათვის. მაგრამ ამავე დროს ისიც უდავოა, რომ თუ ამ მიმართულებით ინგლის - საბჭოთა კომიტეტმა რაიმე გააკეთა, ეს რასაკვირველია, არა გენსაბჭოს წყალობით პირიქით, უკანასკნელი ყოველნაირად ცდილობდა ამ კომიტეტს არსებობისათვის აზრი დაეკარგა და ის უმოქმედო ორგანიზაციათ გადაექცია; მას არც კი უფიქრია იმ პრინციპების გატარებაზე, რომლებსაც ხელი მოაწერა ინგლის - საბჭოთა კომიტეტის დაარსების დროს. გენსაბჭომ ყოველი ღონე იხმარა, რათა კომიტეტის განსახილველად არ დაესვა უდიდესი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენები, როგორიცაა: საყოველთაო და მემაღაროეთა გაფიცვა ინგლისში, ბოლდუინის მთავრობის კანონი ტრედიუნიონების წინააღმდეგ, იმპერიალისტების ბრძოლა ჩინეთის რევოლიუციასთან, ინგლისის მთავრობის მიერ ურთიერთობის გაწყვეტა საბჭოთა კავშირთან, საერთოთ კაპიტალის შემოტევა მუშათა კლასზე და ომის საფრთხის მოახლოვება. და ვიმეორებთ, თუ ინგლის - საბჭოთა კომიტეტი მაინც ასრულებდა მნიშვნელოვან რევოლიუციონურ როლს, ეს ხდებოდა გენსაბჭოს ნებისყოფის წინააღმდეგ და მიეწერება ერთი მხრით საკავშირო პროფსაბჭოს და კომიტეტში მის დელეგატების მეცადინეობას, მეორე მხრით—თვით ინგლისის და აგრეთვე დანარჩენ ქვეყნების მასების ლტოლვას მთლიანობისა და ბრძოლისაკენ.

ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა უაღრესად გართულებულია. ფაშისტური რეაქცია მუსრს ავლებს მუშათა კლასს. ამავე დროს იმპერიალისტები გაშმაგებით ემზადებიან ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტისათვის. და აი სწორედ დღეს უფრო მეტად, ვინემ როდისმე, საჭირო იყო ინგლის - საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის ამოქმედება. საკავშირო პროფსაბჭომ მის მოსაწვევად გადამჭრელი ზომები მიიღო. მაგრამ ინგლისის ტრედიუნიონების მესვეურები ყოველნაირი ხრიკებით ცდილობენ, რომ კომიტეტის სხდომა არ შესდგეს. ბერლინის წინასწარ თათბირი, რომელშიაც მონაწილეობდენ მათი და საბჭოთა პროფორგანიზაციების წარმომადგენელნი, გენსაბჭოს საბოტაჟის მეოხებით უნაყოფოთ დამთავრდა. კომიტეტის შეკრება ვერ მოხერხდა. გენსაბჭო გაურბის მუშათა კლასის ბრძოლის საკითხების პირდაპირ დასმას, ვინაიდან მას არავითარი სურვილი არა აქვს კაპიტალის შემოტევის და ომის წინააღმდეგ მუშების დასარაზმავად. მას ეშინია ინგლის - საბჭოთა კომიტეტის ამოძრავების, ვინაიდან ეს ხელს შეუწყობს რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდას და პროლეტარიატის ძალების მობილიზაციას.

გენსაბჭოს პოლიტიკა აშკარადაა მიმართული ინგლის - საბჭოთა კომიტეტის ჩაშლისაკენ. ჩვენ ამ გზაზე მას ვერ გავყვებით. თუ ინგლისელი რეფორმისტები გაბედავენ ორი ქვეყნის მუშათა გამაერთიანებელ ორგანიზაციული ძაფის გაწყვეტას, დეე თვითონ ჩაიდინონ ეს ბოროტმოქმედება. ამავე დროს ჩვენ არ შეგვიძლია ეხლანდელ მდგომარეობას შევურიგდეთ; ინგლის - საბჭოთა კომიტეტი უნდა გახდეს ნამდვილ მებრძოლ ორგანიზაციათ, ეს არ უნდათ ინგლისელ რეფორმისტებს, მაგრამ მასები სასიცოცხლოდ დაინტერესებულნი არიან ამაში, საკავშირო პროფსაბჭომ სწორედ ამ მასებს მიმართა მოწოდებით ინგლის-საბჭოთა კომიტეტის გარშემო შექმნილ მდგომარეობის შესახებ და უეჭველია, რომ ინგლისის პროლეტარიატი რომელიც თავის ზურგზე განიცდის კაპიტალის შემოტევის მთელ სიმძიმეს, დღეს თუ ხვალ საკადრის პასუხს გასცემს თავის მოღალატე ბელადებს და მათ ზურგზე გადაბიჯებით შესძლებს კავშირის განმტკიცებას, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე სხვა ქვეყნების მუშათა კლასთან, ვინაიდან მხოლოდ ერთიანი ფრონტით მოახერხებს ის თავის სასიცოცხლო ინტერესების დაცვას და თავის პროლეტარულ ვალდებულებათა შესრულებას მსოფლიოს მუშათა კლასის წინაშე.

* * *

ჩვენ ვსთქვით, რომ ინგლისის მუშათა კლასის მემარჯვენე, თუ „მემარცხენე“ ბელადები არსებითად ხიკსების და ჩემბერლენების საქმეს აკეთებენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, უკანასკნელების მდგომარეობა არ შეიძლება მტკიცედ ჩაითვალოს. ამიტომაა, რომ ისინი ხელს იღებენ მართვა - გამგეობის ე. წ. დემოკრატიულ მეთოდებისაგან, ფეხქვეშ თელავენ თავის კონსტიტუციას და აშკარა ფაშისტურ გზას ადგებიან. ინგლისის მთავრობას ნიადაგი ეცლება მოსახლეობაში, რომლის მოტყვილებით („ზინოვიევის წერილი“) ის ძალაუფლებას ჩაუდგა სათავეში, კონსერვატორები ათას გვარ ხრიკებს ხმარობენ, რომ შემდეგში შეინარჩუნონ ბატონობა, თუ გინდ ხალხის დიდი უმრავლესობა ფორმალურადაც მის წინააღმდეგ წავიდეს.

1928 წლის შემოდგომაზე ინგლისში უნდა მოხდეს საპარლამენტო არჩევნები. თუმცა მანამდე საკმაო დროა, მაგრამ უკვე აქედანვე დაწყებულია საარჩევნო მზადება. ამ თავითვე აშკარაა, რომ მომავალ არჩევნებში კონსერვატორები დამარცხდებიან, ყოველ შემთხვევაში ხმების ნახევარს მაინც დაკარგავენ. ეს ცხადი გახადა იმ დამატებითმა არჩევნებმა, რომლებიც ბოლო დროს ჩატარდა. 29 ასეთ არჩევნებში 796.745 ხმიდან მათ მიიღეს მხოლოდ 289.905, ე. ი. 36 პროცენტი, კონსერვატორებს ზურგი შეაქცია მათ წინანდელ ამომრჩეველთა დიდმა რაოდენობამ. წინეთ შემდეგი პრაქტიკა იყო ინგლისში: თუ ასეთ უნდობლობას გამოუ[illegible] მმართველ პარტიას, მისი მთავრობა გადადგებოდა. ეხლა კი ბოლდუინის მთავრობა ამაზე არ ფიქრობს და ამით ცხად ყოფს თავის უზურპატორობას.

ამის მაგივრად, მომავალში თავის ძალაუფლების ამა თუ იმ სახით შენარჩუნების მიზნით, ბოლდუინი აყენებს ლორდთა პალატის რეორგანიზაციის პროექტს, რომლის მიხედვით ძალზე იკვეცება თემთა პალატის საფინანსო უფლებები: წინააღმდეგ არსებულ წესისა, არავითარი ფინანსიური კანონპროექტი, მიღებული თემთა პალატის მიერ, არ შეიძლება ძალაში შევიდეს, თუ ის არ დაადასტურა ლორდების საკრებულომ. მაშასადამე, უკანასკნელს ყოველთვის შეეძლება მთავრობის დამხობა, თუ გინდ ის თემთა პალატის უმრავლესობის ნდობით იყოს აღჭურვილი. ამნაირად, კონსერვატორებს ძალაუფლების სიმძიმის ცენტრი ლორდთა პალატაში გადააქვთ, ლორდთა პალატა, რომელშიაც შედიან შემამულენი და უმაღლესი მოხელენი,—მეფის დანიშვნით, მემკვიდრეობით, ან თანამდებობის მიხედვით, ცხადია, კონსერვატორების მხარეზე იქნება ყოველთვის. თუ ეს პროექტი გატარდა, ჯვარი დაესმება თემთა პალატას და ინგლისის ნაქებ „დემოკრატიას“.

აქ აღსანიშნავი ის არის, რომ თვით კონსერვატორებს შორის იჩინა თავი ოპოზიციამ ამ კანონპროექტის წინააღმდეგ. საქმე, რა თქმა უნდა, იმაში არ არის, რომ „ოპოზიციონერებს“ ნაკლებათ სწადიათ ძალაუფლება, ვინემ ბოლდუინებს. მაგრამ მათ კონსერვატორებისათვის სახიფათოთ მიაჩნიათ ასეთი ექსპერიმენტის მოხდენა. გარვინი წერდა, რომ „ბოლდუინი აშენებს კედელს, რომელზედაც თვითონ გაიტეხს თავს“. რას ნიშნავს ეს? ასეთი დიდი კონსტიტუციური რეფორმის მოხდენა, როგორიცაა ლორდთა პალატის რეორგანიზაცია, ჩვეულებრივ უნდა მოხდეს არჩევნების და არა უბრალო საპარლამენტო გზით, თუ კონსერვატორები ამ კანონპროექტს გაატარებენ თემთა პალატაში, ამით შეიქმნება მაგალითი, რომ მომავალმა თემთა პალატამ, რომლის შემადგენლობა უეჭველად სხვანაირი იქნება, მიიღოს რაიმე კანონი ლორდთა პალატის წინააღ[illegible] და საერთოთ გაიმართება მათ შორის ბრძოლა, რომელიც არ შეიძლება კონსერვატორებისათვის სასარგებლოდ დათავდეს. გარდა ამისა, ბოლდუინის პროექტი ძირის გამოთხრაა ბრიტანეთის კონსტიტუციისათვის, რომელიც ექსპლოატატორულ კლასების ბატონობის ერთი მძლავრი ფაქტორთაგანია. ასეთი ნაბიჯის გადადგმა ბოლდუინის მთავრობამ მხოლოდ იმიტომ შეძლო, რომ მან „თავი დაკარგა“ აუცილებელ დამარცხების მოლოდინში. ამ დამარცხებას ის იძულებული გახდა შეურიგდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინგლისის კაპიტალიზმის კონსტიტუციის საფუძვლების დანგრევას საბოლოო ანგარიშით აუცილებლად მოჰყვება დამღუპველი შედეგები თვით კონსერვატორებისათვის.

* * *

ინგლისელი შუბლმაგარნი, მიუხედავად თავის ანტისაბჭოთა პოლიტიკის დამარცხებისა, რომელიც მათ არა ერთხელ ხვდათ, ამ მიმართულებით განაგრძობენ „მოღვაწეობას“. სხვათა შორის, ამას მოწმობს „მოსკოვის ინტრიგებთან“ საბრძოლველად „პოლიციის ინტერნაციონალის“ დაარსების ცდა. აი, მაგალითად, რა გვაუწყა ამას წინათ დეპეშამ: „ბულგარეთის, რუმინეთის, საბერძნეთის და სამხრეთ სლავიის მთავრობებს განზრახვა აქვთ ემზადონ ამომწურავი ბრძოლისათვის მოსკოვის ინტრიგების წინააღმდეგ. უახლოეს დღეებში თითქო შესდგება ამ ქვეყნების მთავარ ქალაქების პოლიციის უფროსთა საიდუმლო თათბირი. გეგმა მუშავდება ინგლისის ათინელ ელჩის მფარველობით, რომელიც საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაარწმუნა, რომ ათინის საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობა მოსკოვის ინტრიგების ხელმძღვანელი ცენტრია ბალკანეთში“. გუშინ კი ცნობა იყო გამოქვეყნებული, რომ საბერძნეთმა რუმინეთი მიიწვია ბალკანეთის ქვეყნების კონფერენციაზე, რომელიც იხილავს ბალკანეთის საერთო პოლიტიკის შექმნის საკითხს, პოლიციის შექმნის მიზანია კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაო.

ეს ვრცელი ცნობა იმიტომ მოვიყვანეთ, რომ დამახასიათებელია კაპიტალისტური ქვეყნების მესვეურებისათვის, პირველ ყოვლისა ინგლისის შუბლმაგართათვის. თავის თავად ცხადია, რომ პროვოკაციაა ლაპარაკი, თითქო საბჭოთა წარმომადგენლობა ათინაში, ან სადმე „მოსკოვის ინტრიგების ხელმძღვანელ ცენტრს“ წარმოადგენდეს. მაგრამ ამ პროვოკაციის გავრცელება ესაჭიროებათ ერთი მხრივ კომუნიზმთან ბრძოლის სახით, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრული მოქმედებისათვის, მეორე მხრივ კაპიტალის ქვეყნებში კომუნისტური მოძრაობის აღმოფხვრის გასაადვილებლად.

საერთაშორისო პოლიციის გაერთიანება რევოლიუციასთან ბრძოლის მიზნით ახალი რამ არ არის, სხვადასხვა ქვეყნის პოლიციას ამ მხრივ მჭიდრო კავშირი აქვთ ერთმანეთთან, მოქმედების საერთო გეგმა აქვთ გამომუშავებული. ბერლინში ამ ერთი წლის წინეთ „პოლიციის ინტერნაციონალის“ კონგრესიც კი შესდგა. აღსანიშნავია, რომ ერთა ლიგაც ღებს ამ „საპატიო“ საქმეში მონაწილეობას. ის თვითონ გახდა პოლიციის თავისებურ ინტერნაციონალად. მის საბჭოს უკანასკნელ სესიაზე ერთ ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენდა „რევოლიუციის მთესველებთან“ ბრძოლა და ამ მიზნით რევოლიუციის სხვადასხვა ქვეყნების მთავრობათა ღონისძიებების გაერთიანება, რაც, სხვათა შორის, გულისხმობს საერთაშორისო პოლიციის შექმნასაც.

ეს ფაქტი მოწმობს, თუ რა მძლავრად გაიდგა ფეხი კომუნისტურმა მოძრაობამ კაპიტალის ქვეყნებში და მისი აღმოფხვრა, რა თქმა უნდა, არავითარ პოლიციას და მის „ინტერნაციონალს“ არ შეუძლია. მუშათა კლასი პოლიციურ რეპრესიებზე თავის რიგების შემჭიდროვებით და რევოლიუციონურ ბრძოლის გაძლიერებით უპასუხებს.

* * *

ჩემბერლენის ანტისაბჭოთა პოლიტიკა უკანასკნელ დღეებში სჩანს აგრეთვე ე. წ. „ბალკანეთის ლოკარნოს“ შეკოწიწების ცდაში. ასეთი ცდა დიდი ხანია სწარმოებს. „ბალკანეთის ლოკარნოს“ მიზანია ერთი მხრით საფრანგეთის გავლენის აღმოფხვრა ბალკანეთში, მეორე მხრივ და უმთავრესად სამხრეთ ევროპის სახელმწიფოების ბლოკის შექმნა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ ინგლისის დიპლომატიამ განსაკუთრებით გააძლიერა ამ მიმართულებით მუშაობა.

მაგრამ მისი წარმატება საეჭვო ხდება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ საფრანგეთი ენერგიულად ეწინააღმდეგება ამ გეგმას, რამდენადაც ის მის ინტერესებს ლახავს, მეორე, იმიტომ, რომ მეტად ძნელია იმ ტერიტორიალურ, ნაციონალურ და ეკონომიურ სადაო საკითხების მოგვარება, რომელნიც ერთი მეორისაგან თიშავენ ბალკანეთის ქვეყნებს. სამხრეთ-სლავია და ჩეხო - სლოვაკია დღემდე საფრანგეთის ორიენტაციას ადგანან. რუმინეთი და უნგრეთი ერთმანეთის შეურიგებელი მტრებია (ტრანსილვანიის საკითხის გამო) გარდა ამისა, რუმინეთმა ბოლო დროს, იტალია - უნგრეთის დაახლოვების გამო, თითქო კვლავ იბრუნა პირი პარიზისაკენ, ამასთან ბრატიანუს ახალი მთავრობა ვერც ისე გაბედავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოლაშქრებას.

კერძოდ, აღსანიშნავია, რომ ჩემბერლენი ცდილობს „ბალკანეთის ლოკარნო“-ში ოსმალეთის ჩაბმას. მაგრამ ყველაზე ნაკლებადაა მოსალოდნელი, რომ ამ მიზანს მან მიაღწიოს. ამ მხრივ ანგორის მთავრობისაგან უკვე კატეგორიული განცხადება მოვისმინეთ: მან სთქვა რომ არ მიიღებს მონაწილეობას რაიმე ისეთ კომბინაციაში, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იქნება მიმართული, ხოლო ოსმალეთის გარეშე „ბალკანეთის ლოკარნო“-ს განხორციელება პრობლემატიურია.

ოსმალეთს სხვანაირად არ შეეძლო მოქცევა. მისი მესვეურებისათვის ცხადია, რომ ინგლისი და იტალია მას ჩაყლაპვას უპირობენ. საბჭოთა კავშირთან მეგობრული დამოკიდებულების განმტკიცება ოსმალეთის დამოუკიდებულების და სამეურნეო აღორძინების ერთი მთავარი ფაქტორთაგანია. ამიტომაა, რომ ანგორასა და საბჭოთა კავშირ შორის დაიდო საგარანტიო და სავაჭრო ხელშეკრულებები, რომელთა ნიადაგზე ვითარდება თანამშრომლობა ორივე მხარის სასარგებლოდ.

* * *

მაშინ როცა საბჭოთა მთავრობა ცდილობს სხვა ქვეყნებთან დაახლოვებას და ხალხთა მშვიდობიან თანამშრომლობის დამყარებას, სულ სხვა სურათს ვხედავთ იმპერიალისტურ ქვეყნების დამოკიდებულებაში. ისინი იმაზე ზრუნავენ, თუ როგორ გაასწრონ ერთმანეთს შეიარაღების საქმეში. აიღეთ თუ გინდა სამ სახელმწიფოს კონფერენცია ჟენევაში. ე. წ. „საზღვაო განიარაღების“ შესახებ. კონფერენცია ჩიხში მოემწყვდა და მისი დამარცხება, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, აუცილებელია. საკითხი ეხება ვაშინგტონის 1922 წლის შეთანხმების გავრცელებას შედარებით წვრილ სამხედრო გემებზე და აქაც ისეთი პროპორციის დაწესებას ამერიკა - ინგლის-იაპონიას, შორის როგორიც შემოღებულ იქნა დიდი გემების მიმართ: 5:5:3. ასეთი წინადადება წამოაყენა ამერიკამ.

თითეულ მხარეს სურს მოწინააღმდეგის შესუსტება და თავის სამხედრო სიძლიერის არამც თუ შენარჩუნება, არამედ გადიდება. ასეთ პირობებში, ცხადია, შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია.

ჟენევის ეხლანდელ კონფერენციაზე, როგორც ეტყობა, შეიქმნა ინგლის-იაპონიის ერთიანი ფრონტი ამერიკის წინააღმდეგ. უკანასკნელის მთავრობა იმუქრება, რომ თუ მისი წინადადება არ იქნა მიღებული, ის კონფერენციას დასტოვებს. ამასთან აცხადებს, რომ ამერიკას ულევველი სიმდიდრე აქვს და შეუძლია სამხედრო მზადებაში ყველა სახელმწიფოს გადააჭარბოს.

ასეა თუ ისე, კიდევ ერთი ლაყბობა განიარაღებაზე უშედეგოთ იშლება. ამას მოჰყვება თითეული მისი მონაწილის და სხვა სახელმწიფოების გაძლიერებული მზადება უფრო მეტი შეიარაღებისათვის. ეს კიდევ ერთი გაკვეთილია მუშათა კლასისათვის, რომელმაც, წინააღმდეგ სოციალ - მოღალატეთა პაციფისტური ილიუზიებისა, სათანადოდ უნდა შეიგნოს ომის საფრთხე და მის ასაცილებლად დარაზმოს თავისი რიგები.

* * *

ამერიკა - ინგლისის ურთიერთობის გამწვავება, სხვათა შორის იმ მხრივაცაა აღსანიშნავი, რომ ის ერთგვარ გავლენას მოახდენს იმპერიალისტების დამოკიდებულებაზე ჩინეთის რევოლიუციისადმი. კერძოდ, ინგლის - ამერიკის ინტერესები ჩინეთში ერთმანეთს ეწინააღმდეგება და მოსალოდნელია, რომ ამერიკის მთავრობამ, ინგლისის პოზიციის შერყევის მიზნით, არ მიიღოს მონაწილეობა ჩინეთის ინტერვენციაში.

ამას კი დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გართულებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც შეიქმნა ჩინეთის რევოლიუციისათვის. რაც უფრო ღრმავდება და ვითარდება ეს რევოლიუცია, რაც უფრო აშკარავებს თავის კლასობრივ შინაარს და ბრძოლაში აბამს მუშათა და გლეხთა ფართე მასებს. მით უფრო სცილდებიან მას ე. წ. თანამგზავრები და კონტრ-რევოლიუცია აძლიერებს თავის შემოტევას.

მოღალატე ჩან-კაი-შის გზას დაადგა ფინ-იუ-სიანიც, რომელიც ლახვარის ჩაცემას უპირებს იმპერიალიზმისა და შინაური რეაქციისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლ ჩინეთის მასებს. ამ ორმა გენერალმა დასდვეს შეთანხმება, რომლის ერთი მთავარი მუხლთაგანია კომუნისტების დევნა და რევოლიუციონური უხანის დამხობა.

ეს მორიგი ღალატი ჩინეთის კომპარტიის და გომინდანის მემარცხენე ფრთის წინაშე აყენებს მეტად რთულ ამოცანას: რევოლიუციის ზურგის გაწმენდა მერყევ, გამცემლურ ელემენტებისაგან. რევოლიუციონურ არმიის უფროს შემადგენლობის რეორგანიზაცია და აქედან საეჭვო პირების გაძევება, გლეხთა და მუშათა მასების უფრო ფართოდ და აქტიურად ამოძრავება და მათი ინტერესების მედგარი დაცვა — აი რა იხსნის ჩინეთის რევოლიუციას ეხლანდელი კრიზისისაგან. კონტრ - რევოლიუცია ერთიანდება და უკავშირდება იმპერიალისტებს. მისი დამარცხება შეიძლება მხოლოდ მთელი მშრომელ მასების მტკიცე ფრონტის განხორციელებით და გადამჭრელი რევოლიუციონური მოქმედებით.

ბ. კ—ლი.

ავაშენოთ თვითმფრინავი

თბილისის პროლეტარიატი

ამხ. ჯეჯელავას გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაშენებელ ფონდში ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს სატყეო ტრესტის ბორჯომის რაიონიდან: შალიბაშვილს ნ., ბეჟიას გ., ბარბაქაძეს ა., ქაჯაიას ა., ერისთავს ა.

ტ. ახობაძე.

—

ამხ. ჯეჯელავას გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატ.“ ასაშენებელ ფონდში ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს სატყეო ტრესტის ბორჯომის რაიონიდან: ნ. ლიაძეს, ი. გვარამაძეს; ი. ლატარიას, ნ. ბურჭულაძეს, ა. ყავრელიშვილს; თიღიმინს, კ. ქეშიშევს; ქვე რაიონებში და ქარხნებიდან: შ. ნიკოლაიშვილს, კ. გაბაშვილს; მ. წამწყალაძეს, არ. ცისკარიძეს, პ. ლაზარიშვილს, ს. აბრამიშვილს; გ. ღლონტს და არ. აბრამიშვილს: ფოთიდან: თომა და გალაქტიონ ჟვანიებს, ლავრენტ წურწკავას, იასონ გეგეჭკორს, კ. კემულარიას, გრ. გოჩელეიშვილს; პ. ოჩიას, ვ. სტავილს; რ. ბაბუხადიას, გრ კაკულიას და მ. დგებუაძეს.

ა. ჟანტურაია.

—

ამხ. მიშა ახალაძის გამოწვევის თანახმად შემომაქვს თვითმფრინ. „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თბილისის აღმასკომიდან— პოლიექტი ტყაბლაძეს, დავით ექვთიმესძე ლორთქიფანიძეს, გლეხის სახლიდან—იაშა ახობაძეს, ზაკრაიკომიდან—ხანდრო სტურუას, პროკურატურიდან—გრიშა გაბუნიას, საქართველოს ცაკის სოც. უზრ. განყოფილებიდან გრიშა სიხარულიძეს, კოტე ცოტაძეს, პავლე მახარაძეს, სევერიანე დუმბაძეს; ილიკო დოლიძეს, აპოლონ ყიფიანს, ქ. ქუთაისიდან: ამბერკი ურუშაძეს, ერასტი ღვამიჩავას, თეიმურაზ ჭუმბურიძეს, დავით რუხაძეს; კიმოთე მამრიკიშვილს, საშა ნიკოლაევას; გრიგოლ ხუროძეს, საშა პაპავას, ნიკო ბერიძეს, პლატონ ქუთათელაძეს, მელიტონ ყორყოლიანს, ვლადიმერ კაციტაძეს, კაპიტონ კალანდაძეს, ევსევი ლოსაბერიძეს; ამბაკო ქარუმიძეს, ვალიკო გოგაურს, ვალოდია კალანდაძეს, დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოდან—ამხ. ოხიკო დევდარიანს, ამხ. გვასალიას, თომა მოცვაძეს, ერასტი როდონაიას; ვასო თათეიშვილს, თამარა საჯაიას; ქ. ფოთიდან: ვალოდია პაპავაძეს, ნიკო მეიშვილს, გიგო ლომთათიძეს, გრიშა მეუნარგიას; ვასო ჭოჭუას.

მიშა პაიჭაძე.

—

ამხანაგ ვანო ჯორბენაძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდში ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გიორგი ქარცივაძეს, თეიმურაზ კილასონიძეს, მერი ოსხელიანს; ოლღა სალარიძეს, თინა ქუჩიძეს, შოთა ნავეტარიძეს; იგორ ურუშაძეს, ნიკო პოლიექტოვს; ირაკლი ბესელიძეს; ნინო არაყიშვილს და ირაკლი ბერიძეს.

ნოდარ ფირცხალაიშვილი.

—

შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი-“ს ფონდის გასაძლიერებლად

ილია ქოქაძე.

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად ჩემი წვლილი ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: (მარნის თემის სენაკის მაზრა) ბიქტორ ი. გოგიშვილს, თეოფანე გოგიშვილს, ილიკო მიქაძეს, ევგენ გოგიშვილს, მაქსიმე გოგიშვილს, რესანოზ ხონელიძეს, გიორგი ბიჭიაშვილს, ტალიკაძეს, ბიქტორ ტალიკაძეს, სევერიანე ტალიკაძეს, მიხეილ გოგიშვილს; ნესტორ ათ. გოგიშვილს, ვლადიმერ ლუკ. გოგიშვილს; პავლე ოტია, ძიძიგურს, ბესარიონ გოგიშვილს, პეტრე ბ. ხონელიძეს; პროკოპი ნადირას, ილიკო ჩიტიას ვარდენ ჩიტიას, კრიმიტო ლუკ. ხონელიძეს, ალექ. პეტ. ყუნთელიას, გიგო ყუნთელიას, ოქროპირ ნინუას, დარისპან ხონელიძეს; ილარე დუნდუას, კალისტრ. ძიძიგურს.

გლეხი [illegible] მიხ. გოგიშვილი.

შემოგვაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდში სამი მანეთი (3) და ვიწვევთ ასეთივე თანხაზე შემდეგ ამხანაგებს: ამიერ-კავკასიის კომ. უნივერსიტეტის მეორე და მესამე კურსიდან ლექტორებს: ვუკოლ ბერიძეს, დიმიტრი [illegible]ელაძეს და კონიევს; სტუდენტებს: არჩილ ბოჭაძეს, გოგუა პანტელეიმონს, კაკო ფანჩულიძეს; შალვა ბიწაძეს; ბიქტორ ჩაჩიბაიას; გიორგი მანჯგალაძეს, იაშა ბრეგაძეს, არსენ ზაუტაშვილს; გრიშა გუსევს; ნინა კუბლაშვილს და [illegible]ტაძე შალვას.

სოსელია, ვ. გოგისვანიძე.

ამხ. დავით ჭანტურიშვილის გამოწვევით შემომაქვს სამი (8) მან. თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ს. ა. ლ. კ. კ. ცეკადან— გოგუნიას, გ. ჯავახიძეს, სერგო არუთინოვს ს. თარაგველიძეს; ვ. ღლენტს, მ. ცქვიტინიძეს, ვ. რაფავას, ვ. სალუქვაძეს, ალ. ტროშინს; დავით გოცირიძეს. ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტიდან: გ სილაძეს, სოკრატ ჩანკვეტაძეს, აშოტ სტეპანოვს, კ. ბუჯიაშვილს; ნიკოლოზ ხარტიშვილს; ა. ანტონოვს; გ. აბესაძეს; კაკო ერესელიძეს, ვარო ხაჩიკიანს, სერგო [illegible]; ნესტორ მექვაბიშვილს; ს. ქელიძეს, ტატო გავრიშს; დავრისი სალუქვაძეს ([illegible]) სერგო მანაგაძეს (თელავი) და ხარიტონ [illegible]ჭვარაძეს (კ. კ. გურიის კომიტეტიდან).

სოლ. თოდრია.

თანახმად მაქსიმე თოდრიას გამოწვევისა შემომაქვს „თბილ. პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად სამი მანეთი და ვიწვევ საქ. შრომის სახ. კომისარიატის თანამშრომლებს—ინსპექტორებს: ალექსანდრე მანევსკის; ვალიკო კაჭლოვსკის, ნიკოლოზ მედვედევს, ილიკო ზესტავაშვილს; [illegible]: ვანო ანდრონიკაშვილს, ალექსანდრე [illegible]ლაძეს; ნიკო ფხაკაძეს; კონსტანტინე წიწვაძეს, და ვარლამ კვირიკაშვილს; ლევან მაჩაიძეს; სიმონ ქავთარაძეს და მაკარი ბარბაშვილს.

მეორე უბნის შრომის ინსპექტორი დ. მელაშვილი.

—

შემოგვაქვს 8 მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდში.

ბოსკანიძე, ნ. სოსელია.

სულ წინად შემოსულთან ერთად 10[illegible] მან. 50 კაპ.

ამიერ. კავ. ვაჭრობის კომისარიატში

ბამბის ზეთი

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტს სასწრაფოდ გამოჰყოს საქართველოსა, სომხეთისა და აზერბეიჯანისათვის 30.000 ფუთი ბამბის ზეთი.

პურის შემოზიდვა

წინადადება მიეცა ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს რესპუბლიკებში შეადგინონ ცალკე რაიონებისა და ცალკე მომხმარებელ ორგანიზაციებისათვის პურის მიწოდების გეგმა.

გეგმის შედგენის დროს მიღებულ უნდა იქნეს მხედველობაში ის გარემოება, რომ მთელ ამიერ-კავკასიას ესაჭიროება 18.500.000 ფუთი პური.

ნედლი ტყავი

„ზაკმიასტორგს“ წინადადება მიეცემა ჩაიბაროს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ნედლი ტყავეულობა, რომელიც მას ამ ჟამად აქვს.

მშენებლობა სოფლად

გორის მაზრა

გორის მაზრის სოფლებში წარმატებით ტარდება მთავრობის დადგენილება გლეხების თვითდაბეგვრის შესახებ. ადგილობრივ თემაღმასკომებს შუალება მიეცათ ამ კანონის ძალით გამოიყენონ გლეხის შრომა მრავალ მნიშვნელოვან დაკავშირებულ საქმეების გასაკეთებლად. მაგ. მთელ რიგ სოფლებში გაყვანილია წყალსადენი. სოფელ კრისის ხევმა თვითდაბეგვრის საშუალებით ააგო სკოლა, რომლისთვისაც 600 მანეთად შეიძინა ხის შენობა. ამავე წესით სოფელ გომში საფუძვლიანად შეკეთებულია სასკოლო შენობა, რაც 100 მანეთი დაჯდა. სოფელ წყრომში მოწყობილია ახალი ბორანი, რომლის ღირებულება 1.100 მანეთს უდრის. თვითდაბეგვრის საშუალებით ასეთივე მუშაობა სწარმოებს სხვა სოფლებშიაც.

სიღნაღის მაზრა

გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს დაბა ველისციხის კეთილმოსაწყობად. სოფლის მთავარი ქუჩა თითქმის ასვლაცად გაგანიერებულია. ძველ დუქნები და შენობები სრულიად აღებულია და ამჟამად არქიტექტურული გეგმით შენდება ახალი სახლები და დარაბები. მოხსნილია აგრეთვე სახლებზე მიდგმული—ქუჩაზე გამოკიდულ აივნები. ამის შემდეგ სოფლის ცენტრალურმა ადგილმა მიიღო ლამაზი სახე.

ფასების დაკლების შემოწმება

ფასების დაკლების შესახებ გამოცემულ დირექტივის გატარების შემოწმების მიზნით, ა.-კ. ცაკის მეორე სესიამ საჭიროდ სცნო სოფლად და ქალაქად მომქმედ კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციების რაც შეიძლება მასსიური შემოწმება. ამ დადგენილების თანახმად ა.-კ. მ. გ. ინსპექციის კოლეგიამ დაამტკიცა ფასების დაკლების შემოწმების გეგმა, რომლის გატარებაც უნდა მოხდეს ა.-კ. ვაჭრობის სახკომის ხელმძღვანელობით და იმავე კომისარიატის, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, კოოპერატიული ცენტრების და პროფმუშაკების მონაწილეობით. დამტკიცებული პროგრამის თანახმად გამოკვლევა უნდა შეეხოს სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფასებს (მანუფაქტურას, საქონელს, ფეხსაცმელს, ლითონის ნაწარმოებს, საწერ ქაღალდს, ნავთის პროდუქტებს, ასანთს, საპონს, თამბაქოს ნაწარმოებს და აგრეთვე საკვებ პროდუქტებს).

აზერბეიჯანში გამოსაკვლევად დასახელებულია 8 სამაზრო ქალაქი და 34 სასოფლო პუნქტი; საქართველოში 10 სამაზრო ქალაქი და 27 სასოფლო პუნქტი; სომხეთში 4 სამაზრო ქალაქი და 12 სასოფლო პუნქტი; ნახიჩევანის მხარეში 1 ქალაქი და 7 სასოფლო პუნქტი. გარდა ამისა, გამოკვლევა ჩატარდება ბაქოსა, თბილისსა და ერევანში.

გამოკვლევის მასალების დასამუშავებლად ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატთან ამხ. მელიქის თავმჯდომარეობით მოწყობილია საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან: ა.-კ. ც. ს.-ის „[illegible]“, ა.-კ. პროფსაბჭოს წარმომადგენელნი; კომისიის სხდომებს დაესწრებიან აგრეთვე ა.-კ. მ. გ. ინსპექციის წარმომადგენლები.

ნიაღვრების შედეგები

რკინის გზის ხაზის წარეცხვა

1 ივლისს მთელი დღე-ღამის განმავლობაში ა. კ. რკინის გზებზე მოვიდა ძლიერი წვიმა. ზოგიერთ ადგილებში წვიმამ წარეცხა გზები.

კერძოდ, წარეცხვის გამო გარდაბან ველისს შუა გზა დაკეტილი იყო 3 ნახ. საათის განმავლობაში.

ნატანებ-სუფსას შუა ხაზი წაირეცხა ნახევარ კილომეტრის მანძილზე. მოძრაობა აღდგენილ იქნა დილის ათ საათზე ბათომიდან მოსულ დამხმარე მატარებლის საშუალებით.

ამავე მიზეზის გამო, 4 საათის განმავლობაში შეწყვეტილი იყო მოძრაობა სამხრეთის ხაზზე.

ხაზების წარეცხვამ გამოიწვია მთელ რიგ სახალხო და საბარგო მატარებლების გაჩერება გზაზე.

ავტომიმოსვლის შეწყვეტა

უკანასკნელ დღე-ღამის განმავლობაში მოსულმა ძლიერმა წვიმამ გამოიწვია ღელეების ადიდება. ადიდებულმა ღელეებმა საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე (მცხეთის ახლოს) და მანგლისის და ალბულაღის გზებზე გამოიტანეს ლამი.

ამის გამო ამ გზებზე ავტომიმ. ალბულაღისაკენ თბილისიდან ავტომობილები არ წასულან.

მიღებული ზომებით საქართველოს სამხედრო გზატკეცილი გაიწმინდა და ავტომობილები კავკასიისაკენ გაიგზავნენ დაგვიანებით.

ზაჰესის ენერგიის ტარიფი

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მიიღო რა მხედველობაში ზაჰესის არასრული დატვირთვა, აუცილებლად სცნო ენერგიის მსხვილი მომხმარებლების შემოერთებამდე უფლება მისცეს თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს ქვე-სადგურებისათვის მიწოდებულ ენერგიის კილოვატ საათში გადაიხადოს ხუთი კაპიკი.

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. დადგენილებით თბილისის აღმასკომს კილოვატ—საათში უნდა გადაეხადა 6 კაპ. დანაკლისი თანხა გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ წლებში.

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ ამასთანავე საჭიროდ სცნო ყოველწლიურად გადასინჯული იქნეს ტარიფები ზაჰესის ენერგიაზე იმისდამიხედვით, თუ რამდენი ენერგია იქნება მოხმარებული.

აფშერონის არხი

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა გზათა სახალხო კომისარიატის საზღვაო ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ აუცილებელია აფშერონის არხის გაყვანის რაც შეიძლება დაჩქარებით დაწყება.

აფშერონის არხს უდიდესი მნიშვნელობა ექნება. იგი შეამცირებს გემების სავალ გზას ბაქოდან რიგიდამდე. ამას გარდა მიღებული იქნება სათბობ მასალის და დროის ეკონომია. ამ არხის გაყვანით გაძლიერებული იქნება ნავთის გადაზიდვა 10 პროცენტით.

სამეც. მუშაკთა თათბირი

4 ივლისისათვის თბილისში მოწვეულია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების განათლების მუშაკთა კავშირების სამეცნიერო მუშაკთა სექციების წარმომადგენელთა თათბირი.

რკინისგზებზე

მატ. № 7 და 8

ზაფხულის პერიოდში მგზავრობის გაძლიერების გამო, მგზავრთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ, გზათა კომისარიატს გაუგზავნა ამხ. შ. ელიავას მიერ ხელმოწერილი დეპეშა, რომლითაც ითხოვს ნებართვას დაჩქარებულ მატარებლების № 7 და 8 ყოველ დღიურად მოძრაობის შესახებ.

აცილებული კატასტროფა

1 ივლისს სად. ევლახში სადგურის მორიგის როდიონოვის დაუდევრობით, დაკავებულ ლიანდაგზე გაიგზავნა ორთქლმავალი. მემანქანემ შენიშნა ეს გარემოება და კატასტროფა აცილებული იქნა.

ექსპორტის გაძლიერება

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის უკანასკნელ საექსპორტო თათბირზე, მოისმენილი იქნა საქართველოს ს. მ. უ. ს. წარმომადგენლის მოხსენება საქართველოს მოპოვებითი მრეწველობის საექსპორტო რესურსების შესახებ.

ამიერ-კავკასიიდან ექსპორტის გაძლიერების მიზნით და იმის გამო, რომ ნედლეულის ექსპორტი უკანასკნელ ხანებში შემცირდა, თათბირმა საჭიროდ სცნო მეორე ხარისხოვან საექსპორტო საქონლის, კერძოთ მოპოვებითი მრეწველობის პროდუქციის გატანის გაძლიერება.

ვინაიდან ეს საქმე ახალია და მოსალოდნელია ზარალი, თათბირმა დაადგინა სთხოვოს საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ნება დართოს გატანილ იქნეს საზღვარგარეთ ამიერ-კავკასიის მოპოვებითი მრეწველობის პროდუქცია, გარდა ნავთისა და მარგანეცის, გეგმის გარეშე საკომპენსაციო იმპორტის სასარგებლოზე.

წინადადება მიეცა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს იკისროს ამიერ-კავკასიის მოპოვებითი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტი და კავშირი დაამყაროს ამ მიმართულებით რესპუბლიკების ს. მ. უ. ს.-თან.

თათბირზე დადასტურებულ იქნა, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შეუძლია გაიტანოს საზღვარგარეთ გლაუბერის მარილი 40—50 ათასი ფუთი, ინფუზორიტის მიწა 5 ათასი ტონა. ლიტოგრაფიული ქვა 200—400 ცალი და მინერალური საღებავები.

თათბირმა დაადგინა სთხოვოს სამთო ქიმიურ ტრესტს წარმოადგინოს ვაჭრობის კომისარიატში გლაუბერის მარილის, ინფუზორიტის და ლიტოგრაფიული ქვის ნიმუშები ფასების აღნიშვნით.

საქკომსაბჭოში

ქუთაის-წყალტუბოს გზატკეცილი

საქკომსაბჭოს დადგენილებით ქუთაის-წყალტუბოს გზატკეცილი შეტანილ იქნა რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზათა სიაში მისი საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს გამგებლობაში დატოვებით.

საქართველოს მოსახლეობა

1926 წ. დემოგრაფიულ აღწერის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე მობინადრე მთავარ ეროვნებად ცნობილი არიან—ქართველები, თურქები, სომხები და რუსები, ხოლო ქართველი ტომები—აჭარლები, მეგრელები, სვანები და წოვა-თუშები; ქართველი ებრაელები უნდა გაერთიანდეს ქართველ ეროვნებაში.

ავტონომიურ ერთეულებში ზემოაღნიშნული 4 მთავარი ეროვნების გარდა გამოყოფილი არის: აფხაზეთში—აფხაზები, აჭარისტანში—აჭარლები-ქართველები და სამხრეთ-ოსეთში—ოსები.

სარწყავი არხის „ტირიფონის ველი“-ს გაყვანა

საქკომსაბჭომ საჭიროდ სცნო სარწყავი არხის „ტირიფონის ველი“-ს გაყვანის სამუშაოთა განგრძობა. ამ მიზნით წინადადება მიეცა წყალთა მეურნეობის სამმართველოს საჭიროდ შეადგინოს არხის დამთავრებისათვის სამუშაოთა წარმოებისა, პირველ რიგში კი არხის სათავის დამთავრების. მასვე დაევალა შეადგინოს არხის სამუშაოთა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

სამგეგმო კომისიას და წყალთა სამმართველოს დაევალათ შეიმუშაონ არხის საამშენებლო სამუშაოთა კალენდარული გეგმა მომავალი საამშენებლო სეზონისათვის და გამონახონ ხსენებულ სამუშაოთა საწარმოებლად საჭირო სახსარი გრძელვადიანი კრედიტის სახით.

გადასახადი მოგებიდან

ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით, საქართველოს საკურორტო სამმართველოს სატყეო განყოფილებას უფლება მიეცა არ გადაიხადოს 1924-25 წლის მოგებიდან ანარიცხები ხაზინის სასარგებლოდ.

ამასთანავე ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას და ა.-კ. ფინსახკომს წინადადება მიეცათ გადასინჯონ მთავარ საკურორტო სამმართველოსა და საგადასახადო ორგანოებს შორის არსებულ ფინანსიურ ურთიერთობის მიზანშეწონილობის საკითხი.

ოპერა მომავალ სეზონში

(საუბარი განსახკომის ხელოვნების განყოფილების გამგე— ამხ. შ. დუდუჩავასთან)

მოსკოვიდან დაბრუნდა განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილების გამგე—ამხ. შ. დუდუჩავა, რომელიც გამგზავრებული იყო იქ ოპერის მომავალი დასის შესადგენად.

ამხ. დუდუჩავამ ოპერის სეზონის პერსპექტივების შესახებ განაცხადა შემდეგი:

— ოპერა აქამდე, თითქმის ინერციით, ვამპუკის გატკეპნილ გზას მიჰყვებოდა. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ოპერის შტამპი თანდათან ჰქრება და ადგილს უთმობს თემატიურად და ფორმალურად უფრო ჯანსაღ საოპერო ხელოვნებას.

ოპერის თემატიური გაჯანსაღება დაიწყო იმ შეფასებიდან, რომლითაც შეხვდა მოსკოვის პროლეტარული საზოგადოებრიობა „ბორის გოდუნოვი“-ს დადგმას დიდ თეატრში. ამ დადგმაში ხალხი გამოყვანილია, როგორც „უენო კატეგორია“, რომლის ფონზედაც იშლება გოდუნოვის სინდისის ინდივიდუალური ტრაგედია.

საზოგადოებრივმა კრიტიკამ სასტიკად გაჰკიცხა დიდი თეატრის ასეთი მიდგომა „ბორის გოდუნოვ“-ისადმი და კატეგორიულად მოითხოვა მუსორგსკის იდეის რესტავრაცია, რომლის მიხედვით ხალხი არა თუ უენო კატეგორიაა, არამედ ტრაგედიის მთავარი და ფაქტიური გმირი.

ამის შემდეგ გამოჩნდა ფორმალურის მხრივ მთელი რიგი ახალი ოპერები (ვოცეკ“—ალბან ბერგის და „ნახტომი ჩრდილზე“—კშენეკის) და აგრეთვე რევოლიუციონური ოპერები („გარღვევა“—ტექსტი სერ. გოროდეცკის, „არწივთა აჯანყება“, „კორსიანკა“ და სხვა); ყველა ამან ბოლო მოუღო ოპერის ვამპუკას და ამით საოპერო ხელოვნება დაუახლოვდა მასიურ მაყურებელს.

რასაკვირველია, ასეთ მდგომარეობას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა თბილისის საოპერო თეატრის მომავალი სეზონისათვის დასის შედგენის დროს. მე შევუკვეთე „ვოცეკ“-ის და „არწივთა აჯანყების“ ტექსტები, მოლაპარაკებას ვაწარმოებ სერ. გოროდეცკისთან მისი ოპერის თბილისის თეატრის სცენაზე დადგმის შესახებ. განზრახულია „ვოცეკ“-ის დადგმა მიენდოს ი. მ. ლაპიცკის, „არწივთა აჯანყების“ დადგმა კი — ნ. ნ. ბოგოლიუბოვს, რომელიც მოწვეულია ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელად

გადაწყვეტილია სრულიად ახალ დადგმებთან ერთად განახლებული და გადახალისებული იქნეს ძველი დადგმები, ახალ ქართულ ორიგინალურ ოპერებიდან წელს აუცილებლად დაიდგმება „ლატავრა“—მუსიკა ზ. ფალიაშვილის ალ. ახმეტელის დადგმით, „ამირანი“—მუსიკა კ. მეღვინეთ-უხუცესის ალ. წუწუნავას დადგმით და დ. არაყიშვილის ოპერა „სიცოცხლე სიხარულია“ კ. მარჯანიშვილის დადგმით. ამას გარდა, მომავალი სეზონის რეპერტუარში შეტანილია ზოგიერთი კლასიკური კომედიები.

დასის შედგენა ჯერ არ დამთავრებულა; ჯერჯერობით მოწვეულია: ნ. ნ. ბოგოლიუბოვი — რეჟისორი—დამდგმელი; დრამატიული ტენორი სოდომოვი, დიდი თეატრის პრემიერი ბანი[illegible] კრუზო, რომელსაც განსაკუთრებული ხმა აქვს, კრუზო; მოწვეულია პირველ და მეორე პარტიებზე; ლირიული სოპრანო მარკოვა, ბარიტონი ორლოვი, მეცო-სოპრანო დავიდოვა, რომელიც საგასტროლოდ იყო თბილისში რამდენიმე წლის წინედ.

მოლაპარაკება სწარმოებს ლირიულ-კოლორატურულ სოპრანო ლებედევასთან, უკრაინის გამოჩენილ მომღერალ-ქალ ლიტვინენკო-ვოლგემუტთან (დრამატიული სოპრანო) და ლენინგრადის ოპერის პრემიერთან ბან პლეშაკოვთან.

ამას გარდა, თვენახევრით (ივნისიდან) მოწვეულია საბჭოთა კავშირის საუკეთესო ბარიტონი, მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერი გოლოვინი.

ადგილობრივ ძალებიდან მოწვეულია სანდრო ინაშვილი, ქუმსიაშვილი, ვენაძე, ქარცივაძე და სხვები.

მომავალ სეზონში სათანადო ყურადღება ექნება მიქცეული ბალეტს.

მთავარ ბალეტმეისტერად მოწვეული ლუკინი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნიჭიერი მემარცხენე ბალეტმეისტერია, რომელიც ოდესღაც მეორე მიმართულებას ემხრობოდა. მაგრამ ეს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გამოსწორებული იქნა შემოქმედებით და ამჟამად ლუკინი მოსკოვში ითვლება ბალეტის ერთ-ერთ უნიჭიერეს რევოლიუციონერ ბალეტმეისტერად.

სპეციალურ საბალეტო დადგმებიდან ჯერჯერობით განზრახულია „დონ-კიხოტი“ ლენინგრადის ბალეტის პრიმადონის ლიუკომის მონაწილეობით, ბალეტი „კარმენ“ (მერიმეს მოთხრობის მიხედვით) და კიდევ ერთი კლასიკური ბალეტი ახალი გაგებით. ყველა საბალეტო წარმოდგენები დადგმული იქნება ლუკინის მიერ.

სწარმოებს მუშაობა ახალი ქართული ბალეტის შესაქმნელად. ბალეტის შემადგენლობა გადიდებული და შევსებული იქნება (მოწვეული იქნება ორი სოლისტკა და ერთი პრიმა-ბალერინა). განახლებული იქნება ყველა საოპერო ბალეტი. ოპერასთან იქნება სახელმწიფო საბალეტო სტუდია.

ბალერინებიდან რამოდენიმე წარმოდგენისათვის მოწვეულია დამსახურებული მსახიობი კრიგერი და ლიუკომი.

წელს განზრახულია ფასების დაკლება საოპერო წარმოდგენებზე. სეზონი გაიხსნება 15 ოქტომბერს. მოსამზადებელი მუშაობა დაიწყება ბოგოლიუბოვის ჩამოსვლისთანავე, აგვისტოს პირველი რიცხვებიდან.

ქრონიკა

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის

შრომის სახალხო კომისარიატმა შეადგინა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაავალა დაამუშაოს მასალები მიღწევების შესახებ შრომის დარგში და მიაწოდოს ეს მასალები ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულის ჩამტარებელ ცენტრალურ კომისიას.

მასალების დამმუშავებელ კომისიაში არჩეული არიან: ამხ. სილ. თოდრია (თავმჯდომარე), ამიროვი, კვირიკაშვილი და შ. ქართველიშვილი.

მოზარდთა შრომა

შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა სამუშაოზე მოზარდთა გაგზავნისა და მოზარდთა უმუშევრობის საკითხი და მიზანშეწონილად სცნო გადასინჯულ იქნას წარმოება - დაწესებულებებში მოზარდთა სავალდებულო რიცხვის განაწილების საკითხი. კოლეგიამ საჭიროდ სცნო, საამისოდ დაარსებული იქნას საგანგებო კომისია, რომელშიაც შევლენ: შრომის სახალხო კომისარიატის, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლები. კომისარიატმა თავის წარმომადგენლად კომისიაში დანიშნა ამხ. გოგინაშვილი, ელბაქიანი და ბარნაბიშვილი.

სამოსწავლო წლისათვის

მიმდინარე თვის პირველიდან ქუთაისში გაიხსნა სამოსწავლებლო კურსები. კურსები გახსნილია სპეციალურად იმ პარტიულების და კომკავშირელების მოსამზადებლად, რომელთაც დაამთავრეს პედაგოგიური ტეხნიკუმები და ცხრაწლედები პედაგოგიური განხრით. კურსებზე სამეცადინოთ მოწვეულია 110-მდე ახალგაზრდა. მეცადინეობა გაგრძელდება ორ თვეს—ივლისიდან აგვისტოს დამლევამდე.

ახალი წესები მეეზოვეებისათვის

აღმასკომის ადმინისტრაციულმა განყოფილებამ კომუნალურ მუშაკთა კავშირთან ერთად შეიმუშავა ახალი წესები მეეზოვეებისათვის.

ამ წესების მიხედვით, მეეზოვე ვალდებულია იცოდეს სახანძრო რაზმების და სასწრაფო დახმარების ტელეფონების ნომრები და მათი მდებარეობის ადგილი.

კლუბი ფ.-ტელ. მუშაკთათვის

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირმა შეიმუშავა თავის წევრთათვის კლუბის აგების პროექტი.

ამ.-კავ. სატარიფო-ეკონომიური თათბირი

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ დაადგინა 21 ივლისისათვის ბაქოში მოიწვიოს ამიერ-კავკასიის სატარიფო-ეკონომიური თათბირი.

თათბირს დაესწრება 15 წარმომადგენელი აზერბეიჯანიდან, 10 საქართველოდან, 5 სომხეთიდან და თვით წარმომადგენელი ა.-კ. საგზაო პროფკავშირიდან და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტიდან.

სატარიფო ზოლები

ამიერ-კავკასიის [illegible] სიძვირე და აგრეთვე ამიერ-კავკასიის ცალკე ადგილების [illegible] სცნო ქალ. ბაქო, [illegible] მიაკუთვნოს 1-ლ ზოლს, თბილისი, ქიათურა და ერევანი—2 ზოლს, სოხუმი და ბათუმი— მე-3 ზოლს. ყველა დანარჩენი ადგილები რჩება მეოთხე ზოლში.

ამ.-კავ. პროფსაბჭომ დაადგინა სთხოვოს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს მხარი დაუჭიროს ამ წინადადებას საკავშირო ორგანიზაციების წინაშე.

უპატრონო ბავშვთა დასახმარებლად

◆ უპატრონო ბავშვთა დახმარების ფონდის გასაძლიერებლად ქობულეთის და ქედის მაზრებში შენდება თამბაქოს ახალი პლანტაცია და ლეღვის ბაღი. ამ პლანტაციებსა და ბაღში უმთავრესად ამუშავებენ მცირე წლოვან უპატრონო ბავშვებს.

თბილისის აღმასკომში

◆ ქუჩების მოსაკირწყლავად კომუნალურმა განყოფილებამ გადადო 23.000 მანეთი.

◆ ზაჰესის ენერგიის ახალი ტარიფი ძალაში შევიდა 1 ივლისიდან.

◆ ქლექის დისპანსერის ასაგებათ გადადებულია 700 მანეთი. დისპანსერის აგება დამთავრდება 1930 წლისათვის.

მიწათმოქმ. სახ. კომისარიატში

◆ ახალი ბროშურა. მიწსახკომმა გადაწყვიტა გამოსცეს მევენახეობა - მეღვინეობის ინსპექტორის ვ. ბიბილაშვილის ახალი წიგნი „მევენახეობა“ სურათებით.

◆ ამერიკული ვაზი. მიწსახკომის მამულების ტრესტმა გლეხებისათვის დასარიგებლად საფრანგეთიდან გამოიწერა ამერიკული ვაზის 3 მილიონი მეტრი ლერწი.

განათლების კომისარიატში

◆ ახალი სკოლა. საზ-ბა „საქართველოს ჩაი“ ჩაქვის მამულში ამავე მამულის მუშების ბავშვებისათვის აგებს სკოლას.

◆ სპეცკურსები. განათლების კომისარიატმა გადაწყვიტა მომავალ სამოსწავლო წლიდან რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში, ადგილობრივ მრეწველობისათვის კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად გახსნას სპეცკურსები.

სხვადასხვა

◆ დაფნის ფოთოლი. ამჟამად აჭარისტანში რუსეთში გასატანად მზადდება 10.000 ფუთი დაფნის ფოთოლი.

◆ ახალი ქარხანა. ჩაქვის რაიონში შეუდგენ ახალი ქარხნის აგებას. ქარხანა წლიურად დაამუშავებს 30.000 გირვანქა ჩაის.

— ქართულ მთიელთა კულტ.-საზოგადოება. სამშაბათს, 5 ივლისს, საღამოს 6 საათზე საქ. პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში (მუშათა სასახლე) მოწვეულია ქართველ მთიელთა კულტ-საზოგადოების საერთო კრება.

სასამართლო

მხეცი და გარყვნილი ადამიანი

აბგარ ალიევი არის ბინძური რომანის „გმირი“. აბგარ ალიევი, ცოლ-შვილით დატვირთული კაცი, სიყვარულის ალმურშია გახვეული. მას უყვარს თავისი ბიძაშვილის ცოლი თამარი.

ერთ მშვენიერ დღეს წითელ-ქალაქში (გორის მაზრაშია) ორ, ერთმანეთის ნათესავ ოჯახს მოაკლდა თითო-თითო წევრი; ერთს—თამარა (ქმარ-შვილის პატრონი), მეორეს—აბგარი (ცოლ-შვილის პატრონი). არც მოკვდარან და არც დაკარგულან ისინი. „სიყვარულის“ ტალღებმა გადმოტყორცნეს თბილისში.

აბგარი ზემს იხდის თბილისში, წითელ-ქალაქში კი ორ ოჯახში სტირიან მცირეწლოვანი ბავშვები და [illegible] და მამას ეძებენ.

თამარი და აბგარი ნეტარებაში არიან. დღე დღეს სცვლის. შეუმჩნევლად მიდის დრო, მაგრამ თანდათან შესამჩნევი ხდება, რომ თამარს მალე უნდა შეეძინოს „პატარა“.. აბგარს ეხლა ძველი ცოლ-შვილი „მოენატრა“; დაჰკრა ფეხი და წითელ ქალაქში ამოჰყო თავი.

თამარას ვაჟი ჰყავს, მაგრამ პატრონი არ ჰყავს. ვის მიმართოს, ვის სთხოვოს დახმარება! თი უშველის საქმეს, ისევ ალიმენტი. სასამართლომ მოისმინა თამარას საჩივარი და დაადგინა აბგარს გადახდეს ალიმენტი.

აბგარი არხეინად არის, თავსაც არ იცხელებს, თუ ცოლ-შვილისთვის კი არა, ერთისთვის არ ფერი ემეტება.

საქართველოს ცაკმა მოისმინა თამარას საჩივარი, რომ აბგარი სარჩოს არ აძლევს. წითელ-ქალაქის მილიციას მისდის განკარგულება, რომ აბგარს გადაახდევინონ 200 მანეთი თამარას და მისი შვილის სარჩოს სახით. აბგარი ყურსაც არ აიხოვებს მილიციის წარმომადგენელს.

ადგილობრივი მილიცია ღებულობს ზომებს, რომ დაუყოვნებლივ გადახდეს აბგარს ალიმენტი. ჯიუტი აბგარი ცივ უარზეა.

ამის გამო ის ზის „კუტუზკა“-ში. და ფიქრობს გამოსავალზე,

მოიგონა ხერხი. სატუსაღოში იბარებს თავის ყოფილ „სატრფოს“ და „პატიოსან“ სიტყვას აძლევს, რომ თუ თამარა ეტყვის მილიციას, რომ აბგარი და ის შინაურულად მოურიგდებიან და გამოაშვებინებს მის თავს ციხიდან, შერცხვეს აბგარის ვაჟკაცობა, თუ სამაგიერო პატივი არ სცეს მას; გამოსვლის თანავე წაიყვანს თამარას რუსეთში და იქ მასთან იცხოვრებს ტკბილად და უდარდელად.

თამარას სჯერა ყველაფერი. მიდის, ეუბნება მილიციას, „გამოუშვით“ ჩემი აბგარი“-ო. აბგარს სატუსაღოდან ანთავისუფლებენ.

მოდიან აბგარი და თამარი ხელი-ხელ გაყრილი, ნელ-ნელა ნაბიჯით და მიემართებიან სადგურისაკენ. იქვე მახლობლად წყლის პირას ბაღს მოჰკრეს თვალი, გაიხსენეს ძველი დრო „[illegible]“. შევიდნენ ბაღში და დასხდენ. დრო მიდის შეუმჩნევლად: დაღამდა..:

აბგარმა დაიკმაყოფილა თავისი ჟინი; ქალი ეალერსება და ეფიცება სიყვარულს. აბგარს მხოლოდ ალიმენტი ახსოვს.

მოჰკლას ქალი და საქმე გათავდება. გაფიქრება და შესრულება ერთი ჰქნა. დასტაცა ხელი ვეებერთელა რიყის ქვას და თავში დაახალა თამარას, როცა უკანასკნელს მისკენ საალერსოთ ხელი ჰქონდა გაშვერილი.

მხეცი გაიქცა, მოიტანა საიდღაც ტომარა, განვია შიგ ქალის გვამი და მდინარის პირას ჩამარხა სილაში.

ის შეიპყრეს და საჯაროთ გაასამართლეს. საქმე გაარჩია აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ადგილობრივ.

სასამართლოში ამ ველურს თავი ისე ეჭირა, თითქოს ცუდი არაფერი ჩაედინოს. გატაცებით მოუთხრო სასამართლოს, როგორ ჩაიდინა ეს საზიზღრობა. მან სთქვა: „მინდოდა დავრწმუნებულიყავი მოხვდა თუ არა ქვა. ღამე იყო. მოუსვი თავზე ხელი და თავის ქალა სულ გასრესილი ჰქონდათ“.

„ზიზღი, ზიზღი!“—ისმოდა დამსწრე გლეხების ხმები.

სასამართლომ ამ ველურ ადამიანს მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით.

გ.

შრომის ბირჟაში

მუშა ხელის მოთხოვნილება

ხვალ, 4 ივნისს შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევრებს.

კვალიფიციურ მუშათა პირველი სექცია. ევგენი ბუზიაშვილს, ლიზა აფრიდონიძეს, იაშა შაფირს და თინა გოშიელიანს; გონებრივ მუშათა მეორე სექცია: მიხეილ შავდიას, ბაგრატ ჯანელიძეს, ნინო წერეთელს; ელენე მეჟაუროვას, ივანე გიორგაძეს; გრიგოლ რეხვიაშვილს, მიხეილ დარჩიას; შალვა გიორგაძეს, აკაკი გიორგაძეს, აქსენტი გოგუაძეს, დუსია ბანდაიანს, ქეთო ებრალიძეს; ლევან ფილოიანს, შალვა ასაპიანს, ელენე აზარიანს, დანიელ ნოვიკოვს, [illegible] ტატევოსიანს; ნინო წულუკიძეს, ქსენია კუჭიბაშვილს, ივანე სამსონიას, ანნა ჯარიშვილს და ნინო [illegible]; მესამე სექცია: გერასიმე გასიევს, ალექსანდრე ალიხანოვს, [illegible] ცარმოდოვს, გრიგოლ ოსიპოვს, არჩილ კერესელიძეს, ივანე დორიძეს; [illegible] მამაჯანაშვილს, სარქის მარტიროსოვს; გიორგი სამაკოევს, ელიოზ გაზაძეს, სიმონ ელქანოვს, აპ. ოგანეზოვს; სანდრო გოლიაშვილს, სიმონ [illegible] იოსებ კარანებიანს, არიაპეტ დილოვს, ხაჩატურ სუვოროვს, ალექსანდრე [illegible]ადილიანს, ვლადიმერ კულაევს; ვასილ [illegible]აშვილს, იოსებ მამედოვს და ალექსანდრე [illegible].

შემთხვევები

მფლანგველის დაპატიმრება

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მუშკოოპის მაღაზია № 45 გამგის თანაშემწე იასონ ოდიშარია, რომელსაც ბრალდება 560 მანეთის გაფლანგვა.

დაპატიმრებული გამოტყდა დანაშაულში და განაცხადა, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში იგი განიცდიდა მძიმე ოჯახურ პირობებს და ამის გამო იძულებული გახდა დაეხარჯა კოოპერატივის ფულები.

◆ აფთიაქის გაქურდვის განზრახვა. 1 ივლისს დააპატიმრეს ჰუსეინ ისმაილისძე, განკუშევი, რომელსაც უნდოდა გაექურდა ყოფ. ზემელის აფთიაქი.

◆ ჯიბგირი ქალი. მუშკოოპის მაღაზიაში (თავისუფლების მოედანი), შეიპყრეს ელენე ფეოდოროვა, რომელმაც [illegible] პოლოსოვას ამოაცალა ფული.

◆ კამოს სახელობის ბაღთან მუშაობის დროს მონტიორს ალექსანდრე თუქნაშვილს 1 ივლისს მოპარეს ტყავის ტუჟურკა

◆ დაკარგვა. მოქ. რუბენ სულიევმა მილიციას განუცხადა, რომ 30 ივნისს დილით, სახლიდან გავიდა და დღემდე არ დაბრუნებულა მისი ბიძაშვილი კაპლო კაზაროვი.

◆ კლუბის დანგრევა. 1 ივლის დილის 12 საათზე, დაინგრა არაქელა ოქროშვილის სახელობის კლუბის ფიცრული შენობა. მსხვერპლი არ ყოფილა.

◆ დაშავება. 1 ივლისს, ბაზრის მოედანზე ურმიდან გადმოვარდა და მძიმედ დაშავდა მცირე წლოვანი სერიოჟა მელიქოვი.

◆ უთოს ქურდები. 1 ივლის შეიპყრეს იოსებ ზიტკინოვი და ივანე საკოვი, რომელთაც აღმოაჩნდათ მოპარული უთო.

◆ ფანჯრის გამომტვრევის საშუალებით 1 ივლისს, (პლეხ. გამზ. № 57), გრიშა მარტიროსიანცის [illegible] მოიპარეს 250 მან. ფულად და 150 მან. ნივთები.

◆ მცირეწლოვანი ქურდი. 1 ივლისს ქურდობისათვის დააპატიმრეს მცირე წლოვანი ალი-ოღლი დილად.

მეცნიერება და ტეხნიკა

ფსიქო-თერაპია

უძველეს დროიდანვე არის ცნობილი, რომ მკურნალ ექიმის ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ცოდნა და გამოცდილება. რბილი ხასიათის და ამასთანავე დაკვირვებული და უანგარო ექიმი გაცილებით მეტს ნდობას დაიმსახურებს საზოგადოების თვალში და არსებითად უფრო მეტ დახმარებას აღმოუჩენს ავადმყოფს, ვიდრე მედიდური, მიუკარებელი, პედანტი, გნებავთ დიდი ცოდნის მატარებელი.

მკურნალის დროულად თქმული სიტყვა, მგრძნობიარე დამშვიდება და დაავადებულის მდგომარეობის გაზიარება ხშირად არაა ნაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე სამკურნალწამლო ნივთიერება. ამნაირად, მედიცინაში სიტყვიერ ზეგავლენას ანუ ფსიქიურ ზემოქმედებას, ანუ ფსიქოთერაპიას ფართო ასპარეზი უკავია და ცნობილ მეცნიერ ფრეიდის თქმით, იგი, ე. ი. ფსიქოთერაპია, ხშირად ექიმის სურვილის მიუხედავად და მისივე შეუმჩნევლად იჭრება მკურნალობითი ავანსცენაზედ.

ფსიქოთერაპიას, გარდა ასეთი ყოველდღიურ პრაქტიკული ღირებულებისა, აქვს სპეციალური საშუალების უდიდესი მნიშვნელობა ფსიქიურ და ნერვიულ ავადმყოფთა მკურნალობაში.

ფსიქოთერაპევტიული გზაწესი დღეს დაფუძნებულია მეცნიერულ აგრუმენტაციაზედ; იგი უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ თერაპევტიულ მეთოდად, რომელსაც აქვს გამამართლებელი სათანადო ბიოლოგიური საბუთები.

ჩვენი მიზანია მკითხველს მოკლედ გავაცნოთ აწ არსებული მეცნიერული შეხედულებანი ფსიქოთერაპიაზე.

ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ ახლანდელ კლინიკებში წარმოებული ფსიქიური მეთოდებით მკურნალობა არ არის უცნობი, რაღაც საიდუმლო მისტიციზმით მოცული ჰიპნოტიზიორობა ან უვიც ექიმბაშთა მაგვარი შელოცვითი მანიპულაციები. უნდა ვიცოდეთ, რომ არის რამოდენიმე ფსიქოტერაპევტიული შტოები (სკოლები) და ყველა მათგანს აქვს განსაზღვრული გამოყენება.

ცხადზედ უცხადესია, რომ ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობას ახლა დიდი ადგილის აქვს დათმობილი ფსიქო-ნევროლოგიაში, მაგრამ არის მთელი რიგი ავადმყოფობათა, სადაც ყოველგვარი ელექტრიზაცია და სხვა მეთოდები ფიზიკური მკურნალობისა უძლურია, ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტში მქონდა ადგილი მრავალ შემთხვევებს, როდესაც რამოდენიმე თვის და ხან წლის განმავლობაში ელექტრიზაციით განაწამები ავადმყოფი ადვილად უბრუნდებოდა თავის საქმიანობას ფსიქოთერაპევტიულ სეანსების შემდგომ.

დავიხსომოთ, იქ, სადაც მარჯვეა ფიზიატრია, არ ვარგა ფსიქოთერაპია და პირიქით.

ფსიქიურ მეთოდებით მკურნალობა შეიძლება მაშინ, როდესაც ავადმყოფობას არა აქვს საფუძვლად რაიმე ანატომიური; ორგანიული ცვლილებები და მიზეზი არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოგენურ მომენტში.

რას ნიშნავს ეს.

არიან სხვადასხვა ფსიქიურ ძალღონის მქონე და მატარებელი პირები. ერთნი გადაჭარბებულად მგრძნობიარენი არიან, მეორენი არა; მძლავრი შთაბეჭდილება ზოგს აბნევს, ზოგს არა; მიზეზე და განსაცდელზე ზოგი დაბლად ვარდება, ზოგი იკრეფს ენერგიას და გარბის. ამნაირად სხვადასხვა ინდივიდუმი სხვადასხვა ხასიათის მატარებელია და სხვადასხვა რეაქციას იჩენს გარეშე შთაბეჭდილებაზე.

ფსიქიურად მაგარი და ჯანსაღი პიროვნება ყოველგვარ განცდას საბოლოოდ, ამომწურავად „გადახარშავს“, მხოლოდ მგრძნობიარე და ფსიქიურად სუსტ პიროვნება ვერ ურიგდება, ვერ განიცდის [illegible]ლიანად მგრძნობიარე შთაბეჭდილებებს, ცდილობს განცდების მივიწყებას, მაგრამ თვით განცდები მას არ ასვენებენ, აწუხებენ, [illegible] დრო და დრო გულყრების [illegible] ფორმდებიან. აღნიშნული ფსიქოგენური ავადმყოფობანი—გულყრები—არ ატარებენ ორგანიულ ცვლილებებს ნერვიულ სისტემაში და წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ გარეგნებაზედ რეაქციათა ხასიათის ავადმყოფებს, ე. ი. ხასიათის ჩვეულებრივ ფიზიოლოგიურ თვისების პათოლოგიურ გამჟღავნებას. მართალია ფსიქოტერაპევტი ფსიქოგენიურ ავადმყოფთა (ე. წ. ფსიქონევროზების) დროს ორგანიულ ცვლილებებს ნერვიულ სისტემაში არ გულისხმობს, მაგრამ იგი, როგორც ექიმი-ბიოლოგი ერთ წუთითაც არ ივიწყებს, რომ თვით რეაქციათა ხასიათს საფუძვლად აქვს უცილებლივ თავის ტვინის, ვეგეტატიურ არეს მემკვიდრეობითი თავისებურება.

რაში გამოიხატება ფსიქონევროზი და როგორი უნდა იყოს თერაპია?

ფსიქონევროზის ორგანიზაციაში უნდა აღინიშნოს ორი მომენტი: 1) ავადმყოფში თანდაყოლილი არსებული მგრძნობიარე ფსიქოფიზიოლოგიური ნიადაგი და 2) მძლავრი განცდა, შთაბეჭდილება, რომელიც პიროვნებას მძლავრად შეარყევს და გარდაიქცევა ერთგვარ ფსიქიურ ტრავმად. ამნაირად ნიადაგი და ფსიქიური ტრავმა აყალიბებს ფსიქონევროზს და თერაპიაც სწორედ ამ ორ მომენტისაკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ნიადაგი შერბილდეს და ფსიქიური ტრავმა ავადმყოფს ჩამოსცილდეს.

უკანასკნელ ხანებში წამოიჭრა მეტად საინტერესო შეხედულება, რომელიც ფსიქონევროზებს განიხილავს პათოლოგიურ რეფლექსების თვალთახედვით, მსგავსად პავლოვის პირობითი რეფლექსებისა. ფსიქონევროზთა ასეთ ტრაქტოვკაში პროფესორ კანაბიხის თქმით, პრიორიტეტი—პირველი სიტყვა ეკუთვნის პროფესორ ასათიანს, რომელმაც ჯერ კიდევ 1913 წელს მოსკოვში ამოსთქვა და დაასაბუთა ფსიქონევროზთა რეფლექსოლოგიური სახით განხილვის აუცილებლობა*).

აღნიშნული აზრი ევროპაში (ავსტრიაში) გამოთქმულ იქნა მხოლოდ და მხოლოდ 12 წლის შემდგომ (1925 წელს) პროფესორ შილდერის მიერ.

განვიხილოთ თვით ფსიქოთერაპევტიული სკოლები.

1) ჰიპნოზი, ბრძანებითი შთაგონება, როგორც ნაკლებ მეცნიერული ახლა ხმარებიდან თითქმის სრულიად გაძევებულია, დღეს ჰიპნოზის მაგივრად ხმარობენ დასაბუთებულ შთაგონებას ([illegible] მეთოდ). 2) არსებობს ე. წ. რაციონალური ფსიქოთერაპია. (დიუბუა, დეჟერინი, შნიდერი), ამ შემთხვევაში ცდილობენ ახსნა-განმარტებით [illegible] მეოხებით ავადმყოფის [illegible] და ამნაირად თვით ავადმყოფურ [illegible]. ზოგიერთ შემთხვევებში ეს მეთოდი ძლიერ გამამხნევებელია.

3) მეტად მძლავრ შტოს ფსიქოთერაპიაში წარმოადგენს ე. წ. ფსიქოანალიზი.

ცნობილია, რომ ფსიქიურ ტრავმის ფსიქიკაში შეჭრისას და გადამუშავებისათვის საჭიროა განსაზღვრული პირობები, შესაფერისი ფსიქიური მდგომარეობა და განსაზღვრულ მექანიზმების დაკვალვა. ამიტომ საჭიროა თერაპევტიულ ღონისძიების აღმოსაჩენად და ავადმყოფის ბუნების შესაცნობად ფსიქოლოგიური ანალიზის წარმოება. განკურნებისათვის ხშირად საკმარისია მხოლოდ ფსიქოლოგიურ ანალიზის მოხდენა და ავადმყოფისათვის მექანიზმების სხარტად განმარტება. აღნიშნული მიდგომა, რომელსაც ცალკე ორიგინალურ მიმართულების სახით ცნობილი ფრეიდი ანვითარებს.

ფრეიდის გაგებით ფსიქიური ტრავმა, ე. ი. უარყოფითი განცდა, როგორც უსიამოვნო ტონის მატარებელი გრძნობა ნათელ ცნობიერებიდან იდევნება ქვეცნობიერ ველში, ზედა სართულიდან ქვედა სართულში მივიწყების მიზნით, მაგრამ გადევნილი უსიამოვნო გრძნობა ქვედა სართულიდან არ ასვენებს ავადმყოფს. აქ საჭიროა გამოიძებნოს ფსიქიური მექანიზმები და ეს ორი სართული დაუკავშირდეს ურთიერთს, ე. ი. ქვედა ფენიდან განდევნილი განცდა ამოტანილი იქნეს ნათელ ველში. ამ მანიპულაციას ფრეიდი უწოდებს ფსიქიურ ოპერაციას.

4) არის ე. წ. კათარტული მეთოდი, (ბრეიერი, ფრანკი, ბეცოლდა): ამ სკოლის გაგებით განდევნილ, ჩაუთავებელ, გადაუხარშავ განცდის ჩათავება უნდა მოხდეს; ე. ი. ფსიქიური ტრავმა —მაგ. ძლიერი შეშინება საჭიროა ხელახლად ექიმის ხელმძღვანელობით ავადმყოფმა განიცადოს, გნიმეოროს, ჩაათავოს და ამნაირად გულის მეოხებით ავადმყოფობა ისპობა.

5) მეცნიერულ - პრაქტიკულ ღირებულების მხრივ მეტად მნიშვნელოვანია პროფესორ ასათიანის ორიგინალური ფსიქო - თერაპევტიული გზა-წესი, ე. წ. „განცდათა რეპროდუქციული მეთოდი“. რამდენიმე წელიწადია, რაც ავტორი ხმარობს ამ მეთოდს და ყოველთვის ღებულობდა დამაკმაყოფილებელი და გამამხნევებელი შედეგებს. ამ მეთოდის მეოხებით არა ერთი დაინვალიდებული ავადმყოფი დაბრუნებია თავის თანამდებობას და ჩაბმულა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პროფესორ ასათიანის აღნიშნული მეთოდი მართლაც ერთგვარ ოპერაციის სახეს ატარებს.

ამ დროს ავტორს ავადმყოფი გადაყავს ძველ განცდებში და ამნაირად ხელახალი რეპროდუქციული განცდით ავადმყოფს აცლის ფსიქიურ ტრავმას; მხოლოდ შემდეგ ახდენს ავადმყოფებზედ ფსიქიურ ზეგავლენას, შთაგონებას, რომლითაც იგი არბილებს, ასწორებს, კორექციას უკეთებს ავადმყოფის ფსიქოფიზიოლოგიურ ნიადაგის ბუნებრივ სუსტ მხარეებს.

მეოცე საუკუნე, ჩვენი ხანა, ნერვიული დაძაბულობის პერიოდია. გადატანილი ომები, ეკონომიური გაჭირვებანი და ცხოვრების მექანიზაცია ასუსტებს მოქალაქეთა ფსიქიურ გამძლეობას, რის ნიადაგზედაც ყველა სოციალური ფენები იძლევიან საკმაო რიცხვს ფსიქონევროტიკებისას.

მოქალაქეთა ყურადღება აქეთ უნდა იყოს მიპყრობილი. ფსიქიური და ნერვიული სიჯანსაღე ორგანიულ ჯანმრთელობასთან ერთად საწინდარია ყოველგვარ დაბრკოლების გადალახვისა.

უნდა გვახსოვდეს, რომ დროული ზომებით ადვილად შეიძლება მოვსპოთ ყოველგვარი ავადმყოფობა.

ორდინატორი ა. ზურაბიშვილი.

---

*) პროფესორ ასათიანის გაგება მეცნიერულად ღრმა მნიშვნელოვანია ფსიქო-ნევროლოგიაში. როგორც ჩვენ ვიცით, პროფ. ასათიანი ახლა ამზადებს კაპიტალურ შრომას ამ უდიდეს საკითხის ირგვლივ.

ა. ზ.

საჰაერო გიგანტი



ლითონის აეროპლანების ცნობილი კონსტრუქტორი იუნკერსი თავის ქარხნებში ამთავრებს ახალი უზარმაზარი აეროპლანის (IO 1000) აგებას. აეროპლანი წარმოადგენს მფრინავ ფრთას, რომლის სიგრძე უდრის 240 ფუტს (34 საჟ. და 2 ფუტს). განი—4-5 საჟენს, სისქე—1 საჟ. 2 ფუტს. ფრთის შიგნით თავისუფლად შეიძლება დგომა. ფრთის შუა ნაწილი უჭირავს ოთახებს მგზავრებისათვის, თამბაქოს მოსაწევ ოთახს, სამკითხველოს; სამზარეულოს და სხ. ფრთის ქვეშ მიმაგრებულ ორნავში მოწყობილია სასადილო ოთახები, თითეული ოთახი იტევს 36 მგზავრს. თითეულ ნავს აქვს ორი წყვილი მოძრავი ბორბალი. ამრიგად აეროპლანს შეუძლია აფრენა და დაშვება, როგორც წყალზე, ისე ხმელეთზე. აეროპლანის ზოგიერთი ოთახები უკვე მოწყობილია და წარმოადგენენ მდიდრულად მორთულ და ყველა საჭირო ავეჯით და საგნებით მომარაგებულ საცხოვრებელ ბინას. აეროპლანზე დადგმული იქნება 4 (თითო) ათასძალიანი მოტორი. აეროპლანი სრული დატვირთვით აიწონის 3.000 ფუტს. საათში შესძლებს 200 კილომეტრის გავლას. აეროპლანის საცდელი გაფრენა დანიშნულია მიმდინარე წლის შემოდგომისათვის.

საზღვარი სახლების სიმაღლისათვის

დეპეშებმა მოიტანეს ცნობა, რომ ნიუ-იორკში საბოლოოდ გადაწყდა 110 სართულიანი სახლის აგება. ლაპარაკია ე. წ. „ძმ. ლარკინების კოშკზე“, უზარმაზარ შენობაზე, რომელშიც მოთავსებული იქნება 30.000 მცხოვრები—ბათომის მთელი მოსახლეობა, ამ შენობის სიმაღლე იქნება 370 მეტრი. ეს სახლი არა თუ გადააჭარბებს სიმაღლით (მთელი 130 მეტრით) დღემდი არსებულ ყველაზე მაღალ სახლს, არამედ 70 მეტრით მაღალი იქნება ვიდრე ეიფელის კოშკი. მუშაობა „ლარკინის კოშკის“ ასაგებათ ახალდაწყებული იყო, როცა მოვიდა ახალი ცნობა, რომ ნიუ-იორკში განზრახულია 610 მეტრის სიმაღლის (ნახევარ ვერსზე მეტი) მქონე შენობის აგება.

ამ ცნობებთან დაკავშირებით ინტერეს მოკლებული არ იქნება მსოფლიოში არსებულ ყველაზე მაღალ შენობების სიმაღლის გაცნობა.

ხეოპსის ცნობილი პირამიდის სიმაღლე უდრის 150 მეტრს; ალექსანდრიის (ეგვიპტე) ლეგენდარული შუქურა, გადმოცემების მიხედვით 1.700 წლის წინათ აგებული რომაელების მიერ, 170 მეტრზე იყო აღმართული; მასზე ცოტა მაღალია ვაშინგტონის ობელისკი; კელნის საკრებულო ტაძრის ორივე გუმბათის სიმაღლე არ აღემატება 160 მეტრს; ისაკის ტაძრის სიმაღლე (ლენინგრადში) უდრის 100 მეტრს; ყველაზე მაღალი სახლის „ვულვორტ-ბილდინგ“ ის (ნიუ-იორკში) სიმაღლე უდრის 240 მეტრს; „წიგნის სახლი“, რომელიც დეტროიტში (ამერიკა) შენდება, იქნება 265 მეტრის სიმაღლის მაგრამ ყველა ეს შენობები უფრო დაბალია, ვიდრე ეიფელის კოშკი პარიზში, რომლის სიმაღლე უდრის 300 მეტრს, ან სიგრძე უდიდეს გემ „მაჟესტიკისა“ (290 მეტრი).



უმაღლეს ნაშენობათა შედარებითი სიდიდე: თავისუფლების ძეგლი (ამერიკა). კელნის სობორო (გერმანია), ვაშინგტონის ობელისკი (ამერიკა), ვულვორტის ფირმის შენობა (ამერიკა), გემი „მაჟესტიკ“, ეიფელის კოშკი, ლარკინის კოშკი (ამერიკა), 610 მეტრის სიმაღლის მქონე სახლი, რომლის აგება განზრახულია ნიუ-ორკში და ისაკის საკრებულო ტაძარი ლენინგრადში.

ამრიგად ნიუ-იორკში ასაგებად განზრახული შენობა უკან მოიტოვებს მსოფლიოში არსებულ უდიდესი ნაშენობის—ეიფელის კოშკის სიმაღლეს.

ბუნებრივად ისმება კითხვა—როგორია საზღვარი შენობების სიმაღლისათვის. ასეთი საზღვარი არსებობს. მას დებს სიმაგრე და გამძლეობა იმ მასალის, რომელიც შენობის საძირკველათ იხმარება. უმაგრესი გრანიტისათვის დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 14 კილოგრამს კვ. სანტიმეტრზე. ეს შესაძლებლად ხდის გამოანგარიშებულ იქნეს საზღვრითი სიმაღლე შენობის, რომელსაც აგებენ ასეთ საძირკველზე თანამედროვე მასალებით. ირკვევა, რომ რკინა-ტინობის სახლ-კოშკის სიმაღლე არ შეიძლება აღემატებოდეს 600 მეტრს (160 სართულს). ეიფელის კოშკზე ორჯერ მაღალი შენობა—აი, საზღვარი შენობების სიმაღლისათვის იმ დრომდი, სანამ ნაპოვნი არ იქნება რკინა-ტინობზე მსუბუქი მაგარი საამშენებლო მასალა.

არქეოლოგია

ფარაონ ხეოპსის დედის სარკოფაგი

გიზეხში (ზემო-ეგვიპტე), პირამიდების ახლო გარვარდის უნივერსიტეტის (შეერთებულ შტატებში) ექსპედიციამ აღმოაჩინა ცნობილი პირამიდის (ხეოპსის პირამიდა) აღმშენებლის ფარაონ ხეოპსის დედის სარკოფაგი. ეს სარკოფაგი ყველაზე უძველესია: იგი არსებობს 5.000 წ. ითვლის. შესავალი აკლდამაში, რომელიც გაკეთებულია კლდეში და მიდის 100 ფუტის სიღრმეზე, მეტად მოხერხებულად იყო დამალული. მუმია სარკოფაგში არ აღმოჩნდა, როგორც ჩანს დედოფლის მუმია უნდა იმყოფებოდეს ერთ-ერთ მეზობლად მდებარე, იმავე კლდეში გამოქვაბულ შენობაში, რომელიც ჯერ ნაპოვნი არ არის. დედოფალი პირველად დაასაფლავა ხეოპსის მამამ დაშურში, პირამიდების ახლო. ხეოპსის მეფობის დროს აკლდამა, რომელშიც დიდძალი განძეულობა იყო შენახული, გაძარცულ იქნა; რათა მომავალში დაეცვა დედის ნეშთი ამგვარი ამბების განმეორებისგან; ხეოპსმა გადაიტანა იგი საიდუმლოთ დაცულ შენობაში, სადაც ახლა სარკოფაგი იპოვეს. ფიქრობენ. რომ ხეოპსმა მომავალი ქურდობისათვის გზის ასაბნევათ, არ მოათავსა ნეშტი სარკოფაგში და გადამალა იგი სხვა შენობაში.

ახალი ელემენტი „რენიუმი“

გერმანელმა ქიმიკოსებმა ვალტერმა და ნოდაკმა, რომლებმაც ამ რამოდენიმე ხნის წინათ აღმოაჩინეს ახალი ელემენტი, რომელსაც მათ „რენიუმი“ უწოდეს, მოახერხეს ორი მილიგრამი წმინდა „რენიუმის“ მიღება. ეს ამოცანა არც ისე ადვილი გადასაჭრელი აღმოჩნდა, რადგან „რენიუმი“ განირჩევა დიდი ქიმიური აქტივობით და ნათესაობით სხვა ელემენტებთან. ასე მაგალითად „რენიუმი“ მოთავსებული წმინდა მჟავბადის ატმოსფეროში, დაუყონებლივ ინთება. „რენიუმი“ წარმოადგენს შავი ფერის განსაკუთრებულ ლითონის ფხვნილს, რომელსაც დნობის მაღალი ტემპერატურა აქვს.

ქონდრის კაცები

აფრიკის ქონდრის კაცების ტომების შესასწავლათ გაგზავნილმა ექსპედიციამ შეისწავლა ბელგიის კონგოში მცხოვრები კარლიკები (ქონდრის კაცები). ამ ქონდრის-კაცების ტომის ყველაზე მაღალი წარმომადგენელის სიმაღლე არ აღემატება 30 სანტიმეტრს. მათი კანის ფერი ზეთისხილისფერია. მათ საკმაოდ განვითარებული კუნთები აქვთ და თავის სიმაღლესთან შედარებით ღონიერიც არიან. ცხოვრობენ ისინი ულრან ტყეებში, ხის ტოტებიდან გაკეთებულ დროებით ქოხებში. ცხოვრობენ განცალკევებულად, არ შედიან სხვა ტომების სოფლებში. გადასაცვლელად დანიშნული ნანადირევი და საოჯახო ნივთები მათ მიაქვთ ტყის ნაპირას, შემდეგ უკან ბრუნდებიან. ცოტა ხნის შემდეგ მათ იმავე ადგილას ხვდებათ სამაგიერო პროდუქტები. ყველა ქონდრის კაცების ტომებს ახასიათებს ძლიერი ამტანობა: ისინი არ ემორჩილებიან არავითარ ადმინისტრატიულ კონტროლს, თავდადებით იცავენ თავიანთ დამოუკიდებლობას და თავისებურობას.



ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი ქონდრის კაცებთან

მატყლი წიწვიდან

გერმანელი ქიმიკოსები დიდი ხანია, ეძებენ ისეთ იაფ მასალას, რომელსაც მატყლის მაგივრობა შეეძლოს გასწიოს. უკანასკნელ ხანებში მათ ყურადღება მიაქციეს წიწვიან ხეებს.

ამჟამად გერმანელმა ქიმიკოსებმა შეიმუშავეს მთელი რიგი ქიმიური პროცესები, რომელთა შემდეგ წიწვიანი ხეების ნემსისებური ფოთოლი-წიწვი თავისუფლდება ფისიდან, რომელსაც ის შეიცავს და თვით წიწვი იშლება წვრილ, მაგრამ მაგარ ქსოვილებათ, რომელიც თავისი თვისებებით ძლიერ წააგავს მატყლს.

ფისი, მიღებული, როგორც დამატებითი პროდუქტი, გადამუშავების შემდეგ იქცევა მაღალი თბილების მქონე სათბობ მასალათ.

„ლარკინის კოშკი“



370 მეტრიანი შენობა, რომლის აგება ჩქარა იქნება დასრულებული ნიუ-იორკში

სურებ-ჩოხატაურის გზა

ილია ბარამიძის გამოწვევის გამო ჩოხატაურ-სურების გზის გასაყვანად დაწყებულ მუშაობის სასარგებლოდ შემომაქვს 5 მანეთი და ვიწვევ თბილისიდან შემდეგ ამხანაგებს: ლილი ორახელაშვილს გიგინეიშვილისა, მანია კალანდაძეს, ხარიტონ თევზაძეს, კორია ჩიჩუას, ტოგო შარაშიძეს, თეო აბაშიძე ცინცაძისა, დანიელ ცინცაძეს; ჩოხატაურიდან—ექიმ კოკოლა ერმილეს ძე თაყაიშვილს; ამასთან ერთად დამატებით შემომაქვს 50 კაპეიკი და ვიწვევ: ლილი გრიშა ულენტის ასულს, გულჯანა და ლევან ჯაყელებს, ქეთინო ულენტს და ფუშუტი ულენტს.

მადლენა თენგიზის ასული ულენტი.

ამხ. ქძიეშვილის გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი სურებ-ჩოხატაურის გზის გასაყვანად და ვიწვევ შემდეგ ამხანგებს: სანდრო კობალაძეს, ნოე ზამბახიძეს, სოლომონ თოხაძეს, შიო დოლიძეს, მიხაკო ელიაძეს, პოლიკარპე დოლიძეს, ლიძეს, ილიკო დოლიძეს (ხარიტონის ძეს), (ჩოხატაურიდან), ესე ჩიგოგიძეს, ბესარიონ ს. დოლიძეს, სიმონ ქარცივაძეს.

თეოფილე ჩიჩუა.

—:—

მელიტონ ივანეს ძე რამიშვილის გამოწვევის თანახმად შემომაქვს 10 მანეთი სურებ-ჩოხატაურის გზის გაყვანის [illegible] და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ მოქალაქეებს: თბილისიდან ექიმ დავით მგელაძეს, აპოლონ ურუშაძეს, ვლადიმერ თოხაძეს, ილია მიხეილის ძე შარაშიძეს, ოლღა ნესტორის ასულს ხვედელიძისას, ივანე გიორგის ძე დუმბაძეს, მიხეილ ალექსანდრეს ძე საბაშვილს, სანდრო ფილ. კობალაძეს, მიხეილ ნესტორ. ელიაძეს, მიხეილ წიწვიაძეს, გიორგი ქუჩიშვილს; ბათომიდან—გერმანე ფარნაოზის ძე ურუშაძეს.

ჟაისარ (იესე) კაც. რამიშვილი.

—:—

ო. ბარამიძის და ვერ. ლომთათიძის გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: პეტრე მხეიძეს, სევერიან არობელიძეს, აკაკი დუმბაძეს, ვალიკო პოლშინს, ექიმ თედორე ცხომელიძეს, ლადიკო მალაზონიას, სამსონ ხურციძეს, ეტიფანე თაყაიშვილს, ოლია საბაშვილს, მიტო სიმგულიდს, ლენა სიმგულიდს და თათითო ნიკოლაშვილს.

კაკო ულენტი.

ამხ. ალ. ბობოხიძის გამოწვევით სურებ-ჩოხატაურის გზისათვის შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგს ამხანაგებს: კოწია სულაქველიძეს, ბიძინა რამიშვილს, ნ. იმნაიშვილს, ლენტორ რუხაძეს, არჩილ რუხაძეს, პ. მეგრელიშვილს, სამსონ გეგენავას, გიორგი სულუხიას, ალექსანდრე ცინცაძეს და პროკოფი ულენტს.

ილია ბარამიძე.

ხელოვნება

წლიური საზეიმო აქტები კონსერვატორიასა და მუსიკალურ ტეხნიკუმებში

წლიური საზეიმო აქტით დამთავრდა აკადემიური წელი კონსერვატორიასა და მუსიკალურ ტეხნიკუმებში. კონსერვატორიაში ვრცელი ანგარიში მისი მუშაობის და მიღწევების შესახებ გააკეთა რექტორმა **დ. არაყიშვილმა.** გასულ აკადემიური წლის განმავლობაში კონსერვატორიაში სხვადასხვა ფაკულტეტზე სწავლობდა 316 სტუდენტი. წლის ბოლომდე კონსერვატორიას შერჩა 298 სტუდენტი. სტუდენტებს შორის ყველაზე მეტი არიან ქართველები (117 კაცი), შემდეგ—სომხები (78 კაცი), რუსები (36 კაცი), ებრაელები (34), და სხვა ეროვნების 11. სტუდენტების მეტი ნაწილი (117 კაცი) სწავლობდა ფორტეპიანოს დაკვრას, მეორე ადგილი უჭირავს ვოკალურ ფაკულტეტებს (90 კ.), შემდეგ ინსტრუმენტალურს (65 კ.), და დასასრულ , თეორეტიულს (22 კ.). სტუდენტების მთავარ კონტინგენტს წარმოადგენენ ინტელიგენციის წრიდან გამოსული ახალგაზრდები, შემდეგ გლეხების შვილები (42 კ.) და მუშები (38 კ). მოხსენებიდან გამოირკვა, კონსერვატორიის გეგმაშეწონილი მუშაობა. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე კონსერვატორიის მუშაობას თბილისსა და პროვინციაში (ბეტჰოვენის კვირეულის ჩატარება თბილისში, და კონცერტები თბილისში ქუთაისში, ბათომში, და სამტრედიაში), რაც ფრიად დამაკმაყოფილებლად ჩაითვლება. მოხსენების შემდეგ დაიწყო მუსიკალური განყოფილების საანგარიშო წარმოდგენა, რომელშიაც კურსდამთავრებულებიდან მონაწილეობა მიიღეს: კირილოვის კლასიდან **გოგორიშვილმა,** კირილოვის კლასი (მიიღო კონსერვატორიის დამთავრების მოწმობა), **ბერძენიშვილმა, ბეპლემ** (მიიღეს მხატვარ შემსრულებლების დიპლომი), **მირზაბეკოვამ, ჯანაშიამ** (მიიღეს დამთავრების მოწმობა. ოთხივე სტუდენტი არის **მიხალსკაიას** კლასიდან. პროფესორ **შულგინას** კლასი დაამთავრეს: **ცალკინამ, აივაზოვამ,** (მიიღეს მხატვარ შემსრულებლების დიპლომი და მოწმობა). განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა **დ. ბადრიძემ,** რომელმაც დაამთავრა პროფ. **ვრონსკის** კლასი და მიიღო სამისო მოწმობა. ამავე პროფესორის კლასი დაამთავრა **ნავროზაშვილმა.** ფორტეპიანოს კლასიდან აქტში მონაწილეობა მიიღეს: **ეგიაზაროვამ, მაზმანოვამ, ტერ-მინასოვამ,** რომელთაც დაამთავრეს პროფ. **ტერ-სტეპანოვას** კლასი და მიიღეს მხატვარ შემსრულებლების დიპლომი. **შიუკაშვილმა** პროფ. **თულაშვილის** კლასიდან, მიიღო მხატვარ შემსრულებლის დიპლომი. საზეიმო აქტში შესრულებული იქნა **ჩიკვაძის, გრიქუროვას და ხაჩიტიანის** ნაწარმოებები, რომელთაც დაამთავრეს თეორეტიული ფაკულტეტი და მიიღეს მხატვარ - პედაგოგის დიპლომი. ამ ავტორების ნაწარმოებებს ასრულებდენ **როგოვსკაია** და **ტერიაშვილი** პროფ. **მინიარის** ვიოლინჩელის კლასი დაამთავრა **ხიზანიშვილმა,** რომელმაც მიიღო მხატვარ შემსრულებლის დიპლომი.

ვირსალიძის კლასი დაამთავრა **ხაცკევიჩმა** (მიიღო მხატვარ შემსრულებლის დიპლომი). დანარჩენ კურსდამთავრებულთა შესახებ უკვე გვქონდა ცნობა. გაიმართა აგრეთვე ორივე მუსიკალური ტეხნიკუმისა და ჰაიარტუნის საზეიმო აქტები, რომელიც მოწმობენ, რომ ამ სასწავლებლებში სწარმოებდა გეგმაშეწონილი პედაგოგიური მუშაობა.

პ. ბ.

საორკესტრო მუსიკოსთა კოლექტივის მესამე სიმფონიური კონცერტი

საკონცერტო პროგრამა მიძღვნილი იყო ჩაიკოვსკის შემოქმედებისადმი. ორკესტრმა **კარდაშევის** ხელმძღვანელობით, მხატვრულად ვერ შესრულა ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონია.

სიმფონიის პირველი და მეორე ნაწილი უფრო დასრულებულია როგორც მელოდიური შინაარსით, ისე სიმდიდრით და საორკესტრო ფერების სხვადასხვაობით. კარდაშევი ვერ იძლევა ნათელ კოლორატურულ - მელოდიურ სურათს, ვერ იძლევა დინამიკას (ნიუანსები) და ფრაზიროვკას. ორკესტრის ხმა არ არის შედუღებული, არეულ - დარეულია, განსაკუთრებით პირველ ნაწილში, შედარებით კარგია მეოთხე ნაწილის ფინალი: შექსპირის დრამის „რომეო და იულიას“ უვერტიურა (ჩაიკოვსკის ერთი საუკეთესო ნაწარმოები). უფრო მხატვრულად უნდა შესრულდეს. რასაკვირველია, გამოჩენილმა მუსიკოსმა, კარდაშევმა, მუსიკალურად შესრულა უვერტიურა, მაგრამ საორკესტრო ფერებს უფრო მეტი მკაფიობა უნდა მიეცეს და გამოიყოს თვითეული თემა. მეტი ტემპერამენტით და ხმოვანებით უნდა შესრულდეს ორი იტალიური გვარეულობის მონტეკის და კაპულეტის ბრძოლა, (რომელიც საფუძვლად აქვს დადებული დრამას). ეს თემა გამორჩეულ უნდა იქნას უვერტიურის მეორე ძირითად თემისაგან: რომეოსი და იულიას სიყვარულის ჰიმნი. აქ კარგია ხმა, მშვენიერია მელოდია.

კონცერტზე გამოვიდა ვიოლინოზე დამკვრელი ლეკკერი, რომელსაც დასრულებული აქვს პრაღის კონსერვატორია. ლეკკერმა გამოიჩინა მშვენიერი ტეხნიკა და ლამაზი ტონი.

საერთოდ ჩაიკოვსკის კონცერტების შესრულებაში სჭარბობს დილეტანტიზმი. შესრულებას არა აქვს აკადემიური სახე. **მუსიკოსი.**

ხელოვნების ქრონიკა

კარლო კალაძის „რჩეული ლექსები“

რედაქციამ მიიღო კარლო კალაძის რჩეული ლექსები. წიგნი შეიცავს 144 გვ. და ღირს 1 მ. 40 კ. გამოცემულია სუფთად და ლამაზად. გამოცემა სახელგამის.

— **კომკავშირელ მწერალთა წრეში.** ორშაბათს, 4 ივლისს, საღ. 6 საათზე, კომკავშირელ მწერალთა წრეში შესდგება უკანასკნელი ლიტ. კრება. მოხსენებას გააკეთებს ამხ. **დ. რონდელი.** თემაზე: **„პროლეტარულ ლიტერატურის განვითარების გზები“.** კომკავშირელ მწერალთა წრის მუშაობა ამ კრების შემდეგ დროებით შეწყდება. მუშაობის განახლების შესახებ გამოქვეყნებული იქნება ჩვენს გაზეთში.

— **პლატონ ქიქოძის** კრიტიკული წერილების კრებული **„ლიტერატურული საქართველო“** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა გასაყიდათ. წიგნს სცემს სახელგამი.

— **ჟურნ. „ტეხნიკა და ცხოვრება“.** გამოვიდა ჟურ. „ტეხნიკა და ცხოვრების“ მორიგი ნომერი შემდეგი შინაარსით: რედაქციისაგან, ინჟ. ე. ალშიბაია: „ელექტრობის არსი“, ინჟ. ი. მჭედლიშვილი „ენგურის, კოდორის, ბზიბის და სხვა მდინარეების ჰიდროელიური ენერგიის გამოყენება“, ინჟ. ა. ლემანი „ჩვენი ჰიდრო-ელსადგურების დატვირთვის საკითხისათვის“, ინჟ. ა. გოგავა „შავი-ქვის მრეწველობა“, ინჟ. მ. ჯაში „სათბობი მასალის მარაგი“, ინჟ. ზ. ვოლოხვა „ოთხ და ორ-ტაქტიანი დიზელები მარტივი და ორმაგი მოქმედების, როგორც დიდი სიმძლავრის ძრავები“. ინჟ. ნ. გვარამიძე „თაღის მუშაობის გამასწორება თანახმად პროფ. ფრეისინის საშუალებისა“, ინჟ.-ქიმიკოსი „ქიმია ადამიანის სამსახურში“, ა. კაკაბაძე „მცენარეთა კვების ძირითადი მინერალური ნივთიერებანი“, ინჟ. ვ. კაკაბაძე „ღვინის, სპირტის და სხვ. მონათესავე წარმოებანი“, სპ. ჩომახიძე „აბრეშუმის ნახვევი და მისი თვისებანი“, შ. ქანიშვილი „მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის საკითხი ჩვენში“, ინჟ. პ. მგელაძე „Coolige-ის ახალი უჰაერო ელექტრო მილი“, დოც. ე. შილდი „სიცოცხლის ტეხნიკა“, ტეხნიკის ინფორმაცია, ადგილობრივი ინფორმაცია, პროფესიონალური ცხოვრება, ბიბლიოგრაფია, ტერმინოლოგია.

აჭარისტანის შესწავლა

გეოლოგიურათ და ბოტანიკურათ

აჭარისტანის სამთო კლუბი არსებობს 1924 წლიდან. ამ ხნის განმავლობაში კლუბს მოუწყვია 60-ზე მეტი შორეული ექსკურსია აჭარისტანის გამოსაკვლევად.

უკანასკნელი წლის განმავლობაში კლუბს შეუკრეფნია უხვი გეოლოგიური და ბოტანიკური მასალა. მასალებს შორის არის ფრიად საინტერესო ხის გაქვავებულობის კოლექცია, რომლებზედაც აღბეჭდილია ფოთლები და სხვა. გაქვავებულობათა და აგრეთვე მდიდარი მინერალური კოლექცია შეგროვილია გოდერძის უღელტეხილზე. კლუბის მიერ დეტალურად შესწავლილია სხალტის ხეობა და მისი ჩამქრალი ვულკანები. ბევრგან კლუბის მიერ მოწყობილ ექსპედიციისაგან აღმოჩენილია მინერალური წყაროები.

ბოტანიკურ ექსპედიციის მიერ მცირე აჭარის ქედის მთებში აღმოჩენილია მეტად იშვიათი მცენარე: „ორფანიდეზია გაულტორიოიდის ბოისს“, რომელიც ხარობს პონტიის ქედის ფერდობებზე და აგრეთვე „როდოდენდრა უნგერნ“-ის და „ბოფულა მედედიევის“ იშვიათი ჯიშები. ამ მცენარეთა მდიდარი კოლლექციები პრაქტიკული ბოტანიკის საკომისიო ინსტიტუტის დავალებით გადაეცა ბათომის ბოტანიკურ ბაღსა და ინსტიტუტის განყოფილებას სოხუმში. ტირალის მთის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე ექსპედიციის მიერ აღმოჩენილია იშვიათი უთხმელის ჭალა, სადაც მოიპოვება რამოდენიმე საუკუნის ჰასაკის ეკზემპლიარები. კლუბის მიერ აღძრულია შუამდგომლობა ამ ჭალების დაცვის შესახებ.

მიმდინარე წლის ივლისისათვის კლუბი აწყობს მთელ რიგ ექსკურსიებს აჭარისტანის ზღვის ნაპირების შესასწავლად მცირე აჭარის ქედის სამხრეთ ნაწილში და დიდი აჭარის ქედის დასავლეთ ნაწილში.

ამავე დროს გაგრძელდება ზემო აჭარის შესწავლა და მასალების შეგროვება.

მიმდინარე წელს კლუბის საბჭო საექსკურსიო ბიუროსთან ერთად აწყობს ტირალის მთის მწვერვალზე (1300 მეტრი) თავშესაფარს ექსკურსანტებისათვის.

ახალი ნავთსადგური

ბაქოში

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მიიღო რა მხედველობაში ბაქოს ნავთსადგურის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა, როგორც ამიერ-კავკასიისა, ისე მთელი საბჭოთა კავშირისათვის, და აგრეთვე ის გარემოება, რომ ნავთსადგურის ოპერაციები მომავლში შეიძლება გაფართოვდეს, დაადგინა აუცილებლად იქნეს ცნობილი ბაქოს ახალი ნავთსადგურის აგების დაწყება არა უგვიანეს 1927 წლის პირველი ოქტომბრისა.

სათანადო საკავშირო ორგანოების წინაშე აღძრული იქნა შუამდგომლობა, რათა გადადებული იქნეს ამისათვის საჭირო თანხები. ამათანავე 1927—28 წელში საჭიროა თანხები 750000 მან. რაოდენობით.

აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს დაევალა გამოჰყოს ახალი ნავთსადგურის აგებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთი.

შირაქის ნავთი

საგამოკვლევო სამუშაოების დაწყება

ს. მ. უ. ს. სამთო სამმართველოში მიღებული ცნობებით, ახლო ხანში დაიწყება შირაქის ნავთიანი ადგილების გამოკვლევა. გამოკვლევას შეუდგება იტალო-ბელგიის შერეული საზოგადოება, რომლის ინიციატივით საცდელი ბურღის საწარმოებლად ადგილობრივ მოზიდულია საჭირო მოწყობილობანი და მანქანები.

ნავთიანი ადგილების გამოკვლევას, თანახმად საკონცესიო საზოგადოებასთან დადებული ხელშეკრულებისა, მეთვალყურეობას გაუწევს ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილება.

ჭა-ბურღილის ამოსაღები კოშკის დასადგმელი ადგილი უკვე არჩეულია.

ადგილობრივი მეურნეობა

თბ. აღმასკომმა დაამტკიცა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი საკონტროლო ციფრები მომავალ 27-28 საოპერაციო წელში ადგილობრივ მეურნეობის გასაფართოებლად. საკონტროლო ციფრების მიხედვით მომავალ წელში თბილისის ადგილობრივ მეურნეობაზე დაიხარჯება 11.632.000 მანეთი. ეს თანხა მოხმარდება: ძველი წყალსადენის შეკეთებას და ზაჰესის ელექტრო-ენერგიაზე გადასვლას, წყალსადენის ახალი მაგისტრალების გაყვანას და ახალი წყალსადენის გამოყვანის საქმეს, ტრამვაის, აბანოების, საბინაო მშენებლობის, ქალაქის და მაზრის კეთილმოწყობის საქმეს, სკოლებს და საავადმყოფოებს, ლუდის და ავეჯეულობის ქარხნებს, ძველი წარმოების გადაკეთებას და ახლების დაწყებას და სხვ.

ბიბლიოგრაფია

„კოოპერატიული წრეები“ ცეკავშ. გამოცემა, გვერდი 64. თბილისი 1927 წ. ფასი 50 კაპ.

კოოპერატიული მეურნეობის იმ მნიშვნელობის გამო, რომელსაც იგი იჭერს ჩვენი სახალხო მეურნეობის სისტემაში და სამეურნეო ორგანოების პოლიტიკის მეოხებით, რომელიც შემართულია კოოპერატიული წარმოებისათვის ყოველ მხრივ ხელის შეწყობისა და აღორძინებისაკენ, საჭირო ხდება მეურნეობის ამ დარგისათვის საგანგებო ყურადღების მიქცევა, რათა პოპულიარული გახდეს ფართე მასსისათვის კოოპერატიული საქმიანობის მრავალგვარი მნიშვნელობა.

ამ მიზნით სასწავლებლებში სპეციალური სწავლების საგნად არის შემოღებული კოოპერაციის სწავლება, იმართება მოკლევადიანი კურსები, იკითხება ლექციები, საუბრები და უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით მოზარდი მოსახლეობისათვის აარსებენ საგანგებო კოოპერატიულ წრეებს. მხოლოდ ასეთი სახის წრეებს, დასახულ ამოცანების შესრულება რომ გაუადვილდეს, ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებასთან არსებულ სარედაქციო კოლეგიას შეუდგენია შესაფერი სახელმძღვანელო.

წიგნი პრაქტიკული სახელმძღვანელოა აღსანიშნულ წრეებისათვის. იგი იყოფა ორ ნაწილად. პირველ ნაწილში დაწვრილებით გარკვეულია წრის ორგანიზაცია და მისი მუშაობის მეთოდები. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს საკითხი. „საგანმანათლებლო მეცადინეობისა წრეში“, სადაც განმარტებულია წიგნის კითხვა; წიგნის ეს ადგილი გამოადგება ყველას საერთოდ წიგნის კითხვის წესების შესასწავლად და დამოუკიდებელი მუშაობის შესაჩვევად.

წიგნის მეორე ნაწილში მოთავსებულია წრეების მონაწილეთათვის დამოუკიდებლად სამეცადინო მასალები, თემები კოოპერაციაზე, გეგმები, თეზისები და კონსპექტები. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს აქ სანიმუშოთ მოცემულ ბალანსის განმარტება. საერთოდ წიგნი მეტად პოპულიარულად არის შედგენილი. შემდგენელთ მხედველობაში ჰყავთ ჩვენი მუშები და გლეხობა. ყოველ გეგმას თან ახლავს შესაფერი ლიტერატურის მითითება.

ეს წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს როგორც კოოპერატიულ წრეებს, რომლისთვისაც იგი უშუალოდ არის დანიშნული, ისე ყველა მათ, ვისაც პირველი წყაროების საშუალებით კოოპერაციის მრავალი ფორმის და მისი ამოცანების გაცნობა აინტერესებს.

ვ. მ.

ნარევი

როგორ დაიღუპა ლორდი კიტჩენერი

რა არის „ინტელიჯენს სერვის“

არსებობს ინგლისში ერთი მეტად მძლავრი ორგანიზაცია—ნამდვილი სახელმწიფო სახელმწიფოში—რომელსაც ჩვენი მკითხველები სრულიად არ იცნობენ. ეს არის—„ინტელიჯენს სერვის“—„ჯაშუშების სამინისტრო“, როგორც მას ინგლისში უწოდებენ, ანუ „ოხრანკა“. ეს ორგანიზაცია ინგლისის სასარგებლოდ ეწევა ჯაშუშურ მუშაობას მსოფლიო მასშტაბით. ეს არის ის ორგანიზაცია, სადაც მზადდება ყველა ყალბი დოკუმენტები, დაწყებული „ზინოვიევის წერილით“ და გათავებული „პრავდა“-ს ყალბი ნომრებით.

საიდუმლოებით არის მოცული „ინტელიჯენს სერვის“-ის მთელი მოღვაწეობა. მისი უფროსის სახელი იცის მხოლოდ მეფემ და პრემიერ-მინისტრმა. უკანასკნელს ფიცი აქვს მიცემული, რომ „ინტელიჯენს სერვისის“ უფროსის სახელს არ გააცნობს არც თავის ამხანაგებს სამინისტროში.

წარსულ წელს ზაფხულში საფრანგეთში აღმოჩენილ იქნა ინგლისის ჯაშუშთა ორგანიზაცია, რომელიც მასალებს კრებდა საფრანგეთის შეიარაღებული ძალების შესახებ. „ძვირფას მოკავშირის“ ასეთმა არამეგობრულმა საქციელმა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია საფრანგეთში.

გავიდა რამდენიმე ხანი.

წარსული წლის დამლევს „ინტელიჯენს სერვის“იდან მოიპარეს დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ „ინტელიჯენს სერვისს“ მოეპოვება: ყალბი დოკუმენტების ფაბრიკა, საზოგადოებრივი აზრის დამმუშავებელი განყოფილება, რომ იქ ეწყობოდა აფეთქებანი და მკვლელობანი, რომ დეკონშირის ჯაშუშთა სკოლაში სარგებლობენ ყველაფრით,—დაწყებული რადიოთი და გათავებული შხამით, რომ „ინტელიჯენს სერვის“-ის აგენტები არიან გამოჩენილი კარისკაცები, მინისტრები, საზოგადო მოღვაწეები, ვაჭარ-მრეწველები და ფინანსისტები.

საფრანგეთში გამოვიდა საფრანგეთის „კონტრ-რაზვედკის ინსპექტორის **რობერტ ბუკარის** წიგნი, რომელიც შეიცავს „ინტელიჯენს სერვის“-ის ზოგიერთ საიდუმლოებათა გამომჟღავნებას. როგორც ჩანს, ამ წიგნში მოყვანილი საბუთები, ნასესხებია „ინტელიჯენს სერვის“-იდან შარშან გატაცებულ დოკუმენტებიდან სხვათა შორის წიგნი ნაწილობრივ ნათელს ფენს იმას, თუ

როგორ დაიღუპა ლორდ კიტჩენერი

ლორდი კიტჩენერი, ინგლისის ჯარების მთავარ-სარდალი მსოფლიო ომის დროს, იყო ერთად-ერთი ადამიანი, რომელსაც არ ჰქონდა და არც უნდოდა რაიმე კავშირი ჰქონებოდა ამ „ჯაშუშების სამინისტროსთან“—„ინტელიჯენს სერვის“-თან.

1915 წ. დამლევს „ინტელიჯენს სერვის“-ის გამოჩენილმა აგენტმა, ცნობილმა ჯაშუშებმა **სიდნეი რეილიმ,** რომელიც შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ინგლისის მოსკოველი წარმომადგენლების დავალებით, ჯაშუშურ ცნობებს აგროვებდა საბჭ. კავშირში, აცნობა ლონდონს მეფის არმიის მთელ რიგ გენერლების და სამხედრო მინისტრ სუხომლინოვის ღალატის შესახებ. სიდნეი რეილის მოხსენება ამის შესახებ ჰპოვეს „ინტელიჯენს სერვისში“, რომლის ერთმა აგენტმა, კიტჩენერის დაახლოვებულმა ოფიცერმა, ეს ამბავი საიდუმლოთ გააცნო მთავარ-სარდალს.

ცნობის მიღებისთანავე კიტჩენერი გაემგზავრა სასახლეში მეფესთან და უკანასკნელის თანხმობით გადასწყვიტა გამგზავრებულიყო რუსეთში, რომ გავლენა მოეხდინა ნიკოლოზ მეორეზე და მოეთხოვა არმიის გაწმენდა მოღალატეებისგან და ჯაშუშებისგან.

„ინტელიჯენს სერვისში“ გაიგეს ამის შესახებ და იქ ერთი განგაში ატყდა. კიტჩენერის წინააღმდეგ „ინტელიჯენს სერვისში“ დიდი ხანია ილესავდენ კბილს იმიტომ, რომ იგი უარს ამბობდა ბრმა იარაღი გამხდარიყო ჯაშუშების ორგანიზაციის ხელში. იყო კიდევ ერთი დიდი გავლენიანი ჯგუფი, რომელსაც არაფრათ ესიამოვნა კიტჩენერის მისია. ესენი იყვნენ ლონდონელი სპეკულიანტები—ფინანსისტები და მრეწველები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ომის გახანგრძლივებაში. კიტჩენერი კი, პეტერბურგში ჩასვლის შემდეგ, მათის აზრით უსათუოდ მოახერხებდა მეფის არმიის გაჯანსაღებას, რაც ხელს შეუწყობდა ომის ჩქარა დასრულებას. ეს კი ვერაფერი სასიხარულო ამბავი იყო ლონდონელი ბანკირებისა და მრეწველებისათვის.

კიტჩენერის მეგობრებმა იცოდენ „კონტრრაზვედკის“ მტრული დამოკიდებულება მთავარ-სარდლისადმი და ამიტომ ურჩევდენ მას ხელი აეღო ამ განზრახვაზე. მაგრამ კიტჩენერმა მტკიცედ გადასწყვიტა შეესრულებია თავისი მისია და ამ განზრახვით 5 ივნისს ავიდა კრეისერ „გამპშირზე“.

კრეისერი დიდი მანძილით არც კი იყო ნაპირს დაშორებული, რომ მოულოდნელად გაისმა საშინელი აფეთქების ხმა და „გამპშირი“ მთელი თავისი რაზმით ხუთ წუთში დაიძირა.

მეორე დღეს ინგლისის ფლოტის ადმირალი **ჯელიკო** დეპეშით ატყობინებდა მეფე გეორგს:

„ღრმა მწუხარებით გაუწყებთ, რომ გუშინ საღამოს რვა საათზე მისი უდიდებულესობის კრეისერი „გამპშირი“, რომელზეც იმყოფებოდა ლორდი კიტჩენერი თავისი შტაბით, ორკნეის კუნძულებიდან დასავლეთით დაეჯახა ნაღმს და დაიღუპა.

ჯელიკო“.

კრეისერებმა და ნაღმოსნებმა, რომლებიც „გამპშირს“ ახლო ახლოდან მრავალი ათეული კილომეტრის მანძილზე არ დაუტოვებიათ დაუთვალიერებელი ადგილი. მაგრამ წყალქვეშა ნავის ვერავითარი ნიშნები ვერ აღმოაჩინეს. გერმანიის არც ერთი წყალქვეშა ნავის უფროსს არ განუცხადებია, რომ მან დაღუპა გამპშირი.

რობერტ ბუკარი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ „ინტელიჯენს სერვის“-ის აგენტებმა „გამპშირზე“ დადგეს ჯოჯოხეთის მანქანა, რომ თავიდან მოეშორებინათ ურჩი გენერალი.

იურიდიული დახმარება

კავშირის წევრს (წიგნ. 3843) შალვა გენაძეს

პასუხი

ბინის ქირას გადაიხდით თქვენი ძირითადი ხელფასის მიხედვით, თანახმად საბინაო ტარიფისა, თითოეულ კვადრატიულ მეტრზე თოთხმეტი კაპეიკის რაოდენობით. ამაზე ზევით ბინის ქირას სახლის პატრონი ვეღარ მოგთხოვს და ვერც გამოგასახლებს იმის მომიზეზებით, რომ თქვენ არ გსურთ გადაიხადოთ ბინის ქირა ტარიფზე ზევით (იხ. სამოქალაქო სამართლის კოდექ. მუხ. 166).

სახელმწიფოს შეკვეთით ნარდად მუშაობისა გაყიდვა-მიწოდების (პოდრიადის) ხელშეკრულებათა შესახებ

მაზრის აღმასკომს

პასუხი

თანახმად საქართველოს ცაკის 1924 წ. 30 მაისის დადგენილება № 93-ისა, მუხ. 13 და 15-ისა, აღნიშნულ ხელშეკრულებებში მათი ბათილობის რიდით ცალკე მუხლებად იქნეს შეტანილი—პირობები—ა) პირგაუტეხელობისა (ნეუსტოიკა) ხელშეკრულების ფასის არა ნაკლებ ათი პროცენტის რაოდენობით და ბ) გირაოც—არა ნაკლებ ათი პროცენტისა იმავე ხელშეკრულების ფასისა.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 55

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 24 მუხ. შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა 2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების 2 მუხ. წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 24 მუხ: შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 24. ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილება განიხილავს საქმეს:

ა) ისეთი სარჩელის გამო, რომლის ფასი 1000 მან აღემატება;

ბ) ისეთი სარჩელის გამო, რომელიც აღძრულია სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის წინააღმდეგ იმ ზარალისათვის, რაც მიყენებულ იქნა უკანონო ან არა სწორი ადმინისტრატიული მოქმედებით, აგრეთვე უკანონოდ ან არა სისწორით ჩამორთმეული ან განსხვისებული ქონების დაბრუნებისათვის;

გ) ისეთი სარჩელის გამო, რაც აღძრულია მაზრის აღმასრულებელი კომიტეტისა ან სამაზრო ქალაქის საბჭოს (და არა მათ განყოფილებათა) წინააღმდეგ.

დ) ისეთი სარჩელის გამო, რაც გამომდინარეობს ამხანაგობის ხელშეკრულებიდან, გარდა იმ სარჩელისა—ფასით არა უმეტეს 100 მან. რაც გამომდინარეობს მარტივი ამხანაგობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობით ამხანაგობის ხელშეკრულებიდან;

ე) ისეთი სარჩელის გამო, რაც გამომდინარეობს საავტორო უფლებიდან, სამრეწველო რომ გამოგონების უფლებიდან, სასაქონლო და საფაბრიკო ნიშნის უფლებიდან, მოდელისა და ფირმის უფლებიდან.

სრ. საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. ივნისის 23.
თბილისი-სასახლე.

უზომო მწუხარებაში მყოფი მშობლები ვარვარა და იონა, ძმები გაბრიელ, შალვა და გრიგოლი ოჩიგავები, ბებია ელისაბედი, დეიდები: მარიამ ხაჩატუროვასი შვილით სონათი, ოლღა გველესიანი შვილით თამრიკოთი, ბიძა ბახვა ოჩიგავა ცოლშვილით აუწყებენ: ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ წაღვერში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი, ქიმიურ ტეხნიკუმის მე-2 კურსის მოწაფე

სერგო (სერიოჟა) იონას-ძე

ოჩიგავა

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. თბილისში, კვირას, 3 ივლისს, ნაშუადღევის 3 საათზე, გამოსვენება საკუთარ ბინიდან კოოპერაციის ქუჩა № 12. 3218

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ანიჩკა, შვილები—შოთა, თამარა და სერიოჟა დოლიძეები აცნობებენ ამხანაგებს, ნათესავებს და მეგობრებს, რომ 2 ივლისს დღით შაბათს, ნაშუადღევის პირველ საათზე, სოფელ კახურში გადახდილი იქნა სამოქალაქო პანაშვიდი, პირველის საყვარელის ქმრის და მეორენის ძვირფასი აღმზრდელი მამის

ვალოდია (ლადიკო) სილიბისტროს-ძე

დოლიძის

ტრაღიკულად დაღუპვიდან 40 დღის აღსანიშნავად. 3223

მწუხარებაში მყოფნი: ქმარი ვლადიმერი, შვილები: ანტონი, სონია, ნადია და გიორგი (ხუტური) აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს რომ ა. წ. 3 ივლისს, 6 ს., წმინდა ნინოს სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის ცოლისა და დანარჩენების საყვარელი დედის

ეფროსინე ნიკოლოზის ასულ

ქორქიას

გარდაცვალებიდან ერთი წლის აღსანიშნავად. 3219

ღრმად დამწუხრებულნი ლანჩხუთელი ამხანაგები ლადიმე ხურციძე, დათიკო ბალავაძე, მიხაკო მესხრიკაძე, გრიშა ხოფერია, ქრისტეფორე ებრალიძე, თეოფანე სიხარულიძე, ლავრენტი ხეცკო აცნობებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ [illegible] ივლისს, დღით შაბათს, ნაშუადღევის 1 საათზე, სოფელ კახურში გადახდილი იქნა სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას მეგობრის

ვალოდია (ლადიკო) სილიბისტროს-ძე

დოლიძის

ტრაღიკულად დაღუპვიდან ორმოცი დღის აღსანიშნავად. 3223

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ივლიტა ბერუჩაშვილისა, თემურაზ კოლოშვილის ასულ , კირილე ბიქტორი, იასონი, კონდრატი კოლოშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, ტრაღიკულად გარდაცვალებას, პირველს ქმრისა დანარჩენების სიძისა

გრიგოლი (გულა) დავითის-ძე

ბერუჩაშვილის

რომლის გამოსვენება და დაფლავება მოხდება 3 ივლისს, 4 საათზე, საავადმყოფოდან (ყოფ. ამმიანცის) ხოჯევანქის სასაფლაოზე. 3215

უდიდ მწუხარებაში მყოფნი დედა ელენტი, ცოლი თებრო, შვილები: ლია, თამარ და შალვა, ძმები: ვიქტორ და აკაკი დავითის-ძე მაცაბერიძეები ცოლშვილით და სერაფინა დავითის ასული ლორთქიფანიძისა ქმარ-შვილით, რძალი ოლღა რაჟდენის ასული შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 3 ივლისს, დღის 2 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე

გიორგი დავითს-ძე მაცაბერიძის

გარდაცვალებიდან ექვსი თვის შესრულების გამო. წირვა იქნება კალოუბნის ეკლესიაში, ხოლო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე 3206

ღრმა მწუხარებაში მყოფი შვილები: **ნოე, მელქისედეგ, მოსე** და **აკაკი შანიძეები** მათი ცოლშვილითურთ და **თეოფილე ლეჟავასი** მისი ქმარ-შვილითურთ აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათ ძვირფასი და დაუვიწყარი მამა

გაბრიელ შანიძე

დაკრძალვა სამშაბათ 5 ივლისს, სოფ. ნოღაში. (დ)

ეკატერინე ალექსანდრეს ასული კოპაძე, ანა ალექსანდრეს ასული კოტლუბაია, ექიმი პავლე ალექსანდრეს-ძე არდაზიანი, თამარა და კონსტანტინე ჩიხლაძეები, ქეთან არდაზიანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი დედის და ბებიის

ნინა სიმონის ასულის

არდაზიანის

გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან—საბჭოს ქუჩ. № 33, და დასაფლავება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე მოხდება კვირას 3 ივლისს. (ე)

მედსანშრომის
საზაფხულო
კლუბი
(ყოფ. ბაღი „სტელლა“)
აღმასკომის
(ყოფ. სოლოლაკის) ქ. 13

კვირას 3 ივლისს
სიმფონიური კონცერტი
1 შრომის კოლექტივის, მოსკოვის თეატრების
დირიჟორის **ა. კარდაშევის** ხელმძღვანელ.

პროგრამა: გრიგის, ლალოს, სვეიდსენის, კიუის ნაწარმოებებიდან და **ვიქტორ დოლიძის**—„ივერიადა“ (სიმფონიური ფანტაზია, დაწერილი ქართულ ხალხურ თემებზე). 1—1 3216.

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო
(არტოს ბაღში).

პროგრამის ზევით „ზაჰესის“ გახსნა.

0—1 ნ. 1388

არაჩვეულებრივი წარმატებით მიდის
მხატვრული შედევრი
„მოხეტიალე ვარსკვლავები“
შოლომ-ალეიხემის განთქმული რომანის მიხედვით
ამაღელვებელი ფურცელი ებრაელთა ცხოვრებიდან
სცენარი ცნობილი მწერლის **ი. ბაბელის**
სიმებიანი ორკესტრი.
სპეციალურად შერჩეული მუსიკა.
1-ლი სეანსის დასაწყისი. აპოლოში საღ. 7 ს. და 40 წ.
„ „ „ დარბაზში „ 8 ს. და 15 წ.
„ „ „ ეთერში „ 8 ს. და 45 წ.
სოლო სკრიპკაზე.

ანონსი: მალე „შეიხი“—რუდოლფ ვალენტინოს მონაწ.; **„მეფის ბრძანებით“—მარიონ დევისის მონაწილეობით.**

ამ დღეებში
პირველად ეკრანზე
უცხოეთის ნაწარმოები ორი საუკეთესო სურათი

„ეთერი“
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

ორიგინალური კინო-პიესა
რომელიც განცვიფრებას იწვევს
„ლიუსეტა“

„აპოლო“
(ბაღ „არტო“-ში)

რუდოლფ ვალენტინო
მხატვრულ კინო-სურათში აღმოსავლეთის ცხოვრებიდან
„შეიხი“

თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს! ნ. 1399

საქ. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატთან

არსებულ საზოგადოებათა და მათ შენაერთთა დაარსების შესახებ საკითხების გადამწყვეტ კომისიის მიერ დამტკიცებული იქმნა შემდეგი საზოგადოების წესდებები:

1) სსრ სულით ავადმყოფთა დამხმარე საზოგადოების.
2) საფსიქოლოგიო საზოგადოების.
3) საქ. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საზოგადოების.
4) წყალსადენის და სანიტ. ტეხნ. თბილისის ჯგუფის და
5) მეშვიდე დღის ადვენტისტების საზოგადოებათა ა-კავკასიის კავშირი.

ადმინისტრატიულ სამმართ. უფროსი ბერაძე.
1—1 ნ. 1402 ს. ნაწილის გამგე დ. ზიფერტი.

მოითხოვეთ ყველგან მოითხოვეთ ყველგან
მ. ლაღიძის
წყალი
გემო და სუნი საამური აქვს
4—1 ნ. 1367

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
ჯერჯერობით რჩება
თბილისში.
კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 7, ბინა 1, ტელეფონი 14—56.

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 25—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი

ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ ხუთშაბათს 7 ივლისს დღის 12 საათზე, მოსკოვის ქ. № 30 დანიშნულია
დავით ქებაძის სახლების შემოძლეული ფასიდან
საჯარო ვაჭრობით
გაყიდვა დამზღვევი სალაროს, სახელმწიფო გადასახადების და სხვა ვალების დასაკმაყოფილებლად.
საჯარო ვაჭრობის დროს დაცული იქნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311 და 312 მუხლები. 1-1 1401

ამიერ-კავკასიის რკინ. გზების სამმართ.
იუწყება, რომ 1927 წლის
8 ივლისს 12 საათზე ნავთსადენის განყოფილებასთან
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
გაიცემა სამუშაოები რკინის თაღიან სახურავის, რკინის ფანჯრებისა და კარების აშენებასა და დასადგმელად შემდეგ ნავთსადენ სადგურებში: ევლახში, განჯაში, აჯიკაბულში, გარდაბანში, დუვანში, საგირში, ბარგუშეთში, ძეგამში და გორში.
სამუშაოთა ნუსხასთან, ტეხნიკურ პირობებთან და ხელშეკრულების პროექტთან გაცნობა შეიძლება ყოველდღე, სამუშაო საათებში, ნავთსადენის განყოფილებაში სამუშაოთა მწარმოებლის კანტორაში.
კერძო პირებმა, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად რკ. გზების სამმართველოს სალაროში უნდა შეიტანონ საწინდარი 500 მანეთის რაოდენობით.
ნავთსადენის განყოფილების
ნ. 1396 **უფროსი ინჟ. ოგანეზოვი.** 1—1

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის
ყოველთვიურ
სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ
„თანამედროვე მედიცინა“-ზე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.
ჟურნალში შემდეგი განყოფილებებია:
თეორიული მედიცინა, კლინიკური მედიცინა, პრაქტიკული მედიცინა, საზოგადოებრივი მედიცინა, მიმოხილვები, ბიბლიოგრაფია, რეფერატები და სხვ.
თვითეულ ორიგინალურ შრომას დართული აქვს ავტორეფერატები რუსულ და ფრანგულ ენებზე.
ჟურნალის ფასი: 1 წლით . . 10 მან.
½ წლით . . 5 მან.
ცალკე ნომერი 1 მან.
რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.
3062 25—1

გურჯაანის და ლაგოდეხის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლადო ხირსელი
ამით აცხადებს, რომ 1927 წლ. 4 ივლისს დილის 10 საათზე სოფელ შრომაში **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის იოსებ გიორგის-ძე შაიშმელაშვილის მოძრავ ქონებას: 1) 3 წლის დეკეული (1 ცალი), 2) 1 წლის მოზვერი (1 ცალი), შეფასებული წყვილი 30 მანეთად, 3) სარაია დახურული ყავრით 1 თვალი, შეფასებული 100 მანეთად, 4) ერთი ჩარექი ვენახის მოსავალი აწ 1927 წლ. ყურძენი, შეფასებული 60 მან. ვანო მერაბაშვილის ვალის 199—42 კაპ. დასაკმაყოფილებლად, თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა, გაცემული ლაგოდეხის სახალხო სასამართლოსაგან 30 მაისს 1927 წლ. თარიღით № 541.
საჯარო ვაჭრობა შესდგება სოფ. შრომაში იოსებ შაიშმელაშვილის ეზოში. 1—1 3225

თბილისის სარაიონო საჯ.
აცხადებს, რომ ა-წ. 4 ივლისს და შემდეგ დღეებში, დილის 9 საათ. საბაჟოს ეზოში დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
გაიყიდება კონფისკაცია ქმნილი კონტრაბანდი საქონელი:
შევიოტები, ინდიგო, კოვერკოტი, აბრეშუმის ქსოვილები, ქალის წინდები, ცხვირსახოცები, პუდრი, ტყავეულობა: ლაკი, ზამში, შევრო და
თბილისის სარაიონო საჯ.
1—1 ნ. 1397

განმეორებით შერეულ
საჯარო ვაჭრობა
ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს, რომ ა.-წ. 11 ივლისს შუადღის 12 საათზე ჯანსახკომის საფინანსო სამეურნეო ქვე-განყოფილების შენობაში (ძნელაძის ქ. № 30) დანიშნულია
შერეული საჯარო ვაჭრობა
ჯ. ს. კ. საავადმყოფოებისათვის დღეში 2—30 ფუთი 1-ლ ხარისხის გამომცხვარი პურის მიწოდებაზე ერთი წლის განმავლობაში.
განცხადებები უნდა შემოტანილი იქნეს დადილ კონვერტებში საფინანსო სამეურნეო განყოფილებაში, სადაც ნაჩვენები უნდა იქნეს შეძლეულ ფასის რაოდენობა.
განცხადებას დართული უნდა ექნეს ხაზინის ქვითარი მთელი წლიური იჯარის თანხიდან 10 % საწინდრის შეტანის შესახებ, ან გირავნობის ფურცელი უსს ნოტარიუსიდან ქონების დაგირავების შესახ.
იჯარის გაცემის დროს ჯანინსპექტორი იხელმძღვანელებს არა მარტო შეძლეულ მომატებით არამედ სხვა მოსაზრებებითაც, რომლებიც ხელსაყრელნი იქნებიან ჯანსახკომისარიატისათვის.
დაწვრილებითი კონდიციების მიღება შეიძლება ყოველ დღე ჯ. ს. კ. საფინანსო სამეურნეო ქვე-განყოფილებაში 1—2 საათამდე. 1—1 ნ. 1400

სათვალეების მორგება
უფასოდ



ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 13—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწამლო
ელექტრონის სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას ითხოვენ. მიღება 2—3 და 6—8 ს. თბილისი, ყოფ. ალნოვის ქ., № 2 25—4

პროფ. გ. მ. მუხაძე
დაბრუნდა
და განაახლა ავადმყოფების მიღება, პლეხანოვის პრ. № 58. 13—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყ.
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი დი მათი შედეგები) **სპეციალისტი.**
ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს.-მდე, საღამოს 5—7 ს.-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანასახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 13—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან 25—1

დაკარგულია საანგარიშო წიგნაკი № 34 გაცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ფატი გოკიელის სახელზე, ჩ. გ. 3221

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი დ. ი. პურადაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3222

დაიკარგა: გირავნობის ქაღალდი №№ 8112, 019013, მიღებული თბილისის ქალაქის ლომბარდიდან ბუჟუტი დოლიძეს სახელზე, ჩ. გ.

დავკარგე პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 6080, გაცემული ჭიათურის სამთო-მადნო კავშირის მიერ და პირადობის მოწმობა № 888 ვარდენ სარდიონის-ძე გაფრინდაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3220

აღმასკომის სტამბა, [illegible] ქ. 68.